# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 31 აგვისტო 1999 №165 (938) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოხვდა! ნინო სალუქვაძე მსოფლიოს თასზე ზუსტად ისროლა



მიუნხენში დასრულებულ ტყვიის მსროლელთა მსოფლიოს თასის სუპერფინალში ოლიმპიურმა ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ სახელის საკადრისად იასპარეზა. ნინო პირველი იყო პნევმატური პისტოლეტით სროლაში და ამ სახეობაში მსოფლიოს თასიც მოიპოვა. სპორტული პისტოლეტით შეჯიბრში სალუქვაძე მეექვსე ადგილზე გავიდა.

5

### კატანეცმა გუნდს უხმო

სლოვენიელთა მწვრთნელი დარწმუნებულია: მოვუგებთ საქართველოს და ბელგია-ჰოლანდიაში უეჭველად წავალთ

5

### ჩუუ, მოვიდა!



გუშინ საღამოს, ათის ნახევარზე ბოსკამპი თბილისში ჩამოვიდა

10

### გულიტი წავიდა

ბობი რობსონს კი ნიუკასლი აბოდებს



ბესიკ ქოქოლაშვილის ფოტო

კვირას ეროვნულზე: „დინამო“ — „თბილისი“ 3:2. ეს წუთია, რატი ალექსიძის გოლით ჩემპიონმა ანგარიში გაათანაბრა

# სკანდალი თბილისში, „სკანდალე“ ბათუმში

## რატომ გაირითმა არამი და წკვარამი?

ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის ორი გუშინწინდელი მატჩი თბილისსა და ბათუმში სკანდალით დასრულდა. მიზეზი: მსაჯობით უკმაყოფილება.

თბილისური „ბიძგები“ ლანჩხუთელი მსაჯის ოთარ გუნთაძის გადაწყვეტილებებს მოჰყვა. მან ჯერ ისეთი პენალტი დანიშნა „თბილისის“ კარში და მერე ამ პენალტით გატანილი ისეთი გოლი ჩათვალა...

ბათუმში კი „სკანდალე“ ზღვისპირელთა იტალიელმა მწვრთნელმა ჯანი კარნევალემ იყვირა. სინიორ კარნევალე პენალტს ითხოვდა.

სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტმა უკვე თქვა თავისი სიტყვა — გუნთაძეს ერთი თვით აეკრძალა ყველა დონეზე მსაჯობა.

მდუმარე არც გულნატკენი ხალხია: ვის რა ხეირს დააყრის ჩემპიონის არამი ქულები და მუდმივი წკვარამი ჩვენს ფეხბურთში?

მესამე ტურის მატჩების რეპორტაჟები იხილეთ მეორე, მესამე და მეოთხე გვერდებზე



ბესიკ ქოქოლაშვილის ფოტო

მსაჯ ოთარ გუნთაძის გადაწყვეტილებამ ახალგაზრდა თბილისელები აღაშფოთა და გაწევ-გამოწევაც დაიწყო

### საქართველოს ჩემპიონატი — 3 ტური

**«ა» ზონა**

29 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| სამგურალი | 1 |
| არსენალი | 0 |
| ბათუმი | 0 |
| ვიტ ჯორჯია | 0 |
| დინამო | 3 |
| თბილისი | 2 |

30 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| სიონი | 1 |
| ლოკომოტივი | 0 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:0 | 7 |
| ბათუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 2:1 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| არსენალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| სიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:5 | 4 |
| დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| სამგურალი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| თბილისი | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | 2 |

**«ბ» ზონა**

29 აგვისტო, კვირა

| | |
|---|---|
| გორდა | 4 |
| ხობი | 1 |
| დილა | 3 |
| კოლხეთი | 0 |

30 აგვისტო, ორშაბათი

| | |
|---|---|
| მერანი | 1 |
| თსუ | 1 |
| იბერია | 0 |
| ტორპედო | 3 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| დილა | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ხობი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:7 | 4 |
| მერანი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| თსუ | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| გორდა | 3 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 3 |
| კოლხეთი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| იბერია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:5 | 2 |

საქართველოს 11 ჩემპიონატი

# 3 ტური

# ამნისტიამ ვერ უშველა

| | |
|---|---|
| სამტრედია | |
| 30 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| ეროსი მანჯგალაძე | |
| 2 000 (ტევადობა 14 800) | |

**იბერია 0:3 ტორპედო**

0:1 იმედაძე (4), 0:2 ჯანაშია (81), ბობოხიძე (87)
იბერია: ვარდანიძე, ბიწაძე (დარსაძე 82), გ. ლურსმანაშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, ყვანია, მ. ჯინჭარაძე, გ. ქველაძე, გ. ნიკოლეიშვილი, ივეჩიანი (ადეიშვილი 46), ზ. მეტრეველი
*სათადარიგონი:* გ. დოლიძე; ხურციძე, ნ. გიორგაძე, მუმლაძე, რ. ცომაია
ტორპედო: ჭანტურია, ახვლედიანი, ხვადაგიანი, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი, ჩხეტიანი, კ. კვეტენაძე, გოგიაშვილი (შეყრილაძე 80), დ. ჯანაშია, იონანიძე (ვაჩიბერაძე 81), იმედაძე (მ. ბობოხიძე 72)
*სათადარიგონი:* სომხიშვილი; მაღლაკელიძე, თავბერიძე, თურმანიძე
გაფრთხილება: ხვადაგიანი (76)
მსაჯები: დ. სანაია; ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ზ. ერქვანია (ზუგდიდი)
სფფ-ის დელეგატი: ბ. ქარქაშაძე

იუზა კაციტაძე სამტრედიიდან

თამაში ამნისტირებულ „ეროსი მანჯგალაძეზე“ ჩატარდა. წინადღით სტადიონს ერთხელაც ესტუმრა სფფ-ის წარმომადგენელი და შესაძლებლად ცნო აქ ეროვნული ჩემპიონატის მატჩების გამართვა. ბადრი ქარქაშაძის თქმით, მთლიანად აღდგა დასავლეთ ტრიბუნა, შეკეთდა გასახდელები და საშხაპეები, მოწესრიგდა ელექტროგაყვანილობა. ყველაფერი ეს კი, როგორც შევიტყვეთ, სამტრედიის დაცვის პოლიციის შემწეობით გაკეთდა.

საკუთარ მოედანზე სადებიუტო მატჩში „იბერიას“ მრისხანე მეტოქე ჰყავდა „ტორპედოს“ სახით და ეს პირველსავე წუთებში დადასტურდა. თამაში ახალი დაწყებული იყო, რომ მასპინძლები საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ. გოგიაშვილმაც მარცხნიდან ჩააწოდა საჯარიმოში, იქ ყველას იმედაძემ აჯობა და ბურთი მაღალ ნახტომში თავურით კარისკენ გაგზავნა. ტორპედოელის დარტყმული ხარიხამ აისხლიტა. არ გასულა ორი წუთი და სტუმრები დაწინაურდნენ — გოგიაშვილი მარდად დაუსხლტდა მასპინძელ მცველებს და საჯარიმოში ზუსტად გადააწოდა ბურთი იმედაძეს, გიამაც იმარჯვა, დროულად დაარტყა კარში და ანგარიში გახსნა.

სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. „ტორპედო“ ფართო ფრონტით უტევდა და საგოლე მომენტებსაც ბლომად ქმნიდა. მე-12 წუთზე ქუთაისელებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს. დავით ჯანაშიამ მარცხნიდან იმედაძეს გადასცა პასი, მან უმალ ქუსლით იონანიძეს დაუტოვა, რომელიც 14 მეტრიდან ურტყამდა, მაგრამ „იბერია“ მეკარემ იხსნა, ტორპედოელის დარტყმული ფეხით მოიგერია. მერე იყო და იონანიძემ თავურით კარგად გაუჭრა ჯანაშიას, ისიც მეკარესთან პირისპირ აღმოჩნდა, გოლი გარდაუვალი ჩანდა, მაგრამ ისევ იყოჩაღა ვარდანიძემ, ურთულესი ბურთი ნახტომში კუთხურზე გადააგდო. „ტორპედო“ საკმაოდ მაღალ ტემპში განაგრძობდა შეტევებს, მეტოქე კი, როგორც ვთქვით, მეტწილად თავს იცავდა.

37-ე წუთზე ახვლედიანი მარჯვნიდან შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში და კარის [illegible] გეშიძემ [illegible] რზე, მაგრამ არბიტრმა პენალტის დანიშვნისაგან თავი შეიკავა. [illegible] დიდან წუთიც არ იყო გასული, რომ სამტრედიელთა პირველ იერიშს კინაღამ გოლი მოჰყვა. მალხაზ ჯინჭარაძემ 25 მეტრიდან ყველასთვის მოულოდნელად გაისროლა სტუმართა კარისკენ და მარჯვენა ჯვარედინს მოახვედრა.

შესვენებამდე დარჩენილ დროში კი ქუთაისელებმა ორი ხელსაყრელი მომენტიც გაუშვეს ხელიდან. იონანიძის გადაცემის შემდეგ ჯანაშიამ საჯარიმოს ხაზიდან შემოტრიალებით დაურტყა ვარდანიძეს, მეკარემ მკერდით მოიგერია. მერე იონანიძის პასით იმედაძეც დარჩა ვარდანიძესთან პირისპირ, მაგრამ დარტყმა დააზანა.

მეორე ნახევარში მასპინძლებმა უფრო მოინდომეს და საგრძნობლად გამოასწორეს თამაში. მართალია, უპირატესობას ისევ „ტორპედო“ ფლობდა, მაგრამ ის ისეთი შესამჩნევი აღარ იყო, როგორც პირველ ტაიმში. ასე თქვით და სტუმრებმა ბოლო ათ წუთში ორი ბურთი კი გაიტანეს. პირველი ქველაძის შეცდომას მოჰყვა. სამტრედიელმა მოგერიებისას თანაგუნდელს მოარტყა, ბურთი იონანიძეს მიუვიდა, რომელმაც მარცხნიდან შეუტია და საჯარიმოში ჩაწოდებაც არ დააზანა, ბობოხიძემ ბურთი უფრო კარგ პოზიციაში მყოფ ჯანაშიას დაუთმო და მანაც ახლოდან აღარ დაუტოვა შანსი მეკარეს. შემდეგ ბობოხიძემ გაასამა. მიხომ თავისი პირველი გოლი „ტორპედოში“ ჩხეტიანის გადაცემით გაიტანა, „ჩხეტოს“ კი მანამდე კვეტენაძემ გადასცა ბურთი ზუსტად. ბოლო წუთზე „იბერიის“ კარში, წესით და რიგით, მეოთხეც უნდა გასულიყო, მაგრამ ვაჩიბერაძემ ახვლედიანს გარჯა ვერ დაუფასა. ზაზა პარტნიორის გადაცემას კარიდან ორ მეტრში კი დაუხვდა, მაგრამ სიჩქარეში ააცილა.



ტორპედოელი გიორგი იმედაძე (№23) სამტრედიულ შეხვედრაში ყველასგან გამორჩეული იყო

# სამიანი

| | |
|---|---|
| თბილისი | |
| 30 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| სინათლე | |
| 2 500 (ტევადობა 3 000) | |

**მერანი 1:1 თსუ**

1:0 თოლორდავა (10), 1:1 წუწუნავა (60)
მერანი: ნაჭყეპია, ივანიშვილი, ე. ალადაშვილი, პ. ლურსმანაშვილი, ხარებავა, ჭინჭარაული, ჯიშკარიანი (ცქიფურიშვილი 79), ბ. ამბიძე, დევიძე, როსტიაშვილი (დავითაშვილი 46), თოლორდავა
*სათადარიგონი:* კოროშინაძე; კარიაული, ბაჯელიძე, ლ. ამბიძე
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა (ჯობაძე 46), ახალაძე, გვირჯიშვილი (ფარქოსაძე 46), ადამია (გრ. გვაზავა 87), თ. ბოკერია, ერაძე, დ. არჩვაძე, კვიციანი, წუწუნავა
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ინწკირველი, გ. ნოზაძე, მესხი
გაფრთხილება: კვიციანი (3), დევიძე (44), არჩვაძე (58), ჯიშკარიანი (59)
მსაჯები: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); კ. გაბრიაძე (ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

ხვიჩა სანიკიძე

ორივე გუნდი ორი ფრითა და ამდენივე ქულით წარდგა ერთმანეთის პირისპირ. თუმცა „მერანს“, მეტოქისგან განსხვავებით, ეს შედეგები სტუმრად ჰქონდა მიღწეული და გუშინ შელამაზებულ „სინათლეზე“ პირველი მასპინძლობა გასწია.

ერთი შეხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტრანსპორტელები შედარებით უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე სტუდენტები, მაგრამ ორივე გუნდის თამაშში იმდენი ხარვეზი შეიმჩნეოდა, მის გამოსასწორებლად სამი ტური კი არა, ალბათ, პირველი წრეც არ იქნება საკმარისი. ჰოდა, სამ შეხვედრაში მიღწეული 3 ფრე და 3 ქულა ზუსტად ასახავს ამ კლუბების რეალურ შესაძლებლობებს.

გუშინდელი შეხვედრის შეფასებაც „სამიანი“ გახლავთ, მაგრამ ისეთი, ზარმაც და სუსტ მოსწავლეს უფრო კარგი ყოფაქცევისთვის რომ უწერს მასწავლებელი, ვიდრე ცოდნის საფასურად.

ჩვეულებრივი რიგითი მატჩი იყო, მოსაწყენი, მაგრამ ამას ვინ ჩივის, თსუ-ს ფეხბურთელების მაისურების გადამკიდეთ კინაღამ თვალები აგვტკივდა — ნომრები არ ჩანს, ბატონო, იმ მაისურაზე და დღევანდელ ფეხბურთში სახეზე და მიხვრა-მოხვრაზე ვინ ცნობს ფეხბურთელს. იქნებ ვინმემ ეს ჩემს პირად პრობლემად მიიჩნიოს, მაგრამ ფაქტია, ჩემს გარდა კიდევ სამი ჟურნალისტი შევიდა მატჩის შემდეგ მსაჯთა ოთახში იმ სტუდენტი ფეხბურთელის ვინაობის გასაგებად, ვინც ანგარიში გაათანაბრა. ამათ იგივე მდგომარეობაში აღმოჩენილ გულშემატკივართა უმრავლესობაც დაუმატეთ, რომლებიც გაკვირვებულნი კითხულობდნენ, ვინ გაიტანაო.

გოლები კი მცველთა უხეშ შეცდომებს მოჰყვა. მე-10 წუთზე პირისპირ დარჩენილმა თოლორდავამ აუღელვებლად აუარა გვერდი მეკარეს და ცარიელ კარში გაგზავნა ბურთი — 1:0. ამ დრომდე „მერანი“ ძალიან აქტიურობდა, მერე კი დინჯად აგორებდა ბურთს.

მეორე ნახევარში თსუ გამოცოცხლდა. 15 წუთი დასჭირდათ სტუმრებს გასათანაბრებლად. კვიციანის შორეული დარტყმული ძელმა უკუაგდო და დამატებაზე წუწუნავამ აჯობა ყველას — 1:1.

შეხვედრის დამთავრებამდე გახსნილი ფეხბურთი გაჩაღდა. სახიფათო მომენტები ორივე კართან საკმაოდ იქმნებოდა, თუმცა თუ იღბალზე მიდგება საქმე, უფრო „მერანს“ არ გაუმართლა, ვიდრე მის მეტოქეს. ყველაზე მეტად კი სტუმართა კაპიტანს — ნინუას უმუხთლა ბედმა. შეტევაზე გადასული ისე დაენარცხა მინდორზე, მარჯვენა ბეჭი ძალიან დაიზიანა.

არა, 90 წუთი ნაღდად ბევრია ჩვენი ჩემპიონატის შეხვედრებისთვის...



„მერანმა“ და თსუ-მ ზედიზედ მესამე ფრე მიითვალეს

# იღბალი? სტიმული? უბრალოდ, სიონი!

| | |
|---|---|
| ბოლნისი | |
| 30 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| თემურ სტეფანია | |
| 1 500 (ტევადობა 3 000) | |

**სიონი 1:0 ლოკომოტივი**

1:0 დ. გოდერძიშვილი (14)
სიონი: ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, შაკიაშვილი, სიდამონიძე, დიმიტრიშვილი (თ. სამხარაძე 43), მოსეშვილი (მ. სამხარაძე 78), მ. გოგოლაძე, დათუაძე, სოლოღაშვილი (ყიფშიძე 69), ნ. მინდიაშვილი, დ. გოდერძიშვილი
*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; დ. ჯაფარიძე, ლ. გაგუა, სვანიძე
ლოკომოტივი: ასლანაძე, ბალაშვილი, ვ. გველესიანი, ლ. მიქაძე, მ. ქობულაძე, ჩიხრაძე, ჩომახიძე (კაციაშვილი 59), ბარამიძე, გოგიჩაიშვილი, რუსია, ქებაძე
*სათადარიგონი:* დ. ჯანელიძე; ბაქრაძე, შევგულიძე, ჩაჩუა
გაფრთხილება: მიქაძე (28), ბალაშვილი (32), ვოლკოვი (33), მინდიაშვილი (84)
მსაჯები: მ. მალალურაძე; ზ. ჯვარიძე, ს. კახიანი; ა. მეშკოვი (ყველა თბილისი)
სფფ-ის დელეგატი: შ. ხინჩაგაშვილი

პაატა კვანტალიანი ბოლნისიდან

„თბილისი“, „ვიტ ჯორჯია“ და... მესამე ტურში „სიონს“ ბელფასტმოვლილი მესამე თბილისური ბარიერი შეხვდა „ლოკომოტივის“ სახით. ბოლნისელებმაც ნავსი გატეხეს და პირველი გამარჯვება იზეიმეს. არადა, „ლოკომოტივი“, რომელმაც „ლინფილდთან“ მძიმე ბრძოლა გადაიტანა, ბოლნისურ შეხვედრაში გაცილებით უკეთეს შედეგს იმსახურებდა, მაგრამ გუშინ ფორტუნა „სიონის“ მხარეს იყო, ფორტუნა, რომელმაც ბოლნისური კლუბი მეორე ტურის შეხვედრაში თბილისურ „ვიტ ჯორჯიასთან“ დაალალატა.

ასი პროცენტით ახდა სპარტაკ არჩვაძის — „სიონის“ მთავარი მწვრთნელის სიტყვები. წინა ტურში იღბალმა ზურგი გვაქცია, დღეს მისი კეთილგანწყობის იმედი გვაქვს. მხოლოდ მისი შეწევნით თუ დავამარცხებთ მრისხანე მეტოქესო — ბრძანა მატჩის წინ ბოლნისელთა თავკაცმა. მაგრამ „სიონის“ წარმატებას სხვა მიზეზიც ჰქონდა. მატჩის წინ გუნდის გასახდელში თემურ ჭყონია შევიდა — ჩვენში „კოკა-კოლას“ მამამთავარი და ბოლნისური ფეხბურთის წელში გამართვის მოსურნე და როგორ გგონიათ, მასზე დიდ სტიმულს მისცემდა გუშინ ვინმე სიონელებს? და მასპინძლებიც თავგამეტებით ეკვეთნენ მეტოქეს, მთლიანად დაიხარჯნენ ერთგული ბოლნისელი ქომაგის მხარდაჭერით. ისევ ექსლოკომოტიველებმა მოუმთავრეს თბილისელებს საქმე — ვოლკოვი, დათუაძე, მინდიაშვილი, დავით გოდერძიშვილი — მათი გუნდიდან გაშვება, ალბათ, მწარედ განიცადა რკინიგზელთა პრეზიდენტმა (იგი მატჩს ესწრებოდა) აკაკი ჩხაიძემ. ექსრკინიგზელი ოთხეული საუკეთესო იყო მასპინძელთა შორის. პირადად ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა ტანმორჩილი დათუაძის გააზრებულმა თამაშმა. იგი გუნდის სული და გული იყო. მინდიაშვილმა მაყურებელს თავდადების კარგი მაგალითი უჩვენა, გოდერძიშვილმა სულაც „სარბიელის“ პროგნოზი გაამართლა და ყოფილ თანაკლუბელებს ერთადერთი გოლი გაუტანა. ვოლკოვი? მისი დიდი დამსახურებაა, რომ „სიონმა“ გაიმარჯვა ამ შეხვედრაში. მთელი მეორე ტაიმი სტუმრების იყო. მათ საკუთარ ნახევარზე მიაჯაჭვეს მასპინძლები და სულ მცირე, ხუთჯერ მიეცათ გოლის გატანის ჩინებული შანსი, მაგრამ ვოლკოვი შეუდარებელი გახლდათ. ფორტუნამ კი თავისი რჩეულის ვინაობა მსაჯის მიერ დამატებულ წუთებში კიდევ უფრო წარმოაჩინა — მიხეილ ქობულაძემ სამიოდე მეტრიდან დაარტყა. თანაგუნდელებმა გოლი გატანილად ჩათვალეს, ხელები აღმართეს, მაგრამ ამაოდ — შაკიაშვილმა კარის ხაზიდან სასწაულებრივად გამოიტანა ბურთი.

ზემოთ იღბალი და სტიმული ვახსენეთ, მაგრამ დროა, მასაპინძელთა გამარჯვების მთავარ ფაქტორზეც ვთქვათ. ბოლნისელებმა, მცდარი ტაქტიკური მონახაზის მიუხედავად (დაწინაურებული გუნდი ნაადრევად ჩაჯდა დაცვაში), შესაშური მონდომებით ითამაშეს, ბოლომდე გაძლეს და მატჩი გამარჯვებამდე მიიყვანეს. ამიტომ „სიონი“, მხოლოდ „სიონი“!

# დიდ კაცთან პატარა კაცსა...

თბილისი
29 აგვისტო
18 საათი
ეროვნული
1 500 (ტევადობა 75 000)

**დინამო 3:2 თბილისი**

1:0 ანჩაბაძე (9), 1:1 მიქაძე (13), 1:2 გაგუა (23), 2:2, 3:2 ალექსიძე (26, 89პ)
**დინამო:** დონდტი, პ. ჯინჭარაძე (ს. გიგიაძე 59), ვაშაკიძე, გ. დიდავა, გუჩუა, ალექსიძე, ანჩაბაძე, გ. შენგელია (ზირაქიშვილი 62), აშვეთია, სიჭინავა, ა. სახვაძე.
*სათადარიგონი:* ლომაია; ვ. გიგიაძე, შაშიაშვილი, კობიაშვილი
**თბილისი:** ბათიაშვილი, რუხაძე, ზამთარაძე, ბურდული (თ. აფციაური 62), ლ. მელქაძე, ვალერი გაგუა (ებრალიძე 77), გიორგი მიქაძე, ქემოკლიძე, ზ. ხიზანიშვილი, ი. შენგელია (ო. გველესიანი 46), აბრამიძე
*სათადარიგონი:* ბედიაშვილი; ნორაკიძე
**გაფრთხილება:** აბრამიძე (78), ბათიაშვილი (86)
**მსაჯები:** ო. გუნთაძე (ლანჩხუთი); ა. მეშკოვი (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); დ. ხარიტონაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის დელეგატი:** კ. ყრუაშვილი

**კონსტანტინე გოგიშვილი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

„დინამო“ უტევს, „თბილისი“ თავს იცავს — ასეთი მომენტები მრავლად იყო მატჩში

ცნობისთვის: დიდი კაცი — „დინამო“, პატარა კაცი — „თბილისი“. მტყუან-მართალი კი... ეეჰ. რა გარგარი, რის ატამი — ჩვენში სულ ასე არ ხდება? ვინც ძლიერია და დიდი, მართალიც ის აღმოჩნდება — ხოლმე.

„დინამო“ — „თბილისის“ შეხვედრა იმდენად საინტერესო საყურებელი გამოდგა, ბოლო წუთებამდე არ მოუწყენია მაყურებელს, იყო ტემპი და ღია თამაში, გოლებიც, მომენტებიც, მაგრამ უფრო საინტერესო რაღაცეები მატჩის შემდეგ გასახდელების მიმდებარე ტერიტორიებზე ხდებოდა. რაც შეეხება მსაჯთა ოთახს, მასზე შეფობა ეგრევე ქართულმა პოლიციამ აიღო და ჟურნალისტი ან გულშემატკივარი რას მიქვია, ჯადოქარ-ილუზიონისტი დევიდ კოპერფილდი ვერ შესუნავდა შიგ.

იქ კი ოთარ გუნთაძე და კომპანია გაერიდა აღშფოთებულ მასას, მსაჯებს შაყის კვრას და კიდევ ათას უხერხულ რამეს (რას არ მოიფიქრებს მოკლილი კაცი) რომ უპირებდა. რახან მატჩისშემდგომი მოვლენებით დავიწყეთ, ბარემ ყველაფერი ვთქვათ, საერთო სურათზე წარმოდგენას კი შეხვედრის VIP-თა გამონათქვამები შეგვიქმნის.

რამაზ მუმლაძე („თბილისის“ მწვრთნელი) — მოიცათ რა, თუ ძმები ხართ, რა დროს კომენტარია, ნერვები მაქვს მოშლილი.

კარლო ყრუაშვილი (მატჩის დელეგატი) — მოხსენებით ბარათს ვიდეოფირის ნახვის შემდეგ წარვადგენ. იქ ყველაფერი იქნება ნათქვამი.

ოთარ გუნთაძე (მატჩის მთავარი მსაჯი) — ალექსიძის დარტყმის შემდეგ ბურთი ჯერ მეკარეს შეეხო და მერე მოხვდა ძელს. ბათიაშვილი რომ ბურთს არ შეხებოდა, გოლს არცერთ ვარიანტში არ ჩავთვლიდი. ეს არასწორი გადაწყვეტილება იქნებოდა და იმიტომ. ახლა კი ვთვლი, რომ სამართლიანად მოვიქეცი.

ზურაბ ბათიაშვილი („თბილისის“ მეკარე) — ალალად ვამბობ, ბურთს არ შევხებივარ. მე რომ ბურთს წავკარებოდი, ასეთ ამბავს არავითარ შემთხვევაში არ ავტეხდით. ეს უბრალოდ უღირსი საქციელი იქნებოდა.

მაყურებელი და ჟურნალისტები — დავუშვათ ზირაქიშვილი მართლა წააქციეს და იყო პენალტი, ალექსიძის გოლის ჩათვლა უსამართლობაა, ელემენტარული საფეხბურთო წესის თანახმად, თუ ფეხბურთელის დარტყმული პენალტი ხვდება ძელს და იგივე ფეხბურთელი ხელმეორედ ეხება მას, თამაში უნდა შეჩერდეს.

ქართული პოლიცია (რომელიც ყველგან ყველაფერს იცავს) — მეტი არ გვაქვს საქმე მაგათ (მსაჯებს — კ.გ.) ვუყარაულოთ. დროზე გამოვიდნენ ოთახიდან, თორემ მოვხსნით ჯაჭვს და ნახონ მერე. არ დაგვალამებინეს აქ?

ოთარ გუნთაძე კი გამოვიდა მხოლოდ მაშინ, როცა სტადიონს აღარ შერჩა არცერთი აღშფოთებული, იგი პოლიციელებმა მიაცილეს თავის „ნოლ-ექსთან“, მანქანის დაქოქვამდე არ მოსცილებიან და როცა არბიტრის მანქანა დაიძრა, ერთ-ერთმა მათგანმა — „დიორგანიას“ აძლევსო — დიაგნოზიც დაუსვა.

ასეა, ვისთვის ცერცვი და ვისთვის ცეცხლიო.

აბა ერთი, ვაჟკაცურად მობურთალი „თბილისის“ ფეხბურთელების გულში ჩაგეხედათ?! ითამაშეს, იბრძოლეს, ტოლი არაფერში დაუდეს ბიჭებმა დინამოელებს და რომ არა მარადი ჩემპიონის რიგებში მესამედ მობრუნებული გიორგი ანჩაბაძე, ეგებ ალექსიძის პენალტი სუსტი ნუგეშიღა ყოფილიყო კორღალიძის გუნდისთვის. „თბილისმა“ შეძლო ანგარიშის სათავისოდ შემოტრიალება, 88-ე წუთამდე პწკენა-პწკენაში უგორა ბურთი „უფროს ძმას“, თითქმის გაინაღდა ფრე და...

როგორია მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე საკუთარ კარში დანიშნული საეჭვო პენალტი და უარესი — ათასიდან ათასჯერ არ ჩასათვლელი გოლი?!

სანამ დაწვრილებით ამ მომენტზე ვისაუბრებდეთ, მატჩის ზოგადი სურათი აღვწეროთ — „დინამო“ ხშირად უტევდა, „თბილისი“ კონტრშეტევებს ერთგულობდა, ჩხვლეტით კი ორივე გუნდი იჩხვლიტებოდა. გოლებიც უცებ და თანაბრად გაიტანეს მეტოქეებმა — მეცხრედან ოცდამეექვსე წუთამდე ანჩაბაძემ, მიქაძემ, გაგუამ და ალექსიძემ ორ-ორჯერ დაამწუხრეს დონდტი და ბათიაშვილი და შესვენებაზეც ამ ანგარიშით წავიდნენ.

მეორე ნახევარში „დინამო“ მეტს უტევდა, „თბილისი“ გაცილებით შეკრული გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებდა, ხოლო მას მერე, რაც მარადი ჩემპიონის რიგებში უდავოდ საუკეთესო ანჩაბაძე დაიღალა, „დინამოს“ წინახაზს მისი უზუსტესი პასები და სიმწვავე მოაკლდა.

ყველა მონაცემით შეხვედრა ფრედ უნდა დამთავრებულიყო, რომ არა ის 88-ე წუთი.

საჯარიმოში ბურთი კარისკენ ზურგით მდგარმა ზირაქიშვილმა მიიღო, იგი დაეცა მცველთან ბრძოლაში და გუნთაძემ პენალტი დანიშნა.

„თბილისმა“ იკამათა, იდავა, მაგრამ მსაჯი შეუვალი იყო და ალექსიძემ ბურთი თერთმეტმეტრიან ნიშნულთან დადო. გამოექანა რატი, დაარტყა, ბურთი მარჯვენა ძელს მოხვდა, ისევ ალექსიძეს მიუვიდა. მანაც გაისწორა, დაამატა და „დინამო“ წინ გაიყვანა.

აი, მერე დაიწყო... რახან მსაჯს ვერაფერი შეასმინეს, „თბილისის“ ფეხბურთელებმა მაისურები გაიძრეს და თამაში ჩაშალეს. აქ კი „თბილისის“ სათადარიგო სკამი, „დინამოს“ ფეხბურთელები, კიდევ ვიღაცეები ჩაერივნენ და ახალგაზრდა თბილისელები მატჩის გაგრძელებაზე დაიყაბულეს. ისე, აქა-იქ ფეხბურთელებმა თითო შემოულაწუნეს კიდეც ერთამანეთს (იოლ ფორმებში, რა თქმა უნდა).

ტრიბუნებიდან კი ერთი საკმაოდ ცნობილი ქართული სიტყვა ისმოდა განუწყვეტლივ. ეს სიტყვა განსაკუთრებით მსაჯებისთვის არ იყო ამოდ სასმენი და მასში „ტ“ და „ყ“ ასოთშეხამება იქცევდა ყურადღებას.

თამაში მაინც განახლდა. მატჩი „დინამომ“ მოიგო. „თბილისმა“ კი გასახდელში ნერვები მოთოკა და ნამდვილად ვაჟკაცურად გამარჯვება მიულოცა მეტოქეს. კი იყო „თბილისის“ შემადგენლობაში ერთი-ორი კაცი, მეტოქის გასახდელში მისალოცად შესვლას რომ არ აპირებდა, მაგრამ ბოლოს მწვრთნელებმა თავისი გაიტანეს და მოხდა ის, რასაც კაცური საქციელი ჰქვია.

„დინამო“ მსაჯის და „თბილისის“ კონფლიქტში არ ჩარეულა. მისმა ფეხბურთელებმა შხაპი მიიღეს და ავტობუსს მიაშურეს.

ვუყურებდი ავტობუსისკენ მიმავალ დინამოელთა ზურგებს და „სარბიელის“ ერთი კარგა ძველი საპირველგვერდო სათაური მახსენდებოდა.

„THANKS, ROBI“ — ასე ერქვა იმ სტატიას. მასში ლივერპულელი რობი ფაულერის შესახებ იყო მოთხრობილი. კერძოდ იმაზე, თუ როგორ წაიქცა ფაულერი მავან მეკარესთან ბრძოლაში, როგორ დანიშნა მსაჯმა პენალტი, როგორ მივიდა მსაჯთან ფაულერი და უთხრა, რომ იგი მეკარეს არ წაუქცევია. ამ საქციელისთვის ინგლისმა ფაულერი შეიყვარა. ათას გოლს უდრიდა ის საქციელი და იმიტომ.

ეშმაკმა წაიღოს რუუდ გულიტი, „სექსუალური ფეხბურთის“ დამკვიდრება რომ ამოუჭრია გულში. კაცური კაცი „ზნეობრივ ფეხბურთზე“ ილაპარაკებდა.

ვიხსენებ იმ სტატიას და ვფიქრობ — ნეტა როგორ მოიქცეოდა ფაულერი მსგავს შემთხვევაში?

ალბათ, გოლი არ იყოო, ეტყოდა მსაჯს.

მაგრამ საქართველო ინგლისი არ არის...

არც „დინამოა“ „ლივერპული“.

# გამარჯვების ათი წუთი

გორი
29 აგვისტო
18 საათი
ცენტრალური
2 500 (ტევადობა 8 230)

**დილა 3:0 კოლხეთი**

1:0, 2:0 ლომიძე (75, 77), 3:0 სულთანიშვილი (80)
**დილა:** მდივანი, აკოფიანი (ფეზუაშვილი 54), რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი, ლომიძე, თაყაძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი (კარელიძე 83), ოლგესაშვილი (სულთანიშვილი 54), შატაკიშვილი
*სათადარიგონი:* სოლოლაშვილი; გ. ჩიტაია, დ. მაისურაძე, არუთინიანი
**კოლხეთი:** გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე, პაპავა, ტრაპაიძე, მელაძე, ხუჭუა, დ. გოგოლაძე (ბულუხია 46), ღალანიძე, კედელაშვილი
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; ქუნთელია, ჯღარკავა, ჭოხონელიძე, ანჯაფარიძე, ბურკვაძე
**გაფრთხილება:** გოგოლაძე (9), გოჩაშვილი (14), ბულუხია (70), პაპავა (74)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი; ა. ნონიკაშვილი (ყველა თბილისი)
**სსფ-ს დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**მამუკა კვანტალიანი გორიდან**

გორის „დილამ“ ფოთის „კოლხეთთან“ მატჩში ფეხბურთი მხოლოდ ათი წუთი ითამაშა, მაგრამ მეტოქის დასამარცხებლად ეს დროც იკმარა. მასპინძლებმა ხუთ წუთში სამი გოლი გაიტანეს, მომდევნო ხუთში კი ორი საგოლე მომენტი გაატანეს ქარს და გულდამშვიდებულებმა გასახდელისკენ გასწიეს.

ფოთელებს ადრე სოლიდური და ანგარიშგასაწევი გუნდი ჰყავდათ, ახლა კი გუნდისა არაფერი სცხიათ. ძალიან სუსტია დღევანდელი „კოლხეთი“.

არც „დილას“ მოუწყვეტია ციდან ვარსკვლავები. ვერ ითამაშეს გორელებმა ჩვეულად, მაგრამ გამარჯვებულებს არ ასამართლებენ. ის კი ფაქტია, „დილას“ გაცილებით მეტი შეუძლია და, ალბათ, ცოტა ხანში უკეთაც ათამაშდებიან.

პირველ ტაიმში საგულისხმო არაფერიც მომხდარა. მოსაწყენი ბურთაობა, არც ერთი სახიფათო მომენტი, უამრავი შეცდომა და ძიძგილაობა მოედნის შუაგულში.

საწყისი 45 წუთის განმავლობაში სტუმრები არაფრით ჩამოუვარდებოდნენ მასპინძლებს, ის კი არა, მეორე ტაიმი შედარებით უკეთ დაიწყეს და 55-ე წუთზე დაწინაურებაც შეეძლოთ. ღალანიძის დარტყმული ჯარიმა მდივანმა კი მოიგერია, მაგრამ ბურთი კარისკენ გაგორდა და მეკარემ ბოლოწამს, განმეორებით ნახტომში შეძლო მისი დაჭერა.

ამის მერე ბურთაობა ისევ ჩვეულ რიტმს დაუბრუნდა. ყველა ფრეს ელოდა, მაგრამ 75-ე წუთიდან „დილამ“ „კოლხეთის“ დაწიოკება დაიწყო. ციცქიშვილმა ფლანგზე გაჭრილ თაყაძეს დროული და ზუსტი პასი მიაწოდა, მიშამ ბურთი არ შეაყოვნა, ერთი შეხებით დაასვა თავზე საჯარიმოში მყოფ ლომიძეს, რომლის თავურიც გვასალიასთვის აუღებელი აღმოჩნდა.

სტუმრებმა ცენტრიდან დაიწყეს და იქვე დაკარგეს ბურთი, რასაც მათ კართან კუთხური მოჰყვა. კუთხურიდან ჩამოწოდებულს ისევ ლომიძემ დაჰკრა ღონივრად თავური. ბურთი მცველს შეეხო და კარში აღმოჩნდა.

მესამე გოლი შეცვლაზე შესულმა სულთანიშვილმა გაიტანა. საბამ მარლიშვილის ზუსტი და დროული პასი შეიშნოვა, გვასალიასთან პირისპირ გასულმა მეკარეს გვერდი მშვიდად აუარა და კარში ჩამდგარ მცველსაც შანსი არ დაუტოვა.

საერთოდ, ფოთელებს სულთანიშვილმა მარჯვენა და თაყაძემ მარცხენა ფლანგებიდან მოსვენება არ მისცეს. თაყაძე პირველ ტაიმშიც ხშირად თავისუფლდებოდა მეურვეობისგან და თავისუფალ ზონაში ითხოვდა ბურთს. რაც პირველ ტაიმში არ გამოვიდა, მეორეში აღსრულდა. ფოთელთა უკანა ხაზი ხშირად ცდებოდა.

დამთავრდა თამაში, თითქოს მშვიდობიანადაც. ხუმრობდნენ გორელი ქომაგები, ასე უხმაუროდ „კოლხეთთან“ მატჩი არ დასრულებულაო. სტადიონზე წესრიგის დამცველებიც ბლომად იყვნენ. პოლიცია ხომ აკონტროლებდა სიტუაციას, გვარდიელებიც ფხიზლად იყვნენ. სტუმარ ტრაპაიძეს წასკდა ცხვირიდან სისხლი. ყურადღებაც ყველამ მასზე გადაიტანა. გოჩაც დიდხანს არ შეყოვნებულა მინდორზე, გასახდელისკენ გაეშურა. ამ დროს სტუმართა თავკაცმა, გია ტყებუჩავამ მატჩის ინსპექტორი გია ძამუკაშვილი გამოიძახა — ჩვენს ექიმს ქვა ესროლეს ტრიბუნიდანო.

არც ქვა მინახავს და არც მსროლელი შემინიშნავს, თუმცა იმასაც მოგახსენებთ, რომ „კოლხეთის“ ექიმს თავზე საკმაოდ მოზრდილი კოპი აჯდა. მიდი ახლა და ამტკიცე, ქვა მოხვდა თუ არა.

ისე, გორელ ქომაგებს მეტი სიფრთხილე არ აწყენდათ. მათ, ნებით თუ უნებლიეთ, შეუძლიათ, „დილას“ შრომა წყალში ჩაუყარონ. ფოთელებს თავიანთი გასაჭირიც ჰყოფნით და მაინცდამაინც არც ისაა ლამაზი, ყოველ წუთს „ცემენტარნიცა“ გაახსენო და წამოაძახო. ან გინება რა საკადრისია. არადა, გორელ გულშემატკივართა უმეტესობას ფეხბურთის ავანჩავანი კარგად მოეხსენება, საქმეს კი ერთეულები აფუჭებენ.

# ჯანი კარნევალე: სკანდალე, სკანდალე!

| | |
|---|---|
| ბათუმი | |
| 29 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| დინამო | |
| 5 000 (ტევადობა 20 000) | |

**ბათუმი 0:0 ვიტ ჯორჯია**

ბათუმი: ტოგონიძე, ი. მახარაძე (აფხაზავა 54), ზ. არჩვაძე, მ. მახარაძე, ა. მუჯირი (რომანაძე 76), ქაცარავა, გელა ქორიძე, კობიძე, კანტიძე (უვაკვე 69), ტულუში, მაჭუტაძე
*სათადარიგონი:* მალაყმაძე; სიხარულიძე, მინდაძე, თედორაძე
ვიტ ჯორჯია: ჭურაძე, საჯაია, ჭანკოტაძე, ხართიშვილი, ბარქაია, ჯ. მუჯირი, ზ. გვაზავა (ყიფიანი 86), კ. ალადაშვილი, ლ. ნოზაძე, გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (კოტორაშვილი 46)
*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; დ. დოლიძე, ვ. გოჩაშვილი, ა. ბოკერია
გაფრთხილება: არჩვაძე (10), ბარქაია (15, 40), გვაზავა (36), კანტიძე (49)
გაძევება: ბარქაია (40)
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), გ. კიკაჩეიშვილი; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. მილჩენკო

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

ქართული ფეხბურთის გასაჭირზე არაერთხელ გვითქვამს. ეროვნული ჩემპიონატი თავისი უფერული, უშინაარსო თამაშებით რა ბედოვლათიცაა კარგად მოგეხსენებათ. და მაინც, ჩვენდა საბედნიეროდ შიგადაშიგ არის გამონაკლისი, რომელიც კაცს ათქმევინებს — არა, ქართული ფეხბურთი ჯერ არ მომკვდარაო. წესით ასეთი განწყობა უნდა შემორჩენოდათ იმათ, ვინც გუშინწინდელი „ბათუმი" — „ვიტ ჯორჯიას" თამაში იხილა.

არა, თქმა არ უნდა, რაღაც განსაკუთრებულად დაიწყო წლევანდელი სეზონი. მატჩი არაა, რაიმე ინტრიგა თან არ ახლდეს. ასე იყო ამ თამაშშიც, რომელსაც ტურში უდავოდ ცენტრალური ეთქმოდა.

დედაქალაქური კლუბებით გადახუნძლულ „ა" ჯგუფში მოხვედრილ „ბათუმს", რა გასაკვირია და ზედიზედ მესამედ მოუხდა თბილისელებთან თამაში. ამჯერად ბათუმს, ერთობ ამბიციური „ვიტ ჯორჯია" ესტუმრა, რომელსაც აქამდე ქულა რაღაა, ისიც კი არ დაუკარგავს, მაშინ როცა, უდანაკარგოდ არც ერთი გუნდი არ დარჩენილა წლევანდელ ჩემპიონატში.

დაკარგვით ზღვისპირელებმა კი დაკარგეს ქულები, მაგრამ წაგებით ჯერ არ წაეგოთ და არც ამ თამაშში აპირებდნენ ამას. თანაც ვეტერინარებთან შარშანდელი სეზონის სადებიუტო მარცხი, კარგად უნდა ხსომებოდათ მათ და წესით რევანშის სურვილიც დიდი უნდა ყოფილიყო.

კარნევალემ შეუძლოდ მყოფი პაპიძის არყოფნაში, დაცვა ხაზზე განლაგებული სამი მცველით ათამაშა. სამაგიეროდ, შუა ხაზში ხუთი ფეხბურთელი ირჯებოდა. კანტიძის ძირითადში დაყენებით, შეტევაში მაჭუტაძეს ტულუში შეუწყვილდა. სტუმრებმა საკმაოდ მობილური უკანა ხაზი შეაგებეს მეტოქეს. დაცვის ცენტრში სამი მცველი გაამწესა კოტრიკაძემ. ჭანკოტაძე ლიბერო იყო, ხოლო ხართიშვილს და ბარქაიას ბათუმელთა შეტევის დუეტის პერსონალური მეურვეობა მართებდათ. ფლანგებს კი, ედიკ საჯაია და ჯაბა მუჯირი აკონტროლებდნენ.

თავიდანვე ცხადი გახდა — „ბათუმი" ბევრს შეუტევდა, ხოლო მეტოქე კონტრშეტევებზე მათ გამოჭერას შეეცდებოდა. თამაშის დაწყება და ფიცხელი ბრძოლის გაჩაღება ერთი იყო. ტემპი საკმაოდ მაღალი იყო და ხისტი, ძალისმიერი ფეხბურთის ელემენტების სიმრავლეც თვალში საცემი გახლდათ. მიუხედავად საგოლე მომენტთა სიმწირისა, პირველი ტაიმი მაინც კარგი საცქერი გამოდგა. აჭარლები თანდათან მძლავრობდნენ, მაგრამ დასამახსოვრებელი ორად ორი ეპიზოდი შექმნეს. ორივეში მაჭუტაძე ფიგურირებდა და ორივეჯერ ამაოდ დაშვრა.

ზემოთ ხისტი თამაში ვახსენე და ბუნებრივია სათამაშო ეპიზოდებში, უხეშობაც შეინიშნებოდა. ჰოდა, ავთო შალამბერიძემ თამაშის სადავეები არ გამექცესო, პირველ 15 წუთში ყვითელი ბარათი ორჯერ იხმარა. აი, მე-40 წუთზე ამ ბარათისთვის ფერის შეცვლა მოუხდა. ზღვისპირელთა მორიგი შეტევისას, ბურთი სტუმართა საჯარიმოს მარცხენა კიდესთან ქაცარავას მიუვიდა. ის იყო, საჯარიმოში უნდა შესულიყო, რომ ბარქაია გადაელობა წინ და ვარდნაში ართმევა სცადა. ოღონდ, ეგ არის რომ წამით დააგვიანა და მოიერიშეს ფეხს წამოედო და შალამბერიძემაც უყოყმანოდ გაუყვითლა კიდეც. ეს კი, მისთვის მეორე გაფრთხილება იყო და „ვიტ ჯორჯია" კაცნაკლული დარჩა.

„ბათუმი" ისედაც დომინირებდა და ამის შემდეგ რას იზამდა. ამასობაში პირველი ტაიმიც მალე მორჩა. მეორე კი, ბუნებრივია მასპინძელთა შეტევებით დაიწყო. აი, გატანის შანსი კი პირველად კაცნაკლულ ვიტელებს მიეცათ. კონტრშეტევისას ჩინებულად გაისარჯა გიორგი ქორიძე. მან ერთი მოძრაობით ორი მცველი სახტად დატოვა და ტოგონიძესთან ეულად დარჩა. დარტყმა კი, უზუსტო გამოუვიდა. ამან მასპინძლები ძლიერ გაალიზიანა და ტაიმის შუა წელში სამჯერ გატანა მართებდათ. ჯერ იყო და ტულუშის მძლავრი აბრაგანი ჭანკოტაძეს შეეხო, თორემ გოლი გარდაუვალი იყო. ერთ წუთში, ამირან მუჯირმა გაილაღა მარცხენა ფლანგზე, კახა ალადაშვილს გაექცა და მარჯვენათი კარშიც დაარტყა. ჭურაძემ მხოლოდ ფეხის წვერით შეძლო ბურთის მოგერიება, რომელიც ქაცარავასკენ გაგორდა, მას კი რეაქცია დააკლდა და...

ამასობაში კარნევალემ მოედანზე შავ კაცს უხმო. უჩეს გამოჩენა და მის მისამართით გადაცემა ერთი იყო, რომელიც ხართიშვილმა ჩაჭრა, ოღონდ პირდაპირ მაჭუტაძეს მიუვიდა ბურთი. მის მიერ შეუჩერებლივი დარტყმულმა ძელს სანტიმეტრებით ჩაუქროლა.

ეს ხუთწუთიანი მონაკვეთი, მართლაც კარგი საცქერი იყო. მასპინძელთა თავდადება ცხადია, მაგრამ აქ ვეტერინართა ვაჟკაცური გარჯაა დასაფასებელი. მათი თავდადების ხილვა ერთ რამედ ღირდა. ვიტელებმა შტურმს გაუძლეს და დროდადრო კონტრშეტევებისთვისაც მოიცალეს. წინ ეულად დარჩენილ გიორგი ქორიძეს, მცველები მუდმივ დაძაბულობაში ჰყავდა, მაგრამ მარტო კაცი ვერას გახდა.

და მაინც, ბოლოსთვის აფხაზავას შეეძლო გატანა, როცა 7 მეტრიდან თითქმის აულებელი დაურტყა ჭურაძეს, რომელმაც სასწაული რეაქცია გამოავლინა და ბურთი ადგილზე გააქვავა.

თამაში დასრულდა და ატყდა ერთი ალიაქოთი. ზღვისპირელებმა აშკარა უკმაყოფილება გამოხატეს მსაჯების ქმედებით და კინაღამ შემოელახათ კიდეც. არა, ფიზიკური შეურაცხყოფა არ ყოფილა (ყოველ შემთხვევაში მე არ შემინიშნავს), მაგრამ სიტყვიერი, იცოცხლე ბლომად იყო.

შალამბერიძეს სამი პენალტის არდანიშვნაში ადანაშაულებდნენ. აქედან ორი ნაღდად არ იყო, ხოლო მესამე როცა ამირან მუჯირს ალადაშვილი ეუხეშა, მართლაც პენალტი იყო. აკი, იგივე დავაფიქსირეთ მოგვიანებით ვიდეოფირზე, რომელიც ბარე ათჯერ დაგვიტრიალეს.

მე თუ მკითხავთ, ეს უფრო შალამბერიძის შეცდომას უნდა მივაწეროთ და არა ვინმეს მიმართ მიკერძოებას. საერთოდ ეს მატჩი სამსაჯოდ ძალიან რთული გამოდგა და ასეთ დაძაბულ სიტუაციაში შეცდომა ვის არ მოსვლია. სამწუხარო ის არის, რომ ამით ზღვისპირელებს რა ხეირი? ისე კი, 50 წუთი კაცნაკლულ მეტოქესთან მათ პენალტის დანიშვნა — არდანიშვნამდე საქმე არ უნდა მიეყვანათ.

უნდა გენახათ ჯანი კარნევალეს რეაქცია ფირის ნახვის შემდეგ. „ჯორნალისტო, ჯორნალისტო — სკანდალე, სკანდალე"-ს გაიძახოდა და ადგილს ვერ პოულობდა.





ჩემპიონის მძლეველი „არსენალი" „სამგურალთან" ვერას გახდა

# ფეხბედნიერი ფინია

| | |
|---|---|
| წყალტუბო | |
| 29 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| 26 მაისი | |
| 1 000 (ტევადობა 12 000) | |

**სამგურალი 1:0 არსენალი**

1:0 ხაჭაპურიძე (19)
სამგურალი: ო. ბობოხიძე, ჭელიძე, ფრანგიშვილი, სადილიანი, ვოსკანოვი (ძოძუაშვილი 78), ფხაკაძე (ძაგნიძე 46), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე, კოხრეიძე, ლონლაძე (ნებიერიძე 61)
*სათადარიგონი:* ბოდოკია; ზურაბიანი, ჯავახაძე, ლ. ქობულაძე
არსენალი: ჩლაიძე, ცოტაძე, ასპინძელაშვილი, ლაცაბიძე, ირემაშვილი, მ. მაისურაძე (კვირკველია 14), ხოსროშვილი, ვ. ლუდუშაური, ამირიძე (კაკაშვილი 68), გონჩაროვი (რობაქიძე 74), ტარიელაშვილი
*სათადარიგონი:* კუპატაძე; ვახტანგ გაგუა, გ. სულაძე
გაფრთხილება: ხაჭაპურიძე (55)
მსაჯები: გ. ასკაროლლი (ქარელი); ა. ორდინიძე (ონი), ზ. დოლიძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე (ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: მ. ლაცაბიძე

**იუზა კაციტაძე წყალტუბოდან**

ნამეტანი ხანმოკლე გამოდგა რევაზ ბურკაძის „სამგურალში" მოღვაწეობა. ჯერ სამი თვე რაა და მერე სამი მატჩი. დიახ, საფეხბურთო კლუბ „სამგურალისადმი" ამავე კლუბის პრეზიდენტის გრიგოლ ქათამაძის 23 აგვისტოს №46 ბრძანებით გუნდის მთავარი მწვრთნელი რევაზ ბურკაძე გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან.

ბურკაძის დათხოვნას კარგა მოზრდილი პარაგრაფი ასაბუთებს (სტილი დაცულია): გუნდის მომზადებაში დაშვებული შეცდომებისათვის, ვარჯიშის უმიზეზოდ გაცდენისათვის და ასე შემდეგ... ბოლოს პრეზიდენტი მწვრთნელს პროკურატურით ემუქრება და, კომენტარიც თქვენთვის მოგვინდვია.

ფაქტი ფაქტად რჩება. რევაზ ბურკაძე წყალტუბოდან გაუშვეს. მთავარი მწვრთნელის მოვალეობის შესრულება ამასწინათ ბურკაძის ერთ-ერთ თანაშემწეც მისულ 36 წლის იასონ (სოსო) ბზიკაძეს დაეკისრა. ბზიკაძეს 15 წელი უთამაშია — ტყიბულში, ქუთაისში, წყალტუბოში, სამტრედიაში. საიმედო მცველი იყო. რაც შეეხება მწვრთნელობას, „სამგურალში" ეს მისი დებიუტია. ჰოდა, დებიუტიც ასეთი უნდა! „სამგურალმა" გუშინწინ წინა ტურში მარადი ჩემპიონის მძლეველ „არსენალს" უმასპინძლა და პირველი გამარჯვებაც ჩაიწერა აქტივში.

არმიელებს თავიანთი პრობლემები აქვთ, უფრო ფინანსური. მოგეხსენებათ, „არსენალი" საერთოდ არ აპირებდა წყალტუბოში ჩამოსვლას, მაგრამ, ეტყობა, ხელმძღვანელობამ გული დაიმედა და ისიც თამაშის დაწყებამდე 50 წუთით ადრე [illegible] 26 მაისზე.

[illegible] ძალიან ბევრს სცოდავდნენ, მოედნის ცენტრში უმისამართო გადაცემებს ხომ თვლა არ ჰქონდა. 90-მა წუთმა, ჰა და ჰა, ხუთი — ექვსი ეპიზოდი თუ დაგვიტოვა გასახსენებლად.

სტუმრებმა მე-14 წუთისათვის ნახევარმცველი მაისურაძე მოისაკლისეს. საკუთარ ნახევარზე მეტოქესთან შეტაკების შემდეგ მუხრანი უხერხულად დაეცა ძირს და ხელი ამოიგდო... ხუთ წუთში კი ამ მატჩში ერთადერთი გოლი გავიდა. წყალტუბოელებმა მარჯვენა ფლანგზე წამოიწყეს იერიში, სუხიაშვილი ბურთიანად წინ გაიჭრა და საჯარიმოს მიუახლოვდა თუ არა, გრძელი გადაცემით მოძებნა „არსენალის" სამეკარეოს კუთხეში ეულად მყოფი პარტნიორი. ირაკლი ხაჭაპურიძესაც სხვა არაფერი დარჩენოდა, თავურით ახლო კუთხეში გაიტანა. ფეხბედნიერი ყოფილა წითური ფინია, იგი სწორედ მაშინ შეცუნცულდა მოედანზე, როცა სუხიაშვილმა თანაგუნდელს უპასა.

გაშვებულის შემდეგ არმიელებმა თამაში კი გაამწვავეს, მაგრამ არც იმდენად, რომ წყალტუბოელთა დაცვას დიდი ჯაფა დადგომოდა, თუმცა მასპინძელთა მცველები ორჯერ მაინც შეცდნენ და სტუმართა კაპიტან ტარიელაშვილს მეტი ფხა რომ გამოეჩინა, ორიდან ერთი მომენტით მაინც ისარგებლებდა. არმიელს ჯერ ბობოხიძემ და ლონლაძემ არ აცალეს კარში დარტყმა, მერე კი მეკარემ მარტოდაც იმარჯვა, ტარიელაშვილის სახიფათო დარტყმა მოიგერია. პირველ ტაიმში სულ ეს იყო.

ბოლოსკენ თამაშმა „სამგურალის" ნახევარზე გადაინაცვლა. სტუმართა მეკარე ჩლაიძეც კი ლამის ცენტრამდე ამოდიოდა, მაგრამ, ცოტა არ იყოს, პრიმიტიულად გვენიშნა „არსენალის" შემტევი არსენალი.

და ერთიც. ვერ გეტყვით, ისეთი რა დააშავეს მეორე ტაიმში საკუთარ კარს უკან გასახურებლად გასულმა სათადარიგო არმიელებმა, ფაქტი კია, ახლო ტრიბუნიდან მათ ვილაც აუხირდა და... ქვა ესროლა.

# მოიგე? გაიხარე!

| | |
|---|---|
| რუსთავი | |
| 29 აგვისტო | |
| 18 საათი | |
| ფოლადი | |
| 1 500 (ტევადობა 10 700) | |

**გორდა 4:1 ხობი**

1:0, 2:0 ალადაშვილი (25, 65), 3:0, 4:0 კიტეიშვილი (70, 83), 4:1 დანელია (86)
გორდა: მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბექაური, ინასარიძე, გაბელაია, ვ. კილასონია, ჩიგოშვილი (კიტეიშვილი 36), მ. სახვაძე, თელიაშვილი (გ. ხიზანიშვილი 78), მიშველიძე (ლაბაძე 74), ლ. ალადაშვილი
*სათადარიგონი:* გონგაძე; ბაჩილავა, ბერიძე
ხობი: ბაბუაძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი, გედენიძე, ზურაბ აიანადი, ხურცილავა, გოგიტაძე, ვ. ჩიტაია, ლ. ბუკია (დ. დანელია 60), ჭიჭინაძე (ლ. გვაზავა 46), ზაზა აიანადი
*სათადარიგონი:* ნიქაბერიძე; ჯამბურია, ალანია, ქაშიბაძე
გაფრთხილება: გედენიძე (14), ჩიტაია (51), ხიზანიშვილი (88)
გაძევება: ზურაბ აიანადი (80)
მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი); ვ. ჩოჩიშვილი, ლ. სილაგავა (ორივე თბილისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა)
სფფ-ის დელეგატი: ა. ბაჩუკაშვილი

**გიორგი ვაშაკიძე რუსთავიდან**

კვირას ხობის „კოლხეთთან" ვარლამ კილასონიამ ითამაშა. გია კილასონიას და ბურნაძის ხელახალ დებიუტს მშობლიურ კლუბში რუსთაველები 11 სექტემბრისთვის ელიან, როდესაც „ფოლადს" გორის „დილა" ესტუმრება.

არბიტრი თამაზ ლაცაბიძის სასტვენი და გუნდებმაც თამაში ყოველგვარი დაზვერვის გარეშე დაიწყეს, ერთთავად იმას ცდილობდნენ, როგორმე მოედნის ცენტრს დაუფლებოდნენ, საწყისმა წუთებმაც გარდამავალი უპირატესობით ჩაიარა. რუსთველებს უკვე მეთხე წუთზევე შეეძლოთ ანგარიშის გახსნა — კილასონიას პასით ლაშა ალადაშვილი ურტყამდა, თუმც სუსტად გამოუვიდა, ბაბუაძემ მოიგერია. მერე კი ხობელებმაც გამოილეს ხელი, მაგრამ 24-ე წუთამდე საინტერესო არაფერი მომხდარა.

ვარლამ კილასონიამ ჯარიმიდან სახიფათოდ დაბალი ბურთი დაარტყა, უხარისხო მინდვრის ბრალი იყო, თუ რა, ბურთი მეკარე ბაბუაძის ცხვირწინ დაეცა და მანაც ნახტომში მკერდით კუთხურზე მოიგერია. ამის შემდეგ გამოცდილი გოლკიპერი აიჭრა, მთელი შეხვედრა შესაძლებელზე აშკარად სუსტად ჩაატარა. წუთის მერე კი მასპინძლებმა XI ეროვნულში პირველად გაიხარეს. ხობელები ხელოვნური თამაშგარეს შექმნას ცდილობდნენ, მცველმა ამოსვლა ვერ მოასწრო და ალადაშვილიც მეკარესთან პირისპირ დარჩა — 1:0.

მეორე ტაიმი სანახაობრივად პირველზე უკეთესი გამოდგა. 54-ე წუთზე ვარლამ კილასონიამ საჯარიმო კლასიკურად შეასრულა, ჩინებულად მოჭრილმა ბურთმა კი ბაბუაძის კარის მარცხენა ძელს ჩაუქროლა. 11 წუთში მასპინძლებმა მეორედ გაიხარეს. კილასონიას ჩინებული პასის შემდეგ ალადაშვილმა ძლიერად დაარტყა, მეკარემ ბურთი უკუაგდო, მაგრამ გაუვარდა, დამატებაზე ლაშამ ჭვინტი ჰკრა და 2:0.

ხუთ წუთში კი „ფოლადზე" ენით აუწერელი სილამაზის გოლი გავიდა. კიტეიშვილმა ყველასათვის მოულოდნელად ოცდახუთიოდე მეტრიდან უძლიერესად დაარტყა. მეკარემ მხოლოდ თვალი გააყოლა ბურთს, რომელიც პირდაპირ ცხრიანში შეფრინდა და მაყურებელი წამით გააოგნა — 3:0.

ბოლოს კი რუსთაველთა მეოთხე და ხობელთა პრესტიჟის გოლი იყო. რუსთაველებმა დამსახურებულად კი მოიგეს, მაგრამ ხობელთა ასეთ უსუსურ თამაშს არავინ ელოდა. აკი აღნიშნეს კიდეც სტუმრებმა, როგორაც გვსურდა, ვერ ვითამაშეთ, იმედია, შემდეგ ტურში, თსუ-ს ღირსეულად დავუხვდებითო.



ლაშა ალადაშვილმა (მარცხნივ) სტუმრებს ორი გოლი გაუტანა

# ჩუუ, მოვიდა!


იოჰან ბოსკამპი

ბადრი ქართველიშვილის ფოტო

ᲐᲘ-ᲢᲐᲢᲐ-ᲢᲐ-ᲢᲐᲣ მოიდა ზურაბაო. ხომ გახსოვთ ქართული კომედია „ზოგი ჭირი მარგებელია"? მოვიდოდა ბატონი თავისი გიტარითა და ჩქარი ტაშით და ყველაფერს აურ-დაურევდა.

ქართველ ფეხბურთელებს რომ ჰკითხო, იმ ზურაბაზე ნაკლებს როდი ურევს მყვირალა ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი. დაგვანგრია და აგვაოხრაო, იძახიან ბიჭები ყოველი წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ და იოჰან მარცხიანს მაგარ-მაგრებსაც უგზავნიან.

„დინამოდან" რა ხანია წასული ბოსკამპი ჯერაც საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელია და, რა თქმა უნდა, ნაკრების სასლოვენიოდ მოსამზადებლად თბილისს სლოვენიასთან მატჩამდე ოთხი დღით ადრე ეწვია.

გუშინ საღამოს ათის ნახევარზე ბოსკამპი თბილისში ჩამოფრინდა. აეროპორტში ჰოლანდიელს ნაკრების მეორე მწვრთნელი გია გეგუჩაძე და ორიოდ სხვაც მიეგებნენ.

დღეს დილიდან კი, როცა იოჰან მრისხანე დიღმის ბაზაზე განთავსდება, იქაურობას სულ სხვა ელფერი დაედება — იყვირებს, იჩხუბებს, სიქას გააცლის ფეხბურთელებს ჰოლანდიელი და ვინ არ შეასრულებს მის დავალებას, მაგასაც ვნახავთ.

კიდევ თუ ყველაფერი გადაუთარგმნეს ისაა საფიქრალი, მისი წასვლის შემდეგ ქართველმა ფეხბურთელებმა რა აზრებიც გამოთქვეს, ბოსკამპს... ხომ გაგიჟდა ისედაც ნერვებმოშლილი კაცი.

ᲞᲐᲐᲢᲐ ᲠᲣᲠᲣᲐ

# ნაკრებმა ვარჯიში ჩააგდო

ᲒᲣᲨᲘᲜ საღამოსთვის დიღმის ბაზაზე საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს მსუბუქი ვარჯიში უნდა ჩაეტარებინათ. ვარჯიში არ ჩატარდა და თუ რატომ, ამაზე პასუხი მხოლოდ ვარაუდის დონეზე თუ გაეცემა.

უპირველეს მიზეზად ის უნდა ჩავთვალოთ, რომ გუშინ საღამოსთვის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჯერაც არ სწვეოდა თბილისს — არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თბილისში გუშინ საღამოსთვის მხოლოდ ერთი ლეგიონერი, მეკარე დავით გვარამაძე იყო ჩამოსული. თუ „კოშკას" ნაკრებში მიწვეული ოთხიოდ თბილისის დინამოელი დაემატებოდა, კიდევ შეიძლებოდა ნაკრების კანდიდატებს წაევარჯიშათ, მაგრამ ბაზაზე გვარამაძის გარდა ერთი ნაკრების წევრიც არ დაგვილანდავს და დავითის მარტო ვარჯიშს აბა, რა აზრი ჰქონდა.

დღეისთვის აუცილებლად გვეწვევიან ლეგიონერები, იოჰან ბოსკამპიც აქ იქნება და ნაკრებიც შეკრებისთვის შესაფერ რიტმში ჩაჯდება.

ამასობაში ორი სექტემბერიც მოვა და შინდისფერი ლეგიონი სლოვენიაში გადაფრინდება.

ᲚᲣᲙᲐ ᲗᲐᲚᲐᲙᲕᲐᲫᲔ

# კატანეცმა გუნდს უხმო
## საქართველოს უნდა მოვუგოთ

ᲝᲗᲮᲘ დღეც და საქართველოს ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მორიგ შესარჩევ მატჩს ჩაატარებს. 4 სექტემბერს ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპის მიერ დამოძღვრილი ქართველები ლიუბლიანაში, სლოვენიის ეროვნულ გუნდს შეხვდებიან. მანამდე კი მწვრთნელმა სრეჩკო კატანეცმა ის 18 ფეხბურთელი დაასახელა, რომლებიც ნაკრების ღირსებას 4 და 8 სექტემბერს დაიცავენ საქართველოსთან და ნორვეგიასთან.


სრეჩკო კატანეცი

ქართველთა და სლოვენიელთა პირველი, თბილისური მატჩისგან განსხვავებით, კატანეცმა ყველა უძლიერეს სლოვენიელს მოუყარა თავი. ხომ თქვა მან ალბანეთის 2:0 ძლევის შემდეგ მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე, ქართველებს უეჭველად მოვუგებთო. კატანეცის კიდევ ერთს ნათქვამს შეგახსენებთ: „მოვუგებთ საქართველოს, ბელგია — ჰოლანდიაში უეჭველად წავალთ, ან ახლა, ან არასდროს..."

ნაკრების ლიდერი, ევრო 2000-ის სლოვენიელთა ბომბარდირი ზლატკო ზაჰოვიჩი (სლოვენიელთა მიერ შესარჩევში გატანილი 10 გოლიდან 7 მის წილად მოდის) თბილისური მატჩის დარად, ქართველებს ახლაც ემუქრება: „მოხარული ვიქნები, თუ გოლის გატანის საშუალება კვლავ მომეცემა."

და მაინც. ვის იმედზე აპირებს სრეჩკო კატანეცი საქართველოს დამარცხებას?

*ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲔᲑᲘ:* მლადენ დაბანოვიჩი (ლოკერენი, ბელგია), მარკო სიმეუნოვიჩი (მარიბორი);

*ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ:* სპასოიე ბულაიჩი (კიოლნი, გერმანია), მარინკო გალიჩი (მარიბორი), ალექსანდერ კნავსი (ტიროლი, ავსტრია), დარკო მილანიჩი (შტურმი, ავსტრია), ჟელიკო მილინოვიჩი (ლინცერი, ავსტრია);

*ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ:* მილენკო აჩიმოვიჩი (ცრვენა ზვეზდა, იუგოსლავია), ალეს ჩეჰი (გრაცერი, ავსტრია), საშო გაიზერი (გენტი, ბელგია), რუდი ისტენიჩი (ფორტუნა, დიუსელდორფი, გერმანია), ამირ კარიჩი (მარიბორი), მირან პავლინი (ფრაიბურგი, გერმანია), დონი ნოვაკი (ლე ავრი, საფრანგეთი), ზლატკო ზაჰოვიჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი);

*ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ:* მილან ოსტერცი (ერკულესი, ესპანეთი), მლადენ რუდონია (სენტ ტრუიდენი, ბელგია), საშო უდოვიჩი (ლინცერი, ავსტრია).

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ





1999 წლის 3 სექტემბერს ჟურნალისტთა სახლში (ერეკლეს მოედანი, 3) გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა გამოსავლენი სარეფერენდუმო კომიტეტისა და ჟიურის ერთობლივი სხდომა.

შეჯამდება რეფერენდუმის მეორე ეტაპის შედეგები, გამოცხადდება მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ნომინაციების ლაურეატთა ვინაობა.

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 15 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ


## საქართველოს თასი

პირველი ეტაპი. 27 აგვისტო

*ივერია (ხაშური)* 7:0 მესხეთი (ახალციხე)
ყვარელი 0:2 *ჟაბუკიანი*
*ცხინვალი* 4:1 განთიადი (კასპი)
არსენალი 2 (თბილისი) 1:2 *ს. ქ. ივერია (თბილისი)*
*ლოკომოტივი 2 (თბილისი)* 6:2 საუ (თბილისი)
*ზოოვეტი (თბილისი)* 12:0 ალაზანი (გურჯაანი)
ვარძია (ასპინძა) 0:2 *თორი (ბორჯომი)*
ცხუმი (სოხუმი) 3:5 *შსს აკადემია (თბილისი)*
კოლხეთი 2 (ფოთი) 1:4 *შუქურა (ქობულეთი)*
*გურია (ლანჩხუთი)* 2:0 კოლეჯი (ბათუმი)
ინტერი (ქუთაისი) 0:1 *მარგვეთი (ზესტაფონი)*
*მეტალურგი (ზესტაფონი)* 5:2 მაღაროელი (ჭიათურა)
დინამო (ბაგრა) 2:3 *ოკეანე (სამტრედია)*
*მეგრი (ზუგდიდი)* 1:1 (2:1 დ.დ.) სქური (წალენჯიხა)
სულორი (ვანი) 0:0 (0:5 დ.დ.) *ივერია 2 (სამტრედია)*
*სამეგრელო (ჩხოროწყუ)* 2:1 ლაზიკა (ზუგდიდი)

დახრილი შრიფტით — მერვედფინალში გასული გუნდები

# ENTER SPORT-ი გიორგი ნემსაძით იწყებს
## ეროვნული ნაკრების კაპიტანმა ფიფას აგენტ ბენეშთან კავშირი გაწყვიტა


ბადრი ქართველიშვილის ფოტო

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ეროვნული ნაკრების კაპიტანი გიორგი ნემსაძე, რომელიც იტალიის სეირა B-დან „რეჯანას" გავარდნის შემდეგ უგუნდოდაა, სულ მალე ესპანეთის, საბერძნეთის ან საფრანგეთის რომელიმე სოლიდურ კლუბში გადავა — ამის შესახებ „კავკასის სპორტ მარკეტინგის" პრეზიდენტმა ზურაბ ბოქოლიშვილმა გვაცნობა.

ქართველის ტრანსფერთან ამჯერად აღარაფერი ესაქმება დანიელ ფიფას აგენტ ივან ბენეშს, რომელიც ამ რამდენიმე თვის მანძილზე უშედეგოდ ეძებდა ნემსაძისთვის კლუბს. ორიოდე კვირის წინ ნემსაძემ ბენეშთან კავშირი გაწყვიტა და ამერიკის სამენეჯერო სააგენტო „Enter Sport"-თან გააფორმა კონტრაქტი. ეს სწორედ ის „Enter Sport"-ია, რომელზეც „სარბიელის" 18 ივნისის ნომერში გიამბეთ. "Enter Sport"-ი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ამერიკული სპორტულ აგენტთა სააგენტოა, რომელმაც წლეულს ამიერკავკასიის განყოფილება „კავკასია სპორტ მარკეტინგი" დააფუძნა — ოფისით საქართველოს დედაქალაქში.

სააგენტო პრიორიტეტი კავკასიაში ფეხბურთი და კალათბურთია. Enter Sport-ზე გადის NBA-ში წამსვლელ ევროპელ კალათბურთელთა გზა. მასთან ხელშეკრულება გაუფორმებიათ მსოფლიო ფეხბურთის ისეთ ვარსკვლავებს, როგორებიც არიან სამორანო, კანუ, დე ლაპენია, კოვაჩევიჩი...

სააგენტო არ შემოიფარგლება მხოლოდ კონტრაქტის გაფორმებით. მასთან დაკავშირებული სპორტსმენის ფინანსურ მდგომარეობაზე, იმიჯზე, სარეკლამო და სპორტულ შემოსავლებზე მთლიანად სააგენტო ზრუნავს.

სექტემბრიდან თბილისში „კავკასია სპორტ მარკეტინგს" საკუთარ ოფისს გახსნის, სადაც თავს მოიყრის სრული ინფორმაცია იმ ფეხბურთელებსა და კალათბურთელებზე, რომლებიც Enter Sport-ის სათავო ორგანიზაციის მოთხოვნებს დააკმაყოფილებენ. მერე ეს ცნობები გადაიგზავნება სააგენტოს ევროპულ ოფისში, რომელიც მილანშია განლაგებული.

აღსანიშნავია, რომ Enter Sport-ის ფეხბურთის დეპარტამენტის შეფი ცნობილი აგენტი კლაუდიო ვიგორელია. სრულიად შესაძლებელია, ნემსაძის ტრანსფერზე დღეს სწორედ ის მუშაობდეს. ზურაბ ბოქოლიშვილის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ გასული სეზონი ნემსაძესთვის არც ისე წარმატებული გამოდგა, ქართველით საფრანგეთის, საბერძნეთის და ესპანეთის სოლიდური კლუბები არიან დაინტერესებულნი.

ნემსაძის ახალი კლუბის ვინაობა უახლოეს ორ კვირაში გაირკვევა — გვითხრა ზურაბ ბოქოლიშვილმა.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

# გივი ნოდიამ გადადგომა ითხოვა
## ბირიუკოვი თვლის, რომ ნოდიამ იგი განტევების ვაცად აქცია



ᲡᲐᲜᲥᲢ ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ „ლოკომოტივთან" კონტრაქტის დასრულებამდე ნახევარი წლით ადრე გივი ნოდიამ გადადგომა ითხოვა. 51 წლის ქართველმა მწვრთნელმა განცხადება წარუდგინა „ლოკომოტივის" პატრონს, ალექსანდრ კუზნეცოვს. „ლოკომოტივი" ახლა 30 ქულით რუსეთის პირველი დივიზიონიდან გავარდნის ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია.

კუზნეცოვი ჯერჯერობით უარობს ნოდიას გათავისუფლებას, სამაგიეროდ, მან დააკმაყოფილა ფეხბურთელი, მეკარე მიხაილ ბირიუკოვი.

ბირიუკოვი თვლის, რომ იგი ნოდიამ ყველა ბოლოდროინდელი წარუმატებლობის მიზეზად აქცია. „მე 5 წელი შევწირე ამ კლუბს და ახლა მწვრთნელი თვლის, რომ გუნდის წარმატების ალარ მჯერა. მან მე განტევების ვაცად მაქცია" — ამბობს ბირიუკოვი. მისი აზრით, „ლოკოს" ჩავარდნა მთლიანად ნოდიას კისერზეა, ქართველი მწვრთნელი კი ცდილობს, შეცდომები სხვებს გადააბრალოს.

სულ სხვაგვარად ფიქრობს ნოდია. „ბირიუკოვმა დაკარგა რწმენა, რომ „ლოკოს" კვლავაც შეუძლია გამარჯვებების მოპოვება. მას, რა თქმა უნდა, უდიდესი წვლილი მიუძღვის ლენინგრადულ-პეტერბურგული ფეხბურთის განვითარებაში, მაგრამ ბოლოდროინდელი დამარცხებები მისი უხეში შეცდომების შედეგია. მე მივედი დასკვნამდე, რომ ბირიკოვი ცუდ ზეგავლენას ახდენს გუნდზე და მას კარიერის დასრულება ჯობია".

ნოდია-ბირიუკოვის დაპირისპირებას კლუბში სხვა ინტრიგებიც ემატება. ცალკე „კლანად" ჩამოყალიბდა სომხური დუეტი (მონასიანი-ვოსკანიანი), რასაც მატჩებიც ააშკარავებს, ბოლო შეხვედრისას პერმის „ამკართან" ვოსკანიანმა ცარიელ კართან მდგომ ქართველ ხუნდაძეს პასი არ მისცა, თუმცა შემდეგ გამარჯვების გოლი გაიტანა.

დარჩება თუ არა ნოდია პეტერბურგის მეორე გუნდში, სადაც ბოლო ხუთი წელი გაატარა, მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, დატოვებს თუ არა „ლოკომოტივი" პირველ დივიზიონს.

„ამისათვის 53 ქულა მაინც უნდა დავაგროვოთ, ანუ დარჩენილი თამაშებიდან 8 აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რაც საკმაოდ რთული ამოცანაა" — თვლის ქართველი მწვრთნელი.

ᲡᲘᲛᲝᲜ ᲛᲔᲜᲐᲑᲓᲔ

# ბარსელონა vs 80%

## ესპანეთი

II ტური

### რაიო 2:1 მალიორკა

0:1 კარერასი (43), 1:1 სემბრანოსი (65), 2:1 კანაბალი (88)
რაიო: კელერი, კოტა, ერნანდესი, ლიორენსი, ალკასარი (ვან დენ ბერგი 57), ესტიბარისი, პოშნერი (მიჩელ I 65), ლუის სემბრანოსი, ფერონი, მიჩელ II, ბოლო (კანაბალი 75)
მალიორკა: ფრანკო, ოლაისოლა, ნინიო, სივიერო, მიგელ სოლერი, ლაურენი, ენგონგა, კარერასი, ჯოკაი (ფ. სოლერი 72), იბაგასა (ნადალი 41), კარლოსი (გაბრიჩი 53)
გაფრთხილება: კოტა, პოშნერი, ფრანკო, ენგონგა, სივიერო
გაძევება: სივიერო (41)
მსაჯი: პერეს ლასა

### სოსიედადი 4:1 ატლეტიკო

0:1 სოლარი (8), 1:1 დე პაულა (65), 2:1, 3:1 ბონილია (71, 76), 4:1 დე პაულა (90)
სოსიედადი: ალბერტო, ლორენი, პიკაბეა, არანსაბალი, გერერო, ადეპოჟუ (დე პაულა 59), იდიაკესი, დე პედრო (კიუმბაუერი 78), რეკარტე, ზა პინტუ (ანტია 78), ბონილია,
ატლეტიკო: ტონი, ჩამოტი, სანტი, გამარა, სოლარი, უგო ლეალი (ბარახა 75), პილიპაუსკასი, ვალერონი (ბეიბლი 72), კაპდევილია, ჰასელბაინკი, ხოსე მარი
გაფრთხილება: გერერო, რეკარტე, იდიაკესი, ჰასელბაინკი, კაპდევილია
გაძევება: ჩამოტი (70)
მსაჯი: პერეს ბურული

### სელტა 2:1 სევილია

1:0 მაკარტი (23), 1:1 ცარტასი (74), 2:1 მაკელელე (76)
სელტა: დუტრუელი, ველასკო, კასერესი, ადრიანო (სელადესი 46), ხუანფრანი, მაკელელე, კარპინი (ტომასი 56), ჟოვანელა, რევივო (ბრუნო კაირეში 81), გუსტავო ლოპესი, მაკარტი
სევილია: ვალენსია, პიბიჩი, მარჩენა, კევედო, ექტორი, ნანდო, ფრანსისკო (ანხელი 66), ცარტასი, პოდესტა, ხუან კარლოსი (სალაიეტა 59), ოტერო (ოლივეირა 74)
გაფრთხილება: ველასკო, გუსტავო ლოპესი, კარპინი, მაკარტი, ფრანსისკო, კევედო, პიბიჩი
მსაჯი: ბრიტო არსეო

### სარაგოსა 4:0 ოვიედო

1:0 ჟამელი (5), 2:0 მარტინ ველისკა (66), 3:0 მარკოს ვალესი (69), 4:0 მილოშევიჩი (90)
სარაგოსა: ხუანმი, პაბლო, აგუადო, პაკო, სუნდგრენი, მარკოს ვალესი, აკუნია, გარიტანო (არაგონი 63), მარტინ ველისკა (ხორხე მარტინესი 84), ჟამელი (იორდი 63), მილოშევიჩი
ოვიედო: ესტებანი, დანჟუ, ონოპკო, ბორისი, ესკურსა, ნადი, პაულუ ბენტუ (ივან იგლესიასი 80), კორბო (ამიევა 63), პომპეი, კლასენსი (ფაბიო პინტუ 51), დელი ვალდესი
გაფრთხილება: მილოშევიჩი, გარიტანო, ესტებანი
მსაჯი: ტურიენსო ალვარესი

### რასინგი 1:2 ბარსელონა

0:1 რივალდო (39), 0:2 კოკუ (43), 1:2 სალვა (78პ)
რასინგი: სებალიოსი, ტაისი, მელბერგი, არსენო, სიეტესი, ისმაელი (შუსტიკოვი 80), ესპინა, მანხარინი (ბესჩასტნიხი 58), ამავისკა (მორანი 80), მუნიტისი, სალვა
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი, დეუ, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, კოკუ (ზენდენი 67), ფიგუ, გაბრი (სავი 70), კლუივერტი, რივალდო (ბოგარდი 89)
გაფრთხილება: გაბრი, სერხი, სიეტესი
მსაჯი: ევარისტო პუენტეს ლეირა

### ესპანიოლი 3:2 ვალენსია

1:0 ბენიტესი (11), 2:0 დე ლუკასი (19), 2:1 მენდიეტა (45პ), 3:1 პოსე (51), 3:2 ხუან სანჩესი (90)
ესპანიოლი: კავალიერო, კრისტობალი, პოკეტინო, როტჩენი, ნავასი, არტეაგა, ბენიტესი (კასარტელი 72), გალკა, სერხიო, დე ლუკასი (კორინო 66), მარტინ პოსე (როხერი 74)
ვალენსია: კანისარესი, ანგლომა (ილიე 71), როში, ფაჯანი (ხერარდი 81), ჯუკიჩი, ანგულო, ალბელდა, ფარინოსი (კილი გონსალესი 34), მენდიეტა, სანჩესი, კ. ლოპესი
გაფრთხილება: დე ლუკასი, გალკა ანგლომა, ბენიტესი, სერხიო, კილი გონსალესი, ალბელდა, ანგულო, ფაჯანი
მსაჯი: კარმონა მენდესი

### ალავესი 2:1 მალაგა

0:1 კატანია (9), 1:1, 2:1 ხულიო სალინასი (64, 84)
ალავესი: ერერა, კონტრა, კარმონა, ტელიესი, ტორეს მესტრე, დესიო, იბონ ბეგონია (ნან რიბერა 58), პაბლო, ასტუდილიო, მორენო (ხულიო სალინასი 46), კოდრო (მანიო 81)
მალაგა: კონტრერასი, როხასი, ლარაინსარი, ბრავო, როტეტა, რუანო, ვალკარსე (ლუკე 87), დე ლოს სანტოსი, ედგარი (რუფეტე 69), დარიო სილვა (აგოსტინიო 69), კატანია
გაფრთხილება: ხულიო სალინასი, დესიო, მანიო, ტელიესი, კოდრო, ტორეს მესტრე
მსაჯი: ბუენო გრიმალი

### ბეტისი 0:0 დეპორტივო

ბეტისი: პრატსი, ოტერო, ფილიპესკუ, ბორნესი, რივასი, კანიასი (იტო 70), კარპანი, ბენხამინი, ფინიდი, დენილსონი, ოლი (გალვესი 62)
დეპორტივო: სონგო, სესარი, შურერი, რომერო, ვიკტორი (ფლავიო კონსეისაო 56), მანუელ პაბლო, მაურო სილვა, ჯალმინია, იოკანოვიჩი, მაკააი (ტურუ ფლორესი 78), პაულეტა (მანუელი 74)
გაფრთხილება: კანიასი, ფილიპესკუ, შურერი, მაურო სილვა, მანუელ პაბლო, სონგო
მსაჯი: ლიონჩ ანდრეუ

### ვალიადოლიდი 1:0 ბილბაო

1:0 ვიკტორი (11)
ვალიადოლიდი: სესარი, ტურიელი, სანტამარია, პენია (ვისკაინო 72), გარსია კალვო, მარკოსი, ლოსანო, როდრიგო, ვიკტორი (ლუის გარსია 67), ჩემა, კონგო (ალბერტო 85)
ბილბაო: ი. ეჩებერია, ვალესი, ფერეირა, ალკორტა, ლაკრუსი (ედუ ალონსო 55), ურუტია (ალკისა 63), გერერო, ფელიპე, ხ. ეჩებერია, ურსაისი, ესკერო (სივორი 65),
გაფრთხილება: სანტამარია, ლოსანო, პენია, ურუტია, ვალესი, როდრიგო
გაძევება: როდრიგო (90)
მსაჯი: ესკინას ტორესი

### რეალი 4:1 ნუმანსია

1:0 როჩა (46ს.კ.), 2:0 სავიო (56), 3:0 მაკმანამანი (69), 4:0 იერო (80პ), 4:1 მორანი (90)
რეალი: ილგნერი, მიჩელ სალგადო, იერო, ჟულიო ცეზარი, რობერტო კარლოსი, ხერემი, რედონდო (ელგერა 70), რაული, ანელკა (სავიო 55), გუტი (მაკმანამანი 46), მორიენტესი
ნუმანსია: ნუნიესი, ხაუმე, მუნისი, ივან როჩა, ოქტავიო, ნაგორე, მორანი, პაჩეტა (მორო 68), ბარბუ, პოპესკუ, რუბენ ნავარო (რივერა 58)
გაფრთხილება: ნუნიესი, ხაუმე, მორანი, მორო, რივერა, ივან როჩა, ანელკა
გაძევება: ივან როჩა (89)
მსაჯი: ხაპონ სევილია



REUTERS ბარსელონიდან

ესპანიოლი — ვალენსია 3:2. მასპინძელთა ნახევარმცველი სერხიო (მარჯვნივ) ცდილობს, ვალენსიელ ფაჯანის დაუსხლტეს და შეტევა წამოიწყოს

მეორე ტურის შეხვედრათა 80 % მასპინძელთა გამარჯვებით დამთავრდა, რაც ესპანეთის ჩემპიონატისთვის უიშვიათესი შემთხვევაა! ეს მაჩვენებელი, თქვენ წარმოიდგინეთ, 90 პროცენტამდე უნდა გაზრდილიყო, მაგრამ ამას „დეპორტივოს“ მეკარე ჟაკ სონგო ალუდგა წინ: „ბეტისთან“ მატჩის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე სტუმართა მეკარემ დენილსონი წააქცია საკუთარ საჯარიმოში. მსაჯმა თერთმეტმეტრიანი დანიშნა. სონგომ ჩინებულად ითამაშა და ფინიდის დარტყმული ბურთი მოიგერია.

სტუმრებმა სულ ერთი მატჩი მოიგეს. ეს მიღწევა „ბარსელონას“ ეკუთვნის. 39-ე წუთზე რივალდომ მასპინძელთა საჯარიმო მოედნის ახლოს, მარცხენა შუამარბის ადგილზე მიიღო ბურთი. წინ რამდენიმე მცველი ედგა. დახვეწილი; სწრაფი მოძრაობებით სახტად დატოვა ორი მათგანი და სლალომისტივით ჩაუქროლა მათ, მესამესაც დაასწრო და ვიდრე დანარჩენები მის შთამბეჭდავ დრიბლინგს პირდაფჩენილები შეჰყურებდნენ, ცაციათი შორეულ დაბალ კუთხეში გაიტანა ბურთი.

ამაზე ლამაზი გოლიც ბევრი გვინახავს, მაგრამ ასეთი ნატიფი ოსტატობა, უმაღლესი კლასის დემონსტრირება, ყველა ლამაზად გატანილ გოლს როდი ახლავს თან. ჰოდა, ესპანურმა სატელევიზიო საფეხბურთო მიმოხილვამ „ესტუდიო ესტადიომ“ რივალდოს ეს შედევრი, ვფიქრობ, დამსახურებულად აღიარა ტურის საუკეთესო გოლად.

შესვენებამდე კოკუმ მეორედაც შეაგდო ბურთი მასპინძელთა კარში. ამის მერე ყველაფერი ნათელი იყო და 78-ე წუთზე ჰესპის კარში პენალტით გატანილმა გოლმა (სალვა) ვეღარაფერი შეცვალა.

„ბარსას“ არც „რეალი“ ჩამორჩა: მშობლიურ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ საკუთარ გულშემატკივართა გასახარად ოთხი გოლი გაიტანა და მორიგი სამი ქულაც მიიმატა. უნდა ითქვას, უგოლო პირველი ნახევრის მერე სტუმართა მცველს ივან როჩას მატჩის განახლებისთანავე საკუთარ კარში რომ არ გაეტანა... თუმცა, ვფიქრობ, „რეალი“ მაინც მოიგებდა. ძნელი წარმოსადგენია, ადრე თუ გვიან გოლი არ გასულიყო. აღსანიშნავია ისიც, რომ სტივ მაკმანამანმა ესპანეთის ჩემპიონატში თავისი პირველი გოლი იზეიმა.

ძალიან შაბლონურად ჟღერს, მაგრამ მიწევს კონსტატირება იმისა, რომ „რეალ“ — „ბარსელონა“ ისევ ჩემპიონობის უმთავრესი პრედენდენტები იქნებიან და მათ ძნელად ვინმემ ღირსეული ბრძოლა გაუმართოს.

კვლავ დამარცხდა „ვალენსია“, რომელმაც ამჯერად „ესპანიოლს“ ვერ გაუწია სათანადო წინააღმდეგობა. მეოცე წუთისთვის მასპინძლები უკვე ორი ბურთით იგებდნენ (2:0). ხოლო ის, რომ ვალენსიელებმა მეორე გოლი მატჩის 92-ე წუთზე გაიტანეს, მოწმობს იმას, რომ ბარსელონელებს მატჩის საბოლოო შედეგზე სანერვიულო ბევრი არაფერი ჰქონდათ.

სასტიკად დამარცხდა მადრიდის „ატლეტიკო“. სანსებასტიანელმა ბასკებმა კასტილიელებს [illegible] აკარეს და მიუხედავად იმისა, რომ უკვე მე-8 წუთზე 0:1 აგებდნენ, დე პაულასა და ბონილიას გოლების წყალობით დიდი ანგარიშით გამარჯვება შეძლეს.

გაიმარჯვა (2:1) ბასკეთის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა „ალავესმა“ (ორივე ბურთი ვეტერანმა ხულიო სალანასმა გაიტანა). აი, ბილბაოს „ატლეტიკი“ კი „ვალიადოლიდთან“ დამარცხდა (0:1). ოვიედოში წაგების მერე პირველი გამარჯვება იზეიმა „სელტამ“. შოთა არველაძის ყოფილი თანაგუნდელის, სამხრეთაფრიკელი ბენი მაკარტისა და მაკელელეს გოლებით ვიგოელებმა „სევილიას“ აჯობეს — 2:1. „სარაგოსამ“ ამ ტურში ყველაზე დიდი სხვაობით გაიმარჯვა — 4:0. ჟამელიმ მე-5 წუთზე დააწინაურა თავისი გუნდი. ამის მერე „ოვიედოს“ ოპტიმიზმის არანაირი საბაბი არ მისცემია. მეორე ტაიმის შუა მონაკვეთში მარტინ ველისკამ და მარკოს ვალესმა ხუთ წუთში ორი გოლი გაიტანეს და სტუმრებს ოცნების საშუალებაც კი მოუსპეს.

დასასრულ მიმდინარე ჩემპიონატის დებიუტანტის „რაიო ვალეკანოსა“ და ბოლო სეზონის ერთ-ერთი გმირის „მალიორკას“ მატჩზე. პირველ ტურში „რეალთან“ ნაწვნევი დრამატული მარცხის მერე „მალიორკამ“ (შუალედში ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში რომ ვერ გააღწია — „მოლდესთან“ დამარცხდა) თითქოს დააპირა ბედის ბორბლის წაღმა დატრიალება, მაგრამ კარერასის გოლის საპასუხოდ ჯერ სემბრანოსმა გამოიჩინა თავი, მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე კი კანაბალმა გაიტანა ბურთი და კუნძულელთა იმედიც გააცამტვერა.

**ზურაბ ინასარიძე**

| № | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | რეალი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:2 | 4 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 2 | რაიო ვალეკანო | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 3 | ბარსელონა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 4 | სოსიედადი | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 5 | დეპორტივო | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 6 | სარაგოსა | 2 | 1 | 0 | 1 | 4:2 | 2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 7 | რასინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 |
| 8 | ესპანიოლი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 9 | მალაგა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 10 | სელტა | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 11 | ბილბაო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 12 | ვალიადოლიდი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 | ალავესი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 14 | ნუმანსია | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 15 | ოვიედო | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | -4 | 0 |
| 16 | სევილია | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 | ბეტისი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 | ვალენსია | 2 | 0 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 0 |
| 19 | მალიორკა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 20 | ატლეტიკო | 2 | 0 | 0 | 2 | 1:6 | -5 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |

II ტური

12 სექტემბერი

რაიო ვალეკანო — სოსიედადი
ატლეტიკო — სელტა
სევილია — სარაგოსა
ოვიედო — რასინგი
ბარსელონა — ესპანიოლი
ვალენსია — ალავესი
მალაგა — ბეტისი
დეპორტივო — ვალიადოლიდი
ბილბაო — რეალი
მალიორკა — ნუმანსია

## მეორე დივიზიონი

II ტური

### ლევანტე 3:0 ლეიდა

1:0 სალილასი (1), 2:0 ფერნანდო სალესი (24), 3:0 სალილასი (56)

### ხეტაფე 1:2 ესტრემადურა

0:1 კალა (50), 0:2 მანუელი (76), 1:2 პულიდო (90)

### უელვა 1:0 კორდობა

1:0 ხუან მორენო (70)

### ტენერიფე 2:1 ლოგრონიესი

1:0 პიერი (50), 1:1 მანელი (83), 2:1 ბარატა (87)

### ატლეტიკო B 4:3 ლეგანესი

0:1 პაკონი (30), 1:1 პეპე დომინგი (32), 1:2 ხოსე მარი (39), 2:2 პაბლო გარსია (71), 3:2 პეპე დომინგი (78), 3:3 ხოსე მარი (88), 4:3 მარკესი (90)

### სპორტინგი 1:2 ლას პალმასი

1:0 ჩერიშევი (29), 1:1 ტევენეტი (35 პ), 1:2 ნესასი (85 ს.კ.)

### ტოლედო 0:1 კომპოსტელა

0:1 ჩანგუი (73)

### ელჩე 1:1 ალბასეტე

1:0 ალეხო (16), 1:1 ვანიჩი (88 პ)

### მერიდა 2:0 ოსასუნა

1:0 პრიეტო (34), 2:0 ველაგიჩი (37)

### ვილიარეალი 0:0 სალამანკა

### ეიბარი 0:0 ბადახოსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომპოსტელა | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 6 |
| ლას პალმასი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ესტრემადურა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 6 |
| ლევანტე | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 4 |
| ალბასეტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:2 | 4 |
| მერიდა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 4 |
| ბადახოსი | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სალამანკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ოსასუნა | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ატლეტიკო B | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| ტენერიფე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| უელვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1:3 | 3 |
| ვილიარეალი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ლოგრონიესი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ლეგანესი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ელჩე | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ეიბარი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ლეიდა | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| ხეტაფე | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| კორდობა | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| ტოლედო | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იტალია

# ვიერი და ბევრი ფრე

### I ტური

**ბოლონია 0:0 ტორინო**

ბოლონია: პალიუკა, პარამატი, ბია, ბოზელი (პაგანინი 20), ნერვო, ინგესონი, მაროკი (ზე ელიასი 45), ტარანტინო (ერიბერტო 80), სინიორი, ვენტოლა, ბინოტო
ტორინო: ბუჩი, ბონომი, დიავარა, კრუზი, მენდესი, ასტა, ბრამბილა, სკარტილი, კოკო, ფერანტე (არტისტიკო 55), ლენტინი (ივიჩი 73, კუდინი 83)
გაფრთხილება: ვენტოლა, კრუზი, კოკო, ბონომი, არტისტიკო
გაძევება მენდესი (71)
მსაჯი: პელეგრინო

**ფიორენტინა 1:0 ბარი**

1:0 კიეზა (48)
ფიორენტინა: ტოლდო, რეპკა, პადალინო, პიერინი, დი ლივიო, კოისი, რუი კოშტა (ოკონი 88), ჰაინრიხი, კიეზა (ოლივეირა 71), ბალბო (ამიროზო 46), მიატოვიჩი
ბარი: მანჩინი, დე როსა, ინოჩენტი (მარკიჩი 73), ფერარი, გარსია, პეროტა (ოლივარესი 53), ინდერსონი, მარკოლინი, კოლაუტო (სპინეზი 60), მასინგა, ოსმანოვსკი
გაფრთხილება: კოისი, ფერარა, დე როსა, ინოჩენტი, მასინგა
მსაჯი: ბაძოლი

**ლეჩე 2:2 მილანი**

0:1 ვეა (55), 1:1 სავინო (60), 1:2 შევჩენკო (70), 2:2 ლუკარელი (81)
ლეჩე: კიმენტი, ვიალი, პიგოტო, ხუარესი, სავინო, ბალერი, კონტიკო, ლიმა (პიანჯერელი 86), პარადიზო (კოლონელო 60), სესა, ლუკარელი (ბილიოტი 32)
მილანი: აბიატი, სალა, კოსტაკურტა, ნგოტი, ჰელვეგი, ალბერტინი, ამბროზინი, გული, შევჩენკო (ჯუნტი 82), ბირჰოფი, ლეონარდო (ვეა 52)
გაფრთხილება: ლეონარდო, ამბროზინი, ალბერტინი, კოსტაკურტა, ლუკარელი
მსაჯი: ტრენტალანჯე

**იუვენტუსი 1:1 რეჯინა**

1:0 ინძაგი (32), 1:1 კალონი (47)
იუვენტუსი: ვან დერ სარი, ფერარა, მონტერო, იულიანო (მირკოვიჩი 46), ძამბროტა (ბაკინი 46), ტაკინარდი (კოვაჩევიჩი 75), ოლისე, კონტე, ზიდანი, ინძაგი, დელ პიერო
რეჯინა: ორლანდონი, სტოვინი, ბერნინი, ჩირილო, პრალია (პოლი 63), მორაბიტო, ბარონიო (კამპო 90), ბრევი, ჯაკეტა, კალონი (რეჯი 70), პოსანძინი
გაფრთხილება: ბრევი, ბერნინი, ინძაგი, ოლისე, ნეჯი
გაძევება: ბერნინი (75)
მსაჯი: რაკალბუტო

**ინტერი 3:0 ვერონა**

1:0, 2:0, 3:0 ვიერი (16, 53, 65)
ინტერი: პერუცი, პანუჩი, ბლანი, სიმიჩი, მორეირო (დი ბიაჯო 61), ძანეტი, სოუზა, კოე (დომორო 73), გეორგატოსი, ვიერი, სამორანო (რონალდო 46)
ვერონა: ბატისტინი, გონელა, ფრანჩესკეტი (ბილიჩი 46), მეცანო, დიანა, მარასკო, კალუჩი, მელისი, ფალსინი (სერიჩი 61), კამარატა, ადაილტონი (სალვეტი 61)
გაფრთხილება: გეორგატოსი, ფალსინი, კოლუჩი, დიანა
მსაჯი: ბრასკი

**პერუჯა 1:1 პარმა**

1:0 ოლივე (46), 1:1 სტანიჩი (77)
პერუჯა: მაძანტინი, დიანო, რიპა, კალორი, მილანეზე, ესპოზიტო (რივალტა 58), ოლივე, ტედესკო (კამპოლო 74), რაპაიჩი, ნაკატა, გუიდოლინი (ბიზოლი 67)
პარმა: ბუფონი, ლასისი, კანავარო (მაინი 72), ტურამი, ფუზერი, დ. ბაჯო, ბოგოსიანი, ვანოლი, ორტეგა, კრესპო, დი ვაიო (სტანიჩი 53)
გაფრთხილება: მაძანტინი, რაპაიჩი, მილანეზე, ფუზერი, ორტეგა
მსაჯი: ტომბოლინი

**პიაჩენცა 1:1 რომა**

0:1 ტოტი (143), 1:1 სტროპა (82)
პიაჩენცა: რომა, ლუკარელი, პოლონია, ვერხოვოდი, ლამაკი, საკეტი (პიოვანი 67), კრისტალინი (მორონე 67), მაცოლა, სტროპა, დიონიჯი, რასტელი (დი ნაპოლი 71)
რომა: ანტონიოლი, ძაგო, ალდაირი, მანგონე, კაფუ, ასუნსაო, ტომაზი (გაუტიერი 78), დი ფრანჩესკო (გურენკო 64), კანდელა, ტოტი, მონტელა (ხუტოსი 89)
გაფრთხილება: ძაგო, ალდაირი, პოლონია, კრისტალინი, ტომაზი
გაძევება: ძაგო (45)
მსაჯი: კოლინა

**ვენეცია 1:1 უდინეზე**

0:1 ბუცი (54), 1:1 მანიერო (74)
ვენეცია: ტაიბი, ბრიოსკი, ლუპი, ბილიკა, ვალტოლინა (ნანამი 59), მიჩელი (მარინგონი 59), ვოლპი, პედონე, დალ კანტო (პავანი 84), მანიერო, პეტკოვიჩი
უდინეზე: ტურჩი, სოტილი (პიცარო 80), ძანკი, ბერტოტო, ფიორე, ჯანიკედა, ვან დერ ვეგტი, იორგენსენი, ლოკატელი (ბისგაარდი 66), პოჯი, მუცი (სოსა 83)
გაფრთხილება: ვან დერ ვეგტი, ბრიოსკი, დალ კანტო, ბილიკა
გაძევება: მანიერო (76)
მსაჯი: მესინა

**ლაციო 2:1 კალიარი**

1:0 ვერონი (5), 2:0 ს. ინძაგი (64პ), 2:1 ონილი (7.)
ლაციო: მარკეჯანი, პანკარო, ნესტა, ნეგრო, ფავალი, კონსეისაო (სიმეონე 58), ალმეიდა, ვერონი, ნედვედი (ლომბარდო 78), ს. ინძაგი (ანდერსონი 69), სალასი
კალიარი: სკარპი, მაიელე (კორადი 61), მადესტო, გრასადონია, ლოპესი, მაკელარი, ბერეტა, კონტი, დე პატრე (კავეზი 52), ონილი, მბომა
მსაჯი: ფარინა

ბანა ერთხელ და ორჯერ ყოფილა: ფეხბურთელში ენით აუწერელ თანხას იხდიან და მერე ირკვევა, რომ ის გროშის საფასურსაც ვერ აკეთებს: დაშავებულა, ზედმეტ ყურადღებას დაუთრგუნია, ახალ გარემოს ვერ მორგებია, კლიმატი არ მოსწონებია, მწვრთნელის სქემაში ვერ ჩამჯდარა... ადამიანია, ფერწერული ტილო ხომ არ არის.

მაგრამ არიან ფეხბურთელები, რომლებიც სანამ პირში სათამაშო სული უდგათ არავის აზარალებენ, იმიტომ, რომ უფრო მაღლა დგანან, ვიდრე ამინდი, კვების რაციონი და სქემაა. ისინი დიდი ფეხბურთელები გახლავან ანუ ბურთაობის ნიჭის გარდა მტკიცე ხასიათი და საოცარი ჯანმრთელობა მოსდევთ.

ერთ-ერთი მათგანია კრისტიან ვიერი. იგი ზაფხულზე „ლაციომ" „ინტერს" 50 მილიონ დოლარად მიჰყიდა და ფორვარდმაც პირველსავე ტურში ჰეთ თრიქით გამოიმუშავა მილანელთა დანახარჯის ნაწილი, თან ერთი თამაშისთვის ფრიად სოლიდური.

„ძალიან ბედნიერი ვარ, რომ სეზონისწინა კრიტიკის შემდეგ ასეთ დამაიმედებელ გამარჯვებას მივაღწიეთ" — განაცხადა პრესკონფერენციაზე „ინტერის" მწვრთნელმა, „ვერონასთან" 3:0 მოგებით გახარებულმა მარჩელო ლიპიმ — „გუნდისთვის, რომელიც ჯერ კიდევ „მშენებლობის პროცესშია", ჩინებული შედეგი გვქონდა".

შავ-ლურჯთა თავდასხმაში, ვიერის მეწყვილეს ფუნქციას პირველ ნახევარში ლიპის საყვარელი გლადიატორი, ჩილელი ივან სამორანო ასრულებდა, მეორეში კი ბრაზილიელი მარადჭაბუკი და მარადვარსკვლავი რონალდო, მაგრამ იტალიის ნაკრების ფორვარდმა მთავარი როლი არავის დაუთმო.

სენსაცია: „ინტერმა" ათამაშა... ლუიჯი დი ბიაჯო. სწორედ ის, „რომას" უდიდესი ფასეულობა.

ირკვევა, რომ „ინტერისა" და „რომას" საერთო მფლობელებმა (ასეთებიც არსებობენ) ჩემპიონატის დაწყების წინ საოცარი კომბინაცია მოიფიქრეს: მილანში გაუშვეს დი ბიაჯო, ხოლო სანაცვლოდ, რომში კრისტიანო ძანეტი და 6 მილიონი დოლარი გადარიცხეს...

მოკლედ, იტალიის პრემიერ-მინისტრს, მასიმო დალემას ლეჩეში საქმე რომ არ ჰქონოდა და თან მშობლიური ეზო-კარი არ მონატრებოდა, ალბათ, „სან სიროზე" გამართულ შეხვედრას დაესწრებოდა, მაგრამ გარემოებამ „ლეჩესა" და ქვეყნის ჩემპიონის, „მილანის" თამაშის ნახვა უკარნახა. და მაინც, წესით, პრემიერი უკმაყოფილო არ უნდა დარჩენილიყო, ვინაიდან მისი ქალაქის გუნდმა „მილანთან" ფრედ ითამაშა — 2:2.

ტყუილი აღმოჩნდა შავ-წითელთა ბანაკიდან მთელი კვირის მანძილზე გამომავალი ჭორები, თითქოს ჩემპიონს თავდასხმაში ჟორჟ ვეა და ახალშეძენილი ანდრეი შევჩენკო არ ეყოლებოდა — ორივე ჰყავდა და ორივემ გოლი გაიტანა, მაგრამ საბოლოოდ გატანილ-გაშვებულთა რაოდენობა ტოლი აღმოჩნდა. „ინტერში" ვიერის სადებიუტო წარმატებისა არ იყოს, შევჩენკომაც პირველსავე შეხვედრაში შეძლო გოლის გატანა, თუმცა, დიდი სიმპათიის მიუხედავად, მის ზევარსკვლავად მოხსენიებისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ.

პრემიერმა კი შეხვედრის შემდეგ თქვა: „მილანელებს რთული მატჩი ერგოთ. ისინი ცუდმა მინდორმა შებოჭა, ხოლო რაც შეეხება „ლეჩეს", ამ გუნდის თამაშმა ერთობ მასიამოვნა".

ნასიამოვნები დარჩა „ფიორენტინაც", რომელიც იმ იშვიათ გუნდთაგანი გამოდგა, პირველ ტურში სამი ქულა რომ ჩაიწერა. სკუდეტოს ამ ფავორიტმა ენრიკო კიეზას გოლის წყალობით 1:0 სძლია „ბარის". აღსანიშნავია, რომ „პარმას" ყოფილი ფორვარდი, კიეზა, მოედანზე დაშავებული გაბრიელ ბატისტუტას საქმეს იყო შეჭიდებული და როგორც ხედავთ, თავი წარმატებით გაართვა.

გოლის გატანა „ბარისაც" შეეძლო, მაგრამ სამხრეთ აფრიკელმა ფილიმონ მასინგამ მარტივ სიტუაციაში ვერ მოახერხა ბურთის კარში შეგდება.

საერთოდ, 1:1 ტურში ერთობ გავრცელებული ანგარიში გახლდათ. მაგალითად „პარმამ", რომელსაც სეზონის დასაწყისი ერთობ ნავსიანი გამოადგა — „გლაზგო რეინჯერსთან" დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგაში ვერ შეაღწია — პერუჯაში სწორედ ასე დაასრულა შეხვედრა, რომელშიც თავად ანგარიშის გათანაბრება მოუხდა. 1:1 ითამაშა ფაბიო კაპელოს „რომამაც". მან პიაჩენცაში გახსნა ანგარიში, მაგრამ მასპინძელმა ჯოვანი სტროპამ — კაპელოს მილანისდროინდელმა შეგირდმა — საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა და თავის გუნდს შინ დაუმარცხებლობის ახალი რეკორდი დაამყარებინა.

1:1 დასრულდა ვენეციაში უდინელთა სტუმრობაც. მოგეხსენებათ, „უდინეზეც" ამბიციური გუნდია და თუ მთლად სკუდეტოს არა, გრანდების ჩაწევ-ჩამოწევასა და მათ შორის მოკალათებას უთუოდ უმიზნებს. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს — რობერტო მუციმ „პარმაში" გაყიდული ბრაზილიელი ამოროზოს შემცვლელობაზე განაცხადა პრეტენზია — მაგრამ „ვენეციამ", რომლის გოლკიპერი მასიმო ტაიბი მალე „მანჩესტერ იუნაიტედის" კარში რომ იხილოთ, ნუ გაგიკვირდებათ, ფილიპო მანიეროს წყალობით ქულა დაიტოვა.

1:1 — ასეთი გახლდათ ანგარიში მატჩისა, რომელიც იტალიის დიდ ინდუსტრიულ ქალაქ ტურინში, მასიურ „სტადიო დელე ალპიზე" გაიმართა. ტურინისა და მისი სტადიონის ზომებზე იმ მკითხველისთვის ვამახვილებთ ყურადღებას, რომელიც, სამწუხაროდ, შაბათის „სარბიელში" პატარა ქალაქ რეჯინას აღწერის შემდეგ, მატჩს სტუმარი გუნდის მოედანზე ელოდა.

დიახ, დიდი ქალაქის დიდმა გუნდმა პატარა ქალაქის პატარა „რეჯინას" პატარა ფეხბურთი დაუპირისპირა, დიდი თავდადების მეტი ვერაფერი შესთავაზა, მაგრამ პასუხად იგივე და ლოგიკური 1:1 მიიღო.

რაც შეეხება ვიცე-ჩემპიონს, „ლაციოს", პარასკევს მონტე კარლოში „მანჩესტერ იუნაიტედის" წინაალმდეგ ნათამაშევი სუპერთასის მატჩის შემდეგ, „კალიარისთან" შეხვედრა გუშინდელი საღამოსთვის გადაუდეს და მანაც 2:1 გაიმარჯვა.

**ბაპუნა ძადია**




კრისტიან ვიერი — გამართლებული რისკი

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ინტერი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 2 | ლაციო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 3 | ფიორენტინა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 4 | ლეჩე | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 5 | მილანი | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 6 | იუვენტუსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 7 | რეჯინა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 8 | პერუჯა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 9 | პარმა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 | პიაჩენცა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 11 | რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 | ვენეცია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 13 | უდინეზე | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 14 | ბოლონია | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 |
| 15 | ტორინო | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 |
| 16 | კალიარი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 17 | ბარი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 18 | ვერონა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

**IV ტური**

12 სექტემბერი

ბარი — ლაციო
კალიარი — იუვენტუსი
მილანი — პერუჯა
პარმა — ბოლონია
რეჯინა — ფიორენტინა
რომა — ინტერი
ტორინო — ვენეცია
უდინეზე — პიაჩენცა
ვერონა — ლეჩე

## სერია B

### I ტური

**კიევო 3:1 სალერნიტანა**

1:0 ძანჩეტა (3), 2:0 კორინი (22 პ), 2:1 დი მიკელე (46), 3:1 კორინი (47)

**ბრეშა 1:1 სავოია**

0:1 ჟირარდელო (17), 1:1 ბონაძოლი (40)

**ალძანო 2:1 მონცა**

1:0 ფერარი (9 პ), 1:1 სმოიე (40), 2:1 მემო (52)

**ჩეზენა 0:0 პესკარა**

**ტრევიზო 0:1 ვიჩენცა**

0:1 ვივიანი (9)

**პისტოიეზე 0:1 სამპდორია**

0:1 პალმეირი (20 პ)

**ნაპოლი 1:1 რავენა**

1:0 ტურინი (17 პ), 1:1 მურჯიტა (20)

**ჯენოა 2:0 ტერნანა**

1:0 ფრანსისკო (19 პ), 2:0 მანეტი (42)

**ემპოლი 1:0 ფერმანა**

1:0 მასტროლილი (29)

**კოზენცა 0:1 ატალანტა**

0:1 დუნდიერსკი (30)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| ჯენოა | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| ალძანო | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ატალანტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ემპოლი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| სამპდორია | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ვიჩენცა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ბრეშა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| სავოია | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნაპოლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| რავენა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ჩეზენა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| პესკარა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| მონცა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| კოზენცა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ფერმანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| პისტოიეზე | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| ტრევიზო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| სალერნიტანა | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |
| ტერნანა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## გერმანია

III ტური

**შალკე 1:3 ჰამბურგი**

1:0 ვილმოტსი (32), 1:1 ჰოლენბახი (45), 1:2 ნ. კოვაჩი (53), 1:3 ჰოოგმა (58)
შალკე: რეკი, აიგენრაუხი, დე კოკი, ბუსკენსი, ტონი, ნემეცი (მულდერი 60), გოოსენსი, ვან კერკჰოუენი (ლატალი 34), ვილმოტსი, ასამოა, სანდი (ალპუგანი 75)
ჰამბურგი: ბუტი, ჰოოგმა, ჰერცში, პანადიჩი (გრავესენი 71), ნ. კოვაჩი, გროტი, ჰოლენბახი, კარდოზო (სიმუნიჩი 71), მაჰდავიკია, იებოა (ბაბაცი 83), პრაგერი
გაფრთხილება: ტონი, ჰერტცი, ჰოლენბახი, პრაგერი
მსაჯი: ფანდელი

**კაიზერსლაუტერნი 0:2 არმინია**

0:1 ლაბადია (51), 0:2 მაისნერი (87)
კაიზერსლაუტერნი: რაინკე, რამზი, კოხი (ტარე 65), შიონბერგი, რატინიო (რიშე 46), სფორცა, ბუკი, რაიხი, ჯორკაეფი (სობოციკი 85), მარშალი, ხრისტოვი
არმინია: კოხი, პეეტერსი, სტრატოსი, კლიცპერა, მაისნერი, ჰოფშნაიდერი, მაული, რიდლევიცი (შტერნკოფი 84), მ. ვაისენბერგერი (ბოდე 78), ვან დერ ვენი, ლაბადია
გაფრთხილება: ხრისტოვი, მარშალი, სფორცა, ტარე, მაული
მსაჯი: ცერი

**შტუტგარტი 1:2 ლევერკუზენი**

1:0 სოლდო (26), 1:1 პონტე (44), 1:2 ბაინლიხი (78)
შტუტგარტი: ვოლფარტი, ტ. შნაიდერი, ტოდტი (დანდი 80), ბორდონი, კელერი (დო ნასიმენტო 72), სოლდო, ტიამი, კარნელი, ბალაკოვი, კუკა, განეა (ბერთოლდი 46)
ლევერკუზენი: მატიშეკი, რ. კოვაჩი, ჰაპე, ნოვოტნი, ემერსონი, რამელო, ბ. შნაიდერი (ჰეიდუკი 76), ზე რობერტო, პონტე (ჰაინენი 58), ნოივილი, კირსტენი (ბაინლიხი 67)
გაფრთხილება: ბორდონი, კუკა, ემერსონი, კირსტენი, რ. კოვაჩი
გაძევება: მატიშეკი
მსაჯი: ჰაინემანი

**ვოლფსბურგი 2:0 ჰანზა**

1:0 ვაისერი (11), 2:0 ნოვაკი (43)
ვოლფსბურგი: რაიტმაიერი, ონილი, ტომსენი, კრიგერი, ნოვაკი, გრაინერი (ბილიშკოვი 77), ვაიზერი, ჩ. აკონორი, მუნტეანუ (დამეიერი 71), იუსკოვიაკი (ვუკი 66), აკპობორი
ჰანზა: პიკენაგენი, ელერსი, ვაილანდტი, ოსვალდი, ვიბრანი, იასერი, ლანგე (ტილემანი 46), ემარა, ბრაიტკროიცი, აგალი, არვიდსონი (ანაფლოუფი 46)
გაფრთხილება: აკპობორი, ვუკი
მსაჯი: შტაინბორნი

**ჰერტა 1:1 ვერდერი**

1:0 არაჩიჩი (10), 1:1 ბოგდანოვიჩი (75)
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, კონსტანტინიდისი, სვერისონი, ტრეტშოკი, ვაიტი, დაისლერი (შმიდტი 36), ნოიენდორფი, ვოში (დარდაი 69), ტონი, არაჩიჩი (დაეი 79)
ვერდერი: ფ. როსტი, ტიკუზუ, ფ. ბაუმანი, ცეზარი, ვიდენერი, აილტსი (მაქსიმოვი 31), ვიკი, ფლოკი (პისარო 58), ფრინგსი, ბოგდანოვიჩი, ბოდე
გაფრთხილება: ჰერცოგი, მაქსიმოვი
მსაჯი: მერკი

**ბაიერნი 1:0 უნტერჰახინგი**

1:0 სანტა კრუსი (40)
ბაიერნი: დრეერი, ბაბელი, მათეუსი, ლინკე, იერემისი, ლიზარაზუ, შტრუნცი (ეფენბერგი 75), შოლი (ელბერი 85), პაულო სერჟიო, სანტა კრუსი, იანკერი (ბასლერი 78)
უნტერჰახინგი: ვიტმანი, ბერგენი (ჰაბერი 81), საიფერტი, შტრემელი, გრასოვი, შვარცი, შტრაუბე (მარკ ციმერმანი 78), მათ. ციმერმანი, ობერლაიტნერი (კიოგლი 46), რაკლი, საიცი
გაფრთხილება: იერემისი, მათეუსი, გრასოვი, საიფერტი, საიცი
მსაჯი: აუსტი



REUTERS გელ ზენკირიხენიდან

შალკე — ჰამბურგი 1:3. ჰამბურგელი ნიკო კოვაჩი (მარცხნივ) მასპინძელი ოლაფ ტონის წინააღმდეგ

# სანამ ბაიერნი წვალობდა, ლევანი ჩასაფრებულიყო

**ულმი 0:1 დორტმუნდი**

0:1 ბობიჩი (12)
ულმი: ლაუქსი, ბოდოგი (შარინგერი 69), გრაუერი, შტადლერი, რადოკი, ოტო, უნსიოლდი, ე. ვაიზე (რიოსლერი 56), გორა, ვან დერ ჰაარი, ტრკულია (ზდრილიჩი 84)
დორტმუნდი: ლემანი, ფაიერზინგერი, ვიორნსი, კოლერი, ევანილსონი, სტევიჩი, ნერლინგერი, დედე, რეინა (რიკენი 68), ბობიჩი (ნიჰუისი 84), იკპება (მიოლერი 64)
გაფრთხილება: დრაუერი, ტრკულიო, დედე, ბობიჩი, ფაიერზინგერი, ლემანი, ნერლინგერი
გაძევება: ევანილსონი
მსაჯი: კოოპი

**ფრაიბურგი 3:0 მიუნხენი**

1:0 ცქიტიშვილი (44), 2:0 გიუნეში (80), 3:0 ბენ სლიმანი (90)
ფრაიბურგი: გოლცი, კონდე, დიარა (დრაიერი 76), ჰერმელი, გიუნეში, კობიაშვილი, ვილი, ცქიტიშვილი (მიულერი 60), ბაია, ბრუნსი, სელიმი (ბენ სლიმანი 60)
მიუნხენი: ჰოფმანი, კურცი, ვანენბურგი, პასლაკი, რიდლი, ტისე, ჩერნი (ბორიმიროვი 63), პურკი (ვინკლერი 58), ჰესლერი, შროტი, მაქსი
გაფრთხილება: ჰერმელი, მიულერი, სელიმი, ჰოფმანი, კურცი, პურკი, ტისე
მსაჯი: კრუგი

**აინტრახტი 2:2 დუისბურგი**

1:0 სალუ (24), 1:1 ოსტჰოფი (37), 2:1 გუიემიენი (48), 2:2 ვოლტერსი (73)
აინტრახტი: ნიკოლოვი, ბინდევალდი, იანსენი, კრახტი, ვებერი, გუიემიენი, ჰელდტი (ფალკი 76), დომბი, გებარდტი (შური 46), სალუ, ფიორტოფტი (იანგი 58)
დუისბურგი: სტაუჩე, ჰაიტო, ემერლინგი, ვოლერტი, ჰირში, ტოფტინგი (კოვაჩევიჩი 84), ვედო (ბაიერლე 65), ვოლტერსი (ჰოერსენი 89), მ. შნაიდერი, შპისი, ოსტჰოფი
გაფრთხილება: კრახტი, ემერლინგი, ჰაიტო, ჰირში, ვოლერტი
მსაჯი: კესლერი

მიუნხენის „ბაიერნმა“, როგორც იქნა, მოიგო — მეზობელი „უნტერჰახინგი“ ემსხვერპლა 1:0. გერმანიის ჩემპიონის ერთადერთი გოლი პარაგვაელმა როკე სანტა კრუსმა გაიტანა პირველი ტაიმის მიწურულს. ერთი გოლი საკმარისი აღმოჩნდა სუსტ მეტოქესთან შეხვედრაში პირველი სამქულიანი მატჩის ბედი მიუნხენელთა სასარგებლოდ რომ გადაწყვეტილიყო.

შეგახსენებთ, რომ პირველ და მეორე ტურებში „ბაიერნმა“ ჯერ ფრედ ითამაშა, მერე კი წააგო. აღმოჩნდა, რომ ასეთი საძაგელი სტარტი გერმანიის სუპერკლუბს ბოლო რვა წელიწადია, არ ჰქონია. და ამიტომაც „უნტერჰახინგთან“ გამარჯვება ერთგვარი სულის მოთქმა გახლდათ.

ბუნდესლიგაში ახალასულმა „უნტერჰახინგმა“, გუნდს, რომლის შემადგენლობაში სხვადასხვა ნაკრების 15 ფეხბურთელი თამაშობს, გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია. მეორე ტაიმში რამდენიმე საგოლე სიტუაციაც კი შექმნა „ოლიმპიაშტადიონის“ ბინადართა კართან, ხოლო 84-ე წუთზე ლამის გაათანაბრა კიდეც ანგარიში — ქართველი გულშემატკივრისთვის კარგად ნაცნობმა ალბანელმა ალტინ რაკლიმ, რომელიც უნტერჰახინგელთაგან ერთადერთია ეროვნულ გუნდში რომ თამაშობს, საჯარიმო დარტყმით ძელს მოარტყა ბურთი.

როგორც უკვე მოგახსენეთ, გოლის გატანა იმ დღეს მხოლოდ 18 წლის სანტა კრუსმა შეძლო. მან მარჯვენა ფრთაზე სტუმართა ორი ფეხბურთელი ჩამოიტოვა და დაახლოებით 15 მეტრიდან მარცხენა ფეხით გაგზავნა ბურთი მოწინააღმდეგის კარის კუთხეში.

„შეიძლება გოლი, რომელიც მე გავიტანე ლამაზი სულაც არ იყო, მაგრამ, სამაგიეროდ ოცნება ამიხდა, „ბაიერნის“ შემადგენლობაში ბურთი მეტოქის კარში შევაგდე“ — განაცხადა ყმაწვილმა მატჩის დამთავრების შემდეგ.

მოკლედ, გამარჯვებამ მიუნხენელთა გარშემო დამუხტული ატმოსფერო განმუხტა, თორემ ურიგო შედეგები ცალკე იყოს და გუნდში საშინელებები ხდებოდა: ფრანგმა მცველმა ბიქსენტე ლიზარაზუმ თანაგუნდელ ლოთარ მათეუსს პარასკევის ვარჯიშზე ხელი შეახო, რისთვისაც 10 ათასი მარკით (5,345 დოლარი) დააჯარიმეს.

„აშკარაა, რომ საქმეები ჩვენ რომ გვინდა, ისე არ მიდის. ნერვებმაც გვიმტყუნა და ვგონებ, ამ თემაზე გვმართებს კამათი და დაფიქრება. აბსოლუტურად ყველა ფეხბურთელი ცუდ ფორმაშია“ — თქვა მათეუსმა.

მწვრთნელმა, ოტმარ ჰიცფელდმა ბრძანა, რომ მის გუნდს „უნტერჰახინგთან“ გამარჯვება სწყუროდა.

„პირველ ნახევარში მეტოქეს ჩვენი თამაში თავს მოვახვიეთ, მაგრამ შანსების უკუთ გამოყენება გვიჭირდა. ზესვენების შემდეგ საკუთარი თავი ჩავიგდეთ ხიფათში, თუმცა სამოლოოდ მიზანს მივაღწიეთ. ჩვენ ხომ სამი ქულა გვინდოდა. „უნტერჰახინგმა“ კი გამოცა. მას შიშის ნატამალი არ ეტყობოდა“.

სხვათა შორის, წინა ტურში „დუისბურგთან“ 2:0 გამარჯვების შემდეგ გერმანულმა პრესამ „უნტერჰახინგი“ ერთობ შეაქო. ხაზს უსვამდნენ, რომ რეგიონული დერბის წინ გუნდს სატურნირო ცხრილში „ბაიერნზე“ მაღალი პოზიცია ეკავა.

„ყველა ხითხითებდა, რადგან ჩვენ ცხრილში „უნტერჰახინგს“ ჩამოვრჩებოდით. იმედი ვიქონიოთ, რომ ამ გამარჯვებამ სწორ გზაზე გაგვიყვანა“ — დასძინა მათეუსმა.

მესამე ტურის წინ პირველ ადგილზე ფრანკფურტის „აინტრახტი“ გახლდათ, მაგრამ პოზიციის გამყარების შანსი ხელიდან გაუშვა, რადგან „დუისბურგს“ ვერ მოუგო — 2:2.

ათვლას თუ გასული სეზონიდან დავიწყებთ, „აინტრახტს“ ზედიზედ ექვსი თამაში ჰქონდა მოგებული და ამიტომაც გახლდათ „დუისბურგთან“ მისი ფრე ერთობ უცნაური. ფრანკფურტის „ვალდშტადიონზე“ შეკრებილი 40 ათასი გულშემატკივრის წინ ანგარიში ბაშირუ სალუს თავური დარტყმით გაიხსნა — ეს სალუს მეოთხე გოლი გახლდათ და იგი ბომბარდირთა სიის სათავეშია — მაგრამ ერთი ხნის შემდეგ დუისბურგელმა მარკუს ოსტჰოფმა აღადგინა წონასწორობა.

შესვენების შემდეგ „აინტრიხტმა“, რომელიც გასულ სეზონში გავარდნას ძლივს გადაურჩა, ორ წუთში კვლავ უპირატესობა იგდო ხელთ, გოლი როლფ-კრისტელ გუიმიენმა გაიტანა, მაგრამ შეხვედრის დასრულებამდე ერთი ხნით ადრე კარსტენ ვოლტერსმა კვლავ გაათანაბრა.

დაბოლოს, „ჩვენს“ გერმანულ გუნდზე, „ფრაიბურგზე“, რომელმაც „მიუნხენ 1860-ს“ 3:0 მოუგო. ამ სამი გოლიდან პირველი საქართველოს ნაკრების წევრმა ლევან ცქიტიშვილმა შეაგდო, ხოლო კიდევ ორი ალი გიუნეშმა და ბენ სლიმანმა დაამატეს. ცქიტიშვილის გოლი ადელ სელიმის პენალტიდან ძელს გარტყმულს მოჰყვა, ლევანი სხვებზე ფხიზლად გახლდათ ჩასაფრებული.

**მიხეილ სურგულაძე**

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ჰამბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 |
| 2 | აინტრახტი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 7 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 1 | 3 |
| 3 | ლევერკუზენი | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 7 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 4 | ვოლფსბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 5 | დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 1 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 |
| 6 | ჰერტა | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 3 | 5 | 2 | 1 | 1 | 0 | 6:3 | 3 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 | არმინია | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:1 | 2 | 4 |
| 8 | ფრაიბურგი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:4 | 2 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 | შალკე | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 |
| 10 | ბაიერნი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 11 | მიუნხენი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:6 | -1 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 |
| 12 | უნტერჰახინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | -2 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 13 | ჰანზა | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | -3 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:2 | 2 | 3 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:7 | -5 | 0 |
| 14 | ლაუტერნი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | -3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 0 |
| 15 | ვერდერი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | -1 | 2 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 0 | 2 |
| 16 | დუისბურგი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | -2 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 17 | ულმი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 18 | შტუტგარტი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | -4 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:2 | -1 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |

**IV ტური**

18 სექტემბერი

| | | |
|---|---|---|
| უნტერჰახინგი | - | შტუტგარტი |
| დუისბურგი | - | ბაიერნი |
| მიუნხენი | - | აინტრახტი |
| ჰამბურგი | - | ჰერტა |
| არმინია | - | ვოლფსბურგი |
| ჰანზა | - | ულმი |
| დორტმუნდი | - | ფრაიბურგი |
| ლევერკუზენი | - | შალკე |
| ვერდერი | - | ლაუტერნი |

## მეორე ბუნდესლიგა

III ტური

**ხემნიცი 3:0 ოფენბახი**

1:0 დიტგენი (27), 2:0 მელორნი (61 პ), 3:0 შმიდტი (87)

**კიოლნი 4:1 კიკერსი**

0:1 პფუდერერი (17), 1:1 შერცი (21), 2:1 ვოლიცი (35), 3:1 შპრინგერი (56), 4:1 ტიმი (58)

**ჰანოვერი 2:2 ვალდჰოფი**

1:0 მილოვანოვიჩი (10), 1:1 ბლაკი (57 ს.კ.), 1:2 ვინცე (76), 2:2 მილოვანოვიჩი (79)

**ალემანია 2:2 ბერლინი**

1:0 შმიდტი (52პ), 1:1, 1:2 ჩირიჩი (60პ, 82პ), 2:2 ფონ ალენი (88)

**ზტ. პაული 0:0 ბოხუმი**

**ობერჰაუზენი 3:4 ფიურტი**

1:0, 2:0 ვიერი (3, 14), 3:0 ლიპინსკი (28 პ), 3:1 ტური (45), 3:2, 3:3 ლამპტი (56, 70), 3:4 მაიხელბეკი (75)

**კოტბუსი 3:0 მაინცი**

1:0 ვატა (25), 2:0, 3:0 ლაბაკი (32, 83)

**ნიურნბერგი 2:1 ფორტუნა**

1:0 ლაიტლი (14), 2:0 ბელიაკოვი (54), 2:1 მუსავი (65)

**კარლსრუე 3:0 გლადბახი**

1:0 არნოლდი (29), 2:0, 3:0 კრიგი (55, 89)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კოტბუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 |
| ნიურნბერგი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ბოხუმი | 3 | 2 | 1 | 0 | 8:1 | 7 |
| კიოლნი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| ხემნიცი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:4 | 6 |
| ბერლინი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:6 | 5 |
| ფიურტი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| კარლსრუე | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ვალდჰოფი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:5 | 4 |
| ჰანოვერი | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| ალემანია | 3 | 1 | 1 | 1 | 6:8 | 4 |
| ფორტუნა | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| კიკერსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| ზტ. პაული | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| მაინცი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | 1 |
| ოფენბახი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| ობერჰაუზენი | 3 | 0 | 0 | 3 | 3:9 | 0 |
| გლადბახი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:8 | 0 |

# ჭკვიანი კაცები და მათი გუნდები

## ინგლისი

VI ტური

**მანჩესტერი 5:1 ნიუკასლი**

1:0, კოული (14), 1:1 ბერგი (31ს.კ), 2:1, 3:1, 4:1 კოული (46, 65, 71), 5:1 გიგზი (80)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, გ. ნევილი (კლეგი 81), ფ. ნევილი, ბერგი, სტამი, ბექემი (შერინგემი 75), ბათი, სქოულზი (ფორჩუნი 70), კოული, იორკი, გიგზი
ნიუკასლი: რაიტი, ბარტონი, გომა, დაიერი, შირერი, სპიდი, სოლანო (ბეარალი 75), ჰიუზი, ფერგიუსონი (რობინსონი 79), დაბიზასი, ლი (მაკლინი 70)
გაფრთხილება: ბარტონი, სოლანო
გაძევება: დაბიზასი (47)
მსაჯი: უინტერი

**ლესტერი 1:0 უოტფორდი**

1:0 იზეტი (45)
ლესტერი: არფექსადი, სინკლერი, იზეტი, ლენონი, ჰესკი, გაპი, სევიჯი, ელიოტი, კოტი (მარშალი 87), ოუქსი (ზაგორაკისი 69), ტაგარტი
უოტფორდი: დეი, ლიტლი, კენედი, პეიჯი, პალმერი, რობინსონი, ნგონგე (გუდმუნდსონი 71), ჰაიდი, მონი, იტსონი (ბეკელი 71), უილიამსი
გაფრთხილება: ლენონი, ჰესკი, იზეტი, ჰაიდი, იტსონი, კენედი
მსაჯი: ბერი

**სანდერლენდი 1:1 ქოვენტრი**

0:1 კინი (33), 1:1 ფილიპსი (73)
სანდერლენდი: სორენსენი, მაკინი, გრეი, ბატლერი, ბოულდი, სამერბი, რეი, შვარცი, მაკენი (ოსტერი 72), ქუინი, ფილიპსი
ქოვენთრი: ჰედმანი, ედუორთი, ბრინი, ფროგატი, შოუ, უილიამსი, ჩიპო, მაკალისტერი, ჰაჯი (ტელფერი 76), ალოიზი (მაკშეფრი 83), კინი
გაფრთხილება: ბოულდი, რეი, ფილიპსი, ფროგატი
გაძევება: ჩიპო (88)
მსაჯი: ლოჯი

**დერბი 1:0 ევერტონი**

1:0 ფუერტესი (47)
დერბი: პოულტი, პრაიორი, კარბონარი, ლაურსენი, ბორბოკისი, ჯონსონი (ერანიო 46), ბოჰინენი (ბაიანო 46), პაუელი, შნური, დელაპი, ფუერტესი (სტარიჯი 71)
ევერტონი: ჟერარდი, უაეირი, გაფი, დანი, ანსუორთი, ჰათჩინსონი, კოლინზი, ბარმბი (ჯეკილი 80), პემბრიჯი (ბოლი 66), კემპბელი, ჯეფერსი (კადამარტერი 66)
გაფრთხილება: ჯონსონი, უერტესი, კარბონარი, ერანიო, ბარმბი, ჟერარდი, ჰათჩინსონი
გაძევება: დანი (25)
მსაჯი: დარსო

**ბრედფორდი 0:3 ვესტ ჰემი**

0:1 დი კანიო (34), 0:2 სინკლერი (44), 0:3 ვანჩოპე (49)
ბრედფორდი: უოლში, მაკალი, ვეთერალი, უოლი, ბიგრი, ობრაინი (მილსი 45), ვინდასი (რედფირნი 64), ჰალე, გრეიერი, ჯეკობსი, სონდერსი (ბლეიქი 53)
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, პირსი, პოტსი, კელერი, სინკლერი, დი კანიო, ლომასი, ვანჩოპე, ფერდინანდი (კარიკი 79), მონკური, ლამპარდი
გაფრთხილება: დი კანიო, პირსი
მსაჯი: ჯოუნსი

**ასტონ ვილა 1:0 მიდლსბრო**

1:0 დაბლინი (5)
ასტონ ვილა: ჯეიმსი, რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ (ბოატენგი 67), ტეილორი, დაბლინი, ნელსონი, ჯოაკიმი (ვესელი 78), ჰენდრი, დილანი, კალდერვუდი
მიდლსბრო: შვარცერი, ვიკერსი, პალისტერი, მასტო, ინსი, დინი, სტამპი, თაუნსენდი (სამერბელი 76), რიკარდი (კემპბელი 70), სტოკდეილი; გევინი
გაფრთხილება: ინსი, სამერბელი
მსაჯი: პელსი

**ლივერპული 2:0 არსენალი**

1:0 ფაულერი (8), 2:0 ბერგერი (76)
ლივერპული: ვესტერველდი, სონგი, ჰიპია, კარაგერი, მატეო, ტომპსონი (ჰეგემი 70), ჟერარდი, რედნაპი, ბერგერი, კამარა (ოუენი 87), ფაულერი
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, ინტერბერნი, კიოუნი, ადამსი, ვიეირა, ანრი, ლიუნგბერგი, ოვერმარსი (შუკერი 64), პარლოუ (სილვინიო 75), ბერხკამპი
გაფრთხილება: ბერგერი, ლიუნგბერგი, კიოუნი, ვიეირა, ანრი
მსაჯი: გალაჰერი

**საუთჰემპტონი 2:0 შეფილდი**

1:0 კაჩლული (53), 2:0 ოაკლი (84)
საუთჰემპტონი: ჯონსი, დოდი, ბენალი, ოაკლი, რიჩარდსი, ლუნდეკვამი, რიპლი, ჰიუზი, სოლტვედტი, პახარსი, კაჩლული (ბოა მორტერი 79)
შეფილდი: პრისმენი, ათერტონი, ნიუსონი, ჰესლემი (სიბონი 74), ტომი, ალექსანდერსონი, კრისუორი, დე ბილდე (დონელი 62), რუდი, ბრისკო, სკოტი
გაფრთხილება: სკოტი, სიბონი, ათერტონი
მსაჯი: ელკოკი

**ტოტენჰემი 1:2 ლიდსი**

1:0 შერ[illegible] (36), 1:1 სმიტი (58), 1:2 ჰარტი ([illegible])
ტოტენჰემი: უოლკერი, ქარი, პერი, იანგი, ტარიკო, ლეონარდსენი, შერვუდი, ფრიონდი, ჟინოლა, ივერსენი, ფერდინანდი (დომინგესი 46, ნილსენი 85)
ლიდსი: მარტინი, დაბერი, რადებე, ვუდგეიტი (ჰოპკინი 46), მილსი (კელი 65), ბატი, ბოუერი, კიუელი, ჰარტი, სმიტი, ბრიჯესი (ჰაკერბი 46)
გაფრთხილება: ბოუერი, ბრიჯესი, დაბერი, რადებე
გაძევება: სმიტი (87)
მსაჯი: რიდი

**უიმბლდონი 0:1 ჩელსი**

0:1 პერტესკუ (78)
უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, რობერტსი, ტეტჩერი, კორტი, პირლი (ლიბურნი 75), გეილი, პედერსენი (კიმბლი 46), ჰიუზი, ბადირი (იუელი 65), ანდერსენი
ჩელსი: დე გუი, პეტრესკუ (ამბროზეტი 81), ბაბაიარო, ლებეფი, დესაი, დეშამპი (მორისი 89), პოიეტი, უაიზი, ფერერი, ფლო (სატონი 67), ძოლა
გაფრთხილება: იუელი, ტეტჩერი, რობერტსი, ლებეფი, უაიზი
მსაჯი: დანი

„ლივერპულის" ფრანგი მწვრთნელი ჟერარ ულიე სეზონის წინ ამბობდა, ჩემპიონობისა არ ვიცი, მაგრამ ჩემპიონთა ლიგას კი ვპირდები „ენფილდის" დამშეულ ხალხსო.

პრემიერლიგა რომ გაზურდა, ფრანგი ლამის იყო და ჩვენთვის ცნობილი, აწ გადამდგარი სექსუალური ჰოლანდიელი მენეჯერის დღეში აღმოჩნდა.

პირველ ოთხ ტურში „ლივერპულმა" ორი თამაში წააგო და თანაც ისეთ გუნდებთან, რომელთა ხსენებაც ელიტარულ კამპანიაში არ მოსულა. მერე კი უნდა დაწყებულიყო მკვლელი სერია — შეხვედრები „ლიდსთან", „არსენალთან" და „მანჩესტერთან". ულიეს გუნდის შემხედვარე იფიქრებდი, რომ ეს სერია ცხრილის ბოლოსკენ მოისროდა მერსისაიდელებს. მაგრამ, აი, არცთუ თვალსასეირო, მაგრამ თავგანწირული და ტაქტიკურად გამართული თამაშის წყალობით „ლივერპულმა" „ლიდსი" დააჩოქა და იორკშირიდან სამი ქულა წამოიღო.

შაბათს კი „ენფილდს" პრემიერლიგის ქილერთა ბატალიონი, „არსენალი" ეწვია. მეთოფეებს ამ სეზონში პირველად გამოეყვანათ მომჯობინებული კაპიტანი ტონი ადამსი, ლივერპულში კი მაიკლ ოუენის გამოჩენას ელოდნენ.

ორი ძველი მეგობრის, ორი ფრანგის — ულიესა და არსენ ვენგერის დუელი ამ ჯერზეც უკომპრომისო და უკანმოუხედავი იყო. რობი ფაულერმა, რომელიც ერთადერთი იყო „ლივერპულის" შეტევაში და ზურგს უკან ხუთი მოუღლელად მოძრავი ნახევარმცველის სუნთქვას გრძნობდა, აბდუშაჰილის დღეში ჩააგდო ადამსი. ანუ, ტონის ჯერ სალამი არ დაემთავრებინა და რობის დამშვიდება კი არადა არ იქნა.

ეს ფეხბურთელი თითქოს ხელახლა დაიბადაო, თქვა მატჩზე დამსწრე ნაკრების მენეჯერმა კევინ კიგანმა. ფაულერი სწორედ ის ფაულერი იყო, სამი წლის წინათ რომ გვინახავს. ტიტი კამარასა და პატრიკ ბერგერის მძლავრი და საზრიანი თამაშით დაიმედებული, ის შავ დღეში ამყოფებდა ადამს-კიუნის წყვილს და მეთოფეთა მეკარე ალექს მანინგერსაც ჭირის ოფლში აცურავებდა. რობის გოლი ლამაზი იყო. კამარას პასი, დრიბლინგი და კარში ჩაჭედებული ბურთი.

ბერგერის როლი კი განუზრელად იზრდება გუნდში — მისი დარტყმები ლამის გოლებია და ესეც აღსრულდა შაბათ საღამოს.

ჭირის ოფლში მოცურავე, თითქოს რაღაცით გატეხილი „არსენალი" ვერაფრით იყენებდა „ლივერპულის" თამაშში შემორჩენილ ნაკლს — გადაცემათა ნაკლებ სიზუსტეს და ხშირად წუნდებულ ილეთებს. ოუენი შეხვედრის მიწურულსღა გამოჩნდა მოედანზე, იმ დღეს ბრწყინვალედ მოთამაშე რობერტ სონგმა კი, რომელიც ერთდროულად ებრძოდა ოვერმარსსა და ბერხკამპს, ბოლომდე მაინც ვერ შეინახა თავი და სულ ბოლო წუთს პენალტი უძღვნა სტუმრებს. „არსენალი" „არსენალი" არ იყო, დავორ შუკერის დარტყმული მასპინძელთა მეკარე სანდერ ვესტერველდმა მოიგერია. 2:0 „ლივერპულის" სასარგებლოდ. ულიეს კი პრესა „ჭკვიან კაცად" მოიხსენიებს.

ჭკვიანი კაცია „უიმბლდონის" მენეჯერი ეგილ ოლსენიც, დიდი ნორვეგიელი მწვრთნელი, ტაქტიკის კომპიუტერში გამოყვანის ტრფიალი. მაგრამ ამით, „დონებს" ცოტა ხეირი აქვთ. გუნდმა შინ „სელჰერსტ პარკზე" წააგო „ჩელსთან". ანუ კვლავ წააგო. შეტევაში ოლსენის იმედი რობი ერლის მოქნილობასა და ებრაელი დებიუტანტის ვალიდ ბადირის ალღოს ემყარებოდა. ამათ გვარიანად სტანჯეს ფრანკ ლებეფი, მაგრამ თამაში მაინც „ჩელსისა" იყო და ბოლოსდაბოლოს, გუსტავო პოიეტმა იპოვა ხვრელი, საიდანაც დან პეტრესკუსთვის უნდა მოეწოდებინა. რუმინელმაც აჯობა ნილ სალივანს და ვიალის გუნდმა კვლავ 1:0 მოიგო. ზედიზედ მეორე თამაშია, ჯანლუკამ არ ათამაშა ახლად შეძენილი კრის სატონი, მაგრამ ძოლა, ფლო და სხვანი მის არყოფნას ნაღდად არ აგრძნობინებდნენ მაყურებელს. საერთოდ კი, „ჩელსის" გამოუმუშავდა ჩემპიონობისთვის აუცილებელი თვისება — აუცილებლად მოახერხოს და გაიტანოს. რაღაც ამის მსგავსს ახერხებს „ასტონ ვილაც".

აი, „ტოტენჰემი" კი ჯერჯერობით ვერ ახერხებს ამას. თუნდაც რამდენიმე საათით ცხრილის სათავეში მოქცევა ამ გუნდისთვის ჯერაც აუხდენელი ოცნებაა.

უჭკვიანესი კაცია ჯორჯ გრემი, „ტოტენჰემის" თავკაცი. ტყუილად კი არ თქვა სამიოდ კვირის წინ, წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლა არ ხელგვეწიფებაო. დიახაც, მშვენიერია მის ხელში „ტოტენჰემი" და მშვენიერი იყო „ლიდსიც", რომელსაც შარშან ამ დროს თავკაცობდა. და „ვაით ჰართ ლეინზე" გრემის მშენებარე „ტოტენჰემი" მასპინძლობდა გრემის აშენებულ „ლიდსს", რომელსაც წინა ტურში შინ წაეგო „ლივერპულთან". „ტოტენჰემს" კი მოეგო ბოლო სამი თამაში, მიუხედავად სოლ კემპბელის არყოფნისა.

ლიდსელთა მეკარე ნაიჯელ მარტინმა მკვდარი ბურთები დაუკირა სტეფენ ივერსენსა და ტრავმით მოთამაშე ლეს ფერდინანდს, ლუკას რადებე ზედიზედ ჯარიმდებოდა მასპინძელთა ბრწყინვალე ლიდერის ჟინოლას წინააღმდეგ და რაზან „ტოტენჰემი" მოხდენილად და ძალმოსულად უტევდა, გაიტანა კიდეც — ტიმ შერვუდმა განაიარაღა მარტინი.

„ლიდსის" მენეჯერის, მარტინ ოლირის ორმაგმა შეცვლამ სტუმართა ნახევარდაცვა და შეტევა გააძლიერა — დარენ ჰაკერბიმ და დევიდ ჰოპკინმა ბრიჯესი და ვუდგეიტი შეცვალეს. ამასობაში, უთავხედესმა ალან სმიტმა გოლი გაქვითა და გახურებულ ორმხრივ თამაშში „ლიდსს" მეტი საწვავი და სიჩქარე აღმოაჩნდა. ავსტრალიელი ფრთოსანი ჰარი კიუელი საჯარიმოდან საჯარიმომდე დაქროდა. როგორც შედეგი „ლიდსის" სიზუსტისა, გავიდა გოლიც: 82-ე წუთზე კრის პერიმ ჰოპკინი წააქცია საჯარიმოსთან. ლიდსელთა პენალტ-ჯარიმების ცაცია შემსრულებელმა იან ჰარტმა ბურთი მასპინძელთა კედელს გადაატარა და ძელსქვემოთ ჩასვა.

„ლიდსმა" კვლავ დაადასტურა, რომ ლივერპულში მხოლოდ წაიფორხილა და მეტი არაფერი. ულიესაც ასე უთქვამს, იშვიათად მინახავს „ლიდსის" მოთამაშეთა დარად გაალმასებული ბიჭებიო. ეს კი კიდევ ერთხელ დაადასტურა ჯერაც უწვერულმა ალან სმიტმა, რომელმაც „ტოტენჰემთან" მატჩში წითელი ბარათი გამოსტყუა მსაჯ მაიკ რიდს.

**ირაკლი გამყრელიძე**

REUTERS მანჩესტერიდან



მანჩესტერი — ნიუკასლი 5:1. ენდი კოულმა „ნიუკასლს" ოთხი გოლი გაუტანა და ბომბარდირთა მარაქაში გაერია

| | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | მანჩესტერი | 6 | 5 | 1 | 0 | 16:4 | 12 | 16 | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 10 | 9 | 3 | 2 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 7 |
| 2 | ასტონ ვილა | 6 | 4 | 1 | 1 | 8:3 | 5 | 13 | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 4 | 7 | 3 | 2 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 6 |
| 3 | ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 6 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:0 | 5 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 |
| 4 | ვესტ ჰემი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:3 | 5 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 4 |
| 5 | ლესტერი | 6 | 3 | 1 | 2 | 9:6 | 3 | 10 | 3 | 2 | 1 | 0 | 4:2 | 2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 5:4 | 1 | 3 |
| 6 | ლიდსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 10 | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 |
| 7 | არსენალი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:6 | 1 | 10 | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 6 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 4 |
| 8 | ტოტენჰემი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:7 | 2 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 2 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 |
| 9 | ლივერპული | 5 | 3 | 0 | 2 | 6:4 | 2 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:1 | 1 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 1 | 6 |
| 10 | საუთჰემპტონი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:9 | -1 | 9 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 11 | მიდლსბრო | 6 | 3 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 9 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 3 | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 |
| 12 | სანდერლენდი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:8 | -2 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 2 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:7 | -4 | 3 |
| 13 | ევერტონი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:9 | 2 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:7 | -5 | 0 |
| 14 | დერბი ქაუნთი | 6 | 2 | 1 | 3 | 5:7 | -2 | 7 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | -2 | 3 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 |
| 15 | უოტფორდი | 6 | 2 | 0 | 4 | 4:7 | -3 | 6 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 3 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 16 | ქოვენთრი | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | -1 | 5 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 3 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 |
| 17 | უიმბლდონი | 6 | 1 | 2 | 3 | 9:14 | -5 | 5 | 3 | 0 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 | 6:9 | -3 | 4 |
| 18 | ბრედფორდი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 3 |
| 19 | ნიუკასლი | 6 | 0 | 1 | 5 | 8:18 | -10 | 1 | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | -2 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 4:12 | -8 | 0 |
| 20 | შეფილდ უენსდი | 6 | 0 | 1 | 5 | 3:13 | -10 | 1 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | -4 | 0 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:7 | -6 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| იორკი (მანჩესტერი) | 5 |
| ფილიპსი (სანდერლანდი) | 5 |
| კოული (მანჩესტერი) | 4 |
| დაბლინი (ასტონ ვილა) | 4 |
| ჰესკი (ლესტერი) | 4 |

**VI ტური**

11 სექტემბერი

არსენალი — ასტონ ვილა
ბრედფორდი — ტოტენჰემი
ჩელსი — ნიუკასლი
ქოვენთრი — ლიდსი
ლივერპული — მანჩესტერი
მიდლსბრო — საუთჰემპტონი
შეფილდი — ევერტონი
სანდერლენდი — ლესტერი
ვესტ ჰემი — უოტფორდი
უიმბლდონი — დერბი

## ინგლისი

I დივიზიონი

V ტური

**ბარნსლი 6:0 პორტსმუთი**

1:0 ვან დერ ლაანი (45), 2:0 ბერნარი (57), 3:0 ეპლიბი (60), 4:0 ვან დერ ლაანი (63), 5:0 ეპლიბი (76), 6:0 ჰაიგნეტი (80)

**ბოლტონი 0:1 სიტი**

0:1 კენედი (31)

**ქრიუ 1:1 გრიმსბი**

0:1 ვესტერი (55), 1:1 სორველი (84)

**ფულემი 2:1 ჩარლტონი**

1:0 ნილსონი (22), 2:0 პეჩისოლიდო (43), 2:1 რობინსონი (52)

**ჰადერსფილდი 7:1 კრ. პალასი**

1:0 ბიჩი (18), 2:0 ვაინჰარდი (25), 3:0 აირონსი (36), 4:0 სტიუარტი (47), 5:0, 6:0 ვაინჰარდი (60, 64), 6:1 ლინიგანი (69), 7:1 სტიარტი (74)

**ნორვიჩი 0:2 ბლექბერნი**

0:1, 0:2 ოსტენსტადი (6, 51)

**ნოტინგემი 1:1 ქუინზ პარკი**

1:0 რაიტი (29), 1:1 რიდი (70)

**პორტ ვეილი 1:0 ტრანმერი**

1:0 ნეილორი (64)

**შეფილდი 2:2 იფსვიჩი**

0:1 სკოუკროფტი (2), 0:2 ჯონსონი (10), 1:2 სმიტი (54), 2:2 მარსელო (82)

**სვინდონი 1:2 ვესტ ბრომვიჩი**

1:0 ვალტერსი (4), 1:1 კილბეინი (48), 1:2 ევანსი (64)

**ვულვერჰემპტონი 1:2 უოლსონი**

0:1 ბარასი (3), 1:1 რობინსონი (30), 1:2 რამელი (45)

**სტოკპორტი 2:0 ბირმინგემი**

1:0 უილბრემი (71), 2:0 დიაფო (84)

VI ტური

**ბირმინგემი 5:1 ქრიუ**

0:1 ქრემბი (4), 1:1 მ. ჯონსონი (12), 2:1 მაკართი (20), 3:1 ფერლონგი (30), 4:1 ჰოლცუორთი (52), 5:1 ნდლოვუ (77)

**გრიმსბი 1:0 სუინდონი**

1:0 გროვესი (30 პ)

**იფსვიჩი 6:1 ბარნსლი**

1:0 ჯონსონი (14), 2:0 ვენუსი (24), 3:0 ნეილორი (45), 4:0 სკოულკროფტი (73), 5:0 ჯონსონი (75), 5:1 მაკკლეარი (86), 6:1 მეჯილტონი (90)

**მანჩესტერ სიტი 1:0 ნოტინგემი**

1:0 გოტერი (13)

**პორტსმუთი 0:0 ჰადერსფილდი**

**ტრანმერი 1:3 შეფილდ იუნ.**

0:1 დივლინი (4), 0:2 სმითი (21), 1:2 იატესი (35), 1:3 დივლინი (45)

**უოლსოლი 2:2 ნორვიჩი**

1:0 ბარასი (3), 1:1 მარშალი (25), 2:1 უარკი (50), 2:2 კუტი (90)

**ვესტ ბრომვიჩი 0:0 ფულემი**

**ბლექბერნი — ბოლტონი**

გადაიდო

### II დივიზიონი

მე-4 ტური. ბრენტფორდი – ბლექპული 2:0; ბრისტოლი – ბერი 1:1; ბარნლი – სტოკი 1:0; კემბრიჯი – ნოტსი 1:1; კოლჩესტერი – რედინგი 3:2; ჯილინგემი – უიკომბი 2:2; ლუთონი – კარდიფი 1:0; მილუოლი – ჩესტერფილდი 1:1; ოქსფორდი – ოლდემი 1:0; პრესტონი – უიგანი 1:4; სკანთორპი – ბორნმუთი 3:1; რექსჰემი – როვერსი 2:1

მე-5 ტური. ბლეკპული — ოქსფორდი 1:1; როვერსი — ბარნლი 1:0; ბერი — კოლჩესტერი 5:2; კარდიფი — სკანთორპი 1:1; სტოკი — ჯილინგემი 1:1; უიგანი — კემბრიჯი 1:1; ჩესტერფილდი — ბრისტოლი, ნოტსი — ბრენტფორდი, ოლდემი — მილუოლი გადაიდო

### III დივიზიონი

მე-4 ტური. ნორთჰემპტონი – ლინკოლნი 1:0; ბარნეტი – იორკი 6:3; დარლინგტონი – ბრაიტონი 1:1; ჰარტლპული – ჩელტენემი 0:1; ჰალი – მაკლსფილდი 2:3; ლეიტონი – ჰალიფაქსი 1:0; მენსფილდი – კარლაისლი 1:1; პლიმუთი – პეტერბრო 2:1; როჩდეილი – ექსეტერი 0:2; როტერჰემი – შრიუსბერი 4:0; სუონსი – საუთენდი 3:1; ტორკი – ჩესტერი 2:2

მე-5 ტური. კარლაისლი — პლიმუთი 4:2; ჩელტენემი — ბარნეტი 1:2; ჩესტერი — როჩდეილი 0:2; ექსეტერი — მენსფილდი 1:0; ლინკოლნი — სუონსი 0:1; მაკლსფილდი — როტერჰემი 1:1; პიტერბრო — დარლინგტონი 4:2; საუთენდი — ლეიტონი 1:1; იორკი — ნორთჰემპტონი 0:1



რუუდ გულიტი წავიდა

# ბობი სამშობლოში?

ის, რასაც ორშაბათისთვის ელოდნენ, შაბათს მოხდა: რუუდ-გულიტმა პრესკონფერენცია გამართა და „ნიუკასლ იუნაიტედის" მენეჯერობიდან გადადგა.

შავ დღეშია დარჩენილი ჩრდილოინგლისური ფეხბურთის გიგანტი, ცხრილის ბოლოში მოქცეული შვილობილი მილიარდერი სერ ჯონ ჰოლისა, რომელმაც არაერთი მილიონი დაახარჯა „ნიუკასლის" აღზევების ცდას.

კვირას დილიდანვე გაზეთებმა ხმაური ატეხეს — ჯორდითა უფროსობას სურს ახალ მენეჯერად ბობი რობსონი იხილოსო. თუმცა, კლუბის დირექტორატმა გამოაცხადა, რომ შემდეგ თამაშამდე თერთმეტი დღე აქვს დარჩენილი და ამ დროში გამოაცხადებს ახალი მენეჯერის ვინაობას.

ბობი რობსონის კომენტარი კი ალალი და მღელვარე იყო:

„ჩემთვის არავის მოუმართავს. ახლა უმუშევარი ვარ, მაგრამ სულაც არ ვაპირებ გიჟივით გავედევნო ჭორებს. მე ჯორდი ვარ, დარემში დავიბადე და გავიზარდე. ამიტომ მე მაბოდებს შავ-თეთრი დროშის ხილვისას. ამის მიუხედავად გიცხადებთ — ჯერჯერობით არავის მოუმართავს. თუმც კი მზად ვარ, ვიფიქრო ამ საკითხზე. რაც რომ სერ ჯონ ჰოლმა „ნიუკასლის" შენება დაიწყო, მენეჯერებად სულ ახალგაზრდა, ახლო წარსულში დიდ ფეხბურთელებად აღიარებულ ვინმეებს ნიშნავდა. ბოლო ოთხი კაცი, ვინც „ნიუკასლს" ედგა სათავეში, განთქმულნი არიან: ოზი არდილესი, კევინ კიგანი, კენი დალგლიში და გულიტი.

ამათ ფონზე, 66 წლის არცთუ ჯანმრთელი რობსონის გამოჩენა, ერთგვარ მოულოდნელობად აღიქმება. თუმც, ისიც გახმიანდა, თუ რობსონი მენეჯერად დადგება, თანაშემწედ პიტერ ბერდსლის აიყვანსო. თავად ბერდსლი მხრებს იჩეჩავს, თუმც „ნიუკასლში" დაბრუნებას არ უარობს.

ამ ათ დღეს გუნდს გულიტის თანაშემწე სტივ კლარკი გაუძღვება. ალან შირერმა კი მოთამაშე-მენეჯერის თანამდებობა იუარა.

ლაპარაკი იყო ტერი ვენეიბლზზეც, თუმცა აღინიშნა, ამ კაცთან ურთიერთობას ფინანსურ საკითხებზე პრობლემები სდევს თანო. უახლოეს დღეებში, ალბათ, ბევრს ილაპარაკებენ „ლესტერის" მენეჯერ მარტინ ონილისა და „უიმბლდონის" აღმზევებლის გადამდგარი ჯო კინერის შესაძლო მოწვევის შესახებ. გახმიანდება თავად გლენ ჰოდლის სახელიც.

სტივ კლარკმა კი უკვე გადადგა პირველი ნაბიჯი, მან „ბირმინგემ სიტიდან" გუნდში დააბრუნა გულიტის მიერ შერისხული რობ ლი, რომელსაც ოცდამეჩვიდმეტე ნომერი მიანიჭა. კლარკმა აგრეთვე განაცხადა, რომ შირერი არასოდეს იჯდება სათადარიგოთა სკამზე.

## პორტუგალია

II ტური

**ბელენენსეში 1:1 ჟილ ვისენტე**

0:1 ნასიმენტო (25 პ), 1:1 მენდეში

**მარიტიმუ 0:0 სანტა კლარა**

**ლეირია 1:1 ამადორა**

0:1 გაუჩო (44), 1:1 დერლეი (67)

**ბენფიკა 1:0 სალგეირუში**

1:0 ნუნუ გომეში (53)

**ბრაგა 0:1 რიუ ავე**

0:1 სა (10)

**კამპომაიორენსე 0:1 ბოავიშტა**

0:1 ბრაგა (86)

**პორტუ 0:0 ალვერკა**

**გიმარაეში 3:0 ფარენსე**

1:0 ლუსენა (17), 2:0 რეგო (37), 3:0 ლუსენა (45)

**სპორტინგი 2:1 სეტუბალი**

0:1 ენრიკე (36), 1:1 აიუ (55), 2:1 ბეტო (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბელენენსეში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| გიმარაეში | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| სპორტინგი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ალვერკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოავიშტა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| რიუ ავე | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| ბენფიკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| სალგეირუში | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| ფარენსე | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | 3 |
| სანტა კლარა | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| პორტუ | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სეტუბალი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| ლეირია | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| მარიტიმუ | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | 1 |
| ამადორა | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | 1 |
| ბრაგა | 2 | 0 | 0 | 2 | 2:4 | 0 |
| კამპომაიორენსე | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

## ნორვეგია

XXI ტური. ლილესტრიომი – ტრომსიო 1:2; მოსი – კონგსვინგერი 3:0; ოდ გრენლანდი – ბოდიო გლიმტი 4:2; რუსენბორგი – მოლდე 2:1; სკეიდი – ბრანი 1:2; სტაბეკი – ვოლერენგა 3:0; ვიკინგი – სტრიომსგოდსეტი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 21 | 16 | 2 | 3 | 61:21 | 50 |
| ბრანი | 21 | 14 | 1 | 6 | 39:31 | 43 |
| ლილესტრიომი | 21 | 13 | 2 | 6 | 51:33 | 41 |
| მოლდე | 21 | 13 | 2 | 6 | 40:29 | 41 |
| სტაბეკი | 21 | 10 | 4 | 7 | 43:39 | 34 |
| ოდ გრენლანდი | 21 | 10 | 2 | 9 | 31:39 | 32 |
| ტრომსიო | 21 | 9 | 4 | 8 | 47:37 | 31 |
| ვიკინგი | 21 | 9 | 3 | 9 | 39:36 | 30 |
| ბოდიო გლიმტი | 21 | 8 | 4 | 9 | 42:44 | 28 |
| მოსი | 21 | 7 | 2 | 12 | 33:38 | 23 |
| სტრიომსგოდსეტი | 21 | 6 | 2 | 13 | 33:48 | 20 |
| ვოლერენგა | 21 | 5 | 3 | 13 | 31:47 | 18 |
| სკეიდი | 21 | 5 | 2 | 14 | 26:53 | 17 |
| კონგსვინგერი | 21 | 5 | 1 | 15 | 28:49 | 16 |

## ავსტრია

X ტური. გრაცერი – რაპიდი 3:1; აუსტრია – ლუსტენაუ 2:0; ბრეგენცი – ტიროლი 0:3; ლინცერი – რიდი 1:0; ზალცბურგი – შტურმი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტიროლი | 10 | 9 | 0 | 1 | 22:3 | 27 |
| რაპიდი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:7 | 22 |
| შტურმი | 10 | 5 | 3 | 2 | 18:9 | 18 |
| ზალცბურგი | 10 | 4 | 2 | 4 | 7:9 | 14 |
| რიდი | 10 | 4 | 1 | 5 | 12:10 | 13 |
| გრაცერი | 10 | 4 | 1 | 5 | 13:15 | 13 |
| აუსტრია | 10 | 3 | 3 | 4 | 10:12 | 12 |
| ლუსტენაუ | 10 | 3 | 2 | 5 | 11:14 | 11 |
| ბრეგენცი | 10 | 2 | 1 | 7 | 6:23 | 7 |
| ლინცერი | 10 | 1 | 2 | 7 | 7:19 | 5 |

## შვედეთი

XIX ტური. ჰალმსტადი – კალმარი 1:0; ტრელებორგი – ნორჩიოპინგი 0:4; იორგრიტე – ჰამარბი 2:1; მალმიო — იორებრო 3:1; ფრიოლუნდა — გიოტებორგი 1:2; ელფსბორგი — ჰელსინგბორგი 1:1; იურგარდენი — აიკ 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიკ | 19 | 12 | 4 | 3 | 31:10 | 40 |
| ჰელსინგბორგი | 19 | 11 | 3 | 5 | 28:18 | 36 |
| იორგრიტე | 19 | 10 | 5 | 4 | 32:15 | 35 |
| ჰალმსტადი | 19 | 10 | 4 | 5 | 35:16 | 34 |
| გიოტებორგი | 19 | 8 | 5 | 6 | 20:24 | 29 |
| იორებრო | 19 | 8 | 2 | 9 | 20:24 | 26 |
| კალმარი | 19 | 8 | 2 | 9 | 24:29 | 26 |
| ტრელებორგი | 19 | 6 | 5 | 8 | 28:32 | 23 |
| ნორჩიოპინგი | 19 | 6 | 5 | 8 | 24:28 | 23 |
| ფრიოლუნდა | 19 | 5 | 6 | 8 | 21:27 | 21 |
| მალმიო | 19 | 6 | 3 | 10 | 22:29 | 21 |
| ელფსბორგი | 19 | 5 | 5 | 9 | 29:38 | 20 |
| იურგარდენი | 19 | 4 | 6 | 9 | 18:30 | 18 |
| ჰამარბი | 19 | 4 | 5 | 10 | 21:33 | 17 |

## დანია

VI ტური. ბრონდბიუ – ჰერფიოლგე 2:2; სილკებორგი – ორჰუსი 2:0; ესბიერგი – აკადემისკი 0:1; ვაილე – ვიბორგი 2:3; ოდენსე – ოლბორგი 2:2; ლიუნგბიუ — კოპენჰაგენი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აკადემისკი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:0 | 16 |
| ბრონდბიუ | 6 | 4 | 1 | 1 | 11:5 | 13 |
| ოლბორგი | 6 | 4 | 1 | 1 | 10:6 | 13 |
| ჰერფიოლგე | 6 | 3 | 3 | 0 | 10:6 | 12 |
| ვიბორგი | 6 | 3 | 2 | 1 | 9:7 | 11 |
| სილკებორგი | 6 | 3 | 1 | 2 | 11:3 | 10 |
| ლიუნგბიუ | 6 | 2 | 0 | 4 | 7:9 | 6 |
| ორჰუსი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | 5 |
| კოპენჰაგენი | 6 | 1 | 1 | 4 | 2:6 | 4 |
| ესბიერგი | 6 | 1 | 1 | 4 | 5:14 | 4 |
| ვაილე | 6 | 0 | 3 | 3 | 4:13 | 3 |
| ოდენსე | 6 | 0 | 2 | 4 | 3:10 | 2 |

## ჰოლანდია

III ტური

**უტრეხტი 1:0 ტვენტე**

1:0 ვან მოლი (14)

**ვალვაიკი 1:2 ალკმარი**

0:1 ბოსმანი (21), 1:1 ჰესაკერსი (24), 1:2 ვან გალენი (80)

**ფეიენოორდი 3:1 ჰერენვენი**

1:0 კრუსი (3), 2:0 კალუ (64), 2:1 ნურმალა (69), 3:1 ვან ფოსენი (84)

**ტილბურგი 2:1 დენ ბოსხი**

1:0 არკსი (33 პ), 1:1 ვან დერ ლაანი (75 პ), 2:1 ვიქტორია (82)

**პსვ 2:1 სიტარდი**

0:1 პაკიორეკი (24), 1:1 ნილისი (27), 2:1 ბრუგინკი (90)

**როდა 4:3 ნაიმეგენი**

1:0 ტორმა (20 პ), 2:0 ვან დერ ლუერი (26), 2:1 ვან პუტენი (57), 3:1 ტორმა (75 პ), 4:1 პეეტერსი (81), 4:2 დე გიერი (84), 4:3 პოტუიზენი (87)

**ვიტესი 6:2 მაასტრიხტი**

1:0 სიკორა (14), 2:0 ვან ჰოაიდონკი (22), 3:0 ვან ჰინტუნი (40), 4:0 ვან ჰოაიდონკი (44), 4:1 კოსიცკი (47), 5:1 ვან დენ ბრომი (70), 5:2 კაერსი (74), 6:2 ვან ჰოაიდონკი (90 პ)

**კამბური 0:3 აიაქსი**

0:1 დანი (6), 0:2 ლაუდრუპი (52), 0:3 ვამბერტო (87)

აიაქსი: გრიმი, ნოივენბურგი, ვინტერი, ვერლაატი, დე კლერი, კნოპერი, დანი, ვიჩხე, არველაძე (ვამბერტო 84), მახლასი, ლაუდრუპი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 3 | 0 | 0 | 11:1 | 9 |
| პსვ | 3 | 3 | 0 | 0 | 12:3 | 9 |
| აიაქსი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 9 |
| ტილბურგი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ალკმარი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| უტრეხტი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| ტვენტე | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| როდა | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ვალვაიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ვიტესი | 3 | 1 | 1 | 1 | 8:9 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| გრააფსხაპი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| სიტარდი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| დენ ბოსხი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |
| კამბური | 3 | 0 | 1 | 2 | 1:8 | 1 |
| ნაიმეგენი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:9 | 0 |
| სპარტა | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |
| მაასტრიხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 5:16 | 0 |

# ოლსენი შინ ბრუნდება

დანიელი მწვრთნელი, მორტენ ოლსენი, რომელიც ბოლოს ამსტერდამის „აიაქსის" სათავეში იდგა, 2000 წლის 1 ივლისიდან თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდს ჩაიბარებს. ამთავითვე გახდა ცნობილი, რომ დანიელთა ახლანდელი თავკაცის, ბო იოჰანსონის მემკვიდრე სწორედ იგი იქნება. ოლსენმა ორწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. იოჰანსონი რომ შეიცვლებოდა გულშემატკივრისთვის სიურპრიზი არ გახლდათ, რადგან მან ერთი ხნის წინ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ევრო 2000-ის შემდეგ თანამდებობაზე დარჩენის სურვილი აღარ აქვს.

ოლსენი 50 წლისაა, 1970-1989 წლებში დანიის ნაკრებში 102 შეხვედრა ჩაატარა, ხოლო შემდეგ წვრთნიდა „ბრონდბიუს", გერმანულ „კიოლნს" და „აიაქსს". „ბრონდბიუს" მორტენ ოლსენმა 1990 და 1991 წლებში დანიის ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 1992 წლის გაზაფხულზე იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

სამშობლოდან „დანიური დინამიტის" ყოფილი ვარსკვლავი ბუნდესლიგაში გადაბარგდა, სადაც 1993-1995 წლებში, როგორც გითხარით, „კიოლნს" ედგა სათავეში, ხოლო 1997-1998 წლებში ამსტერდამის „აიაქსის" გაწვრთნას მიჰყო ხელი და პირველსავე სეზონში ქვეყნის ჩემპიონის ტიტული და თასი მოაპოვებინა.

1998 წლის დეკემბერში დანიელი მწვრთნელი ამსტერდამულ კლუბსაც დაეთხოვა და მას მერე არსად უმუშავია.

აღსანიშნავია, რომ მორტენ ოლსენის გუნდებში ქართველი ფეხბურთელები, უფრო სწორედ ძმები არველაძეები, ჩვეული სურათია. მისი ხელმძღვანელობით „კიოლნში" რევაზ, ხოლო „აიაქსში" შოთა არველაძეები თამაშობდნენ.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **საქტელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბელგია

IV ტური

**აალსტი 0:2 ბრიუგე**

0:1 ვერმანტი (16 პ), 0:2 იანსენი (90)

**ჰარელბეკე 0:3 ლიერსი**

0:1, 0:2 კავენსი (70, 83), 0:3 პიუსეგემსი (90)

**ანდერლეხტი 3:3 ლომელი**

1:0 ეკაკია (36), 1:1 გრანტი (43), 2:1 ეკაკია (65), 3:1 სტოიკა (71), 3:2, 3:3 დეკელვერი (80, 85)

**გენკი 4:0 სტანდარდი**

1:0 ჰენდრიქსი (17), 2:0, 3:0, 4:0 ხორვატი (25, 28, 45)

**ბეერსხოტი 3:1 სტ. ტრუიდენი**

1:0 ჰოფმანსი (5), 2:0 დემკინი (10), 3:0 ჰააგდორენი (44), 3:1 ვრანკენი

**გენტი 3:2 შარლერუა**

0:1 როხასი (8), 1:1 შეკერეში (24), 2:1, 3:1 რუსელი (26, 64პ), 3:2 დ. ბრონიო (90)

**ვესტერლო 3:0 მუსკრონი**

1:0, 2:0 ტ. ბრონიო (11, 71 პ), 3:0 მიტროვიჩი (75)

**მეხელენი 3:1 ბევერენი**

0:1 იმაგბუდუ (8 პ), 1:1 კამუსი (20), 2:1 ბალი (27), 3:1 რიბუსი (70)

**ლოკერენი 0:0 გეელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 4 | 4 | 0 | 0 | 13:2 | 12 |
| ანდერლეხტი | 4 | 3 | 1 | 0 | 14:7 | 10 |
| ვესტერლო | 4 | 3 | 1 | 0 | 13:8 | 10 |
| გენტი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| ლიერსი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:6 | 9 |
| გენკი | 4 | 2 | 2 | 0 | 13:7 | 8 |
| ბეერსხოტი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:7 | 6 |
| მეხელენი | 4 | 2 | 0 | 2 | 6:6 | 6 |
| ლომელი | 4 | 1 | 2 | 1 | 8:9 | 5 |
| აალსტი | 4 | 1 | 1 | 2 | 7:8 | 4 |
| მუსკრონი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:7 | 4 |
| შარლერუა | 4 | 1 | 0 | 3 | 6:8 | 3 |
| გეელი | 4 | 0 | 3 | 1 | 3:7 | 3 |
| სტანდარდი | 4 | 1 | 0 | 3 | 3:9 | 3 |
| ჰარელბეკე | 4 | 0 | 2 | 2 | 4:8 | 2 |
| ლოკერენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:7 | 2 |
| სენტ ტრუიდენი | 4 | 0 | 2 | 2 | 3:9 | 2 |
| ბევერენი | 4 | 0 | 1 | 3 | 5:12 | 1 |

## შვეიცარია

X ტური

**ბაზელი 0:0 ციურიხი**

**გრასჰოპერი 4:2 სერვეტი**

1:0 ეკოკუ (11), 2:0 კაბანასი (15), 2:1 ტური (32), 3:1 ეკოკუ (33), 4:1 შეპუიზა (57), 4:2 რეი (59)

**ლუგანო 4:1 არაუ**

1:0 აკასუ (11), 2:0 ბასტიდა (31), 2:1 პაგე (67), 3:1 ბასტიდა (87), 4:1 პოი (88)

**ქსამაქსი 1:2 ლოზანა**

1:0 ბილი (48), 1:1 მაცონი (50), 1:2 ჩელესტინი (61)

**სტ. გალენი 2:1 დელემონი**

1:0 ტულერი (15), 2:0 ამოა (57), 2:1 ნდლოვუ (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სენტ გალენი | 9 | 6 | 2 | 1 | 17:9 | 20 |
| გრასჰოპერი | 10 | 4 | 4 | 2 | 19:11 | 16 |
| სერვეტი | 10 | 5 | 1 | 4 | 19:16 | 16 |
| ივერდონი | 10 | 4 | 3 | 3 | 15:11 | 15 |
| ლოზანა | 10 | 4 | 3 | 3 | 12:9 | 15 |
| ბაზელი | 9 | 3 | 5 | 1 | 10:5 | 14 |
| ქსამაქსი | 10 | 2 | 6 | 2 | 15:17 | 12 |
| ლუცერნი | 10 | 3 | 3 | 4 | 9:13 | 12 |
| არაუ | 10 | 3 | 2 | 5 | 12:21 | 11 |
| ლუგანო | 10 | 2 | 4 | 4 | 14:14 | 10 |
| ციურიხი | 10 | 1 | 5 | 4 | 6:13 | 8 |
| დელემონი | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |

## უკრაინა

IX ტური. მეტალურგი – ზირკა 2:0; ჩორნომორეცი – ტავრია 1:2; ნივა – ზაპოროჟიე 0:3; ცსკა – ვორსკლა 1:1; კარპატი – დნიპრო 4:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრივბასი | 7 | 6 | 1 | 0 | 15:5 | 19 |
| ვორსკლა | 10 | 5 | 2 | 3 | 19:12 | 17 |
| დინამო | 6 | 5 | 1 | 0 | 13:4 | 16 |
| ზაპოროჟიე | 8 | 5 | 1 | 2 | 12:8 | 16 |
| მეტალისტი | 9 | 5 | 1 | 3 | 11:10 | 16 |
| კარპატი | 9 | 5 | 0 | 4 | 17:11 | 15 |
| მეტალურგი | 9 | 4 | 2 | 3 | 9:9 | 14 |
| შახტარი | 7 | 4 | 1 | 2 | 7:2 | 13 |
| ტავრია | 9 | 4 | 1 | 4 | 14:13 | 13 |
| მარიუპოლი | 8 | 4 | 0 | 4 | 16:10 | 12 |
| ცსკა | 8 | 3 | 2 | 3 | 10:6 | 11 |
| ნივა | 8 | 1 | 3 | 4 | 9:13 | 6 |
| დნიპრო | 8 | 1 | 2 | 5 | 5:17 | 5 |
| პრიკარპატია | 8 | 0 | 4 | 4 | 4:11 | 4 |
| ზირკა | 9 | 0 | 4 | 5 | 4:16 | 4 |
| ჩორნომორეცი | 9 | 1 | 1 | 7 | 3:21 | 4 |

## საფრანგეთი

**მონაკო 3:0 ტრუა**

1:0, 2:0 ტრეზეგე (31,43), 3:0 სიმონე (76)

**ლიონი 1:0 პსჟ**

1:0 ანდერსონი (52პ)

**ბორდო 0:0 მეცი**

**მარსელი 1:1 ბასტია**

0:1 ნე (6), 1:1 ბაკაიოკო (51)

**სედანი 3:2 სენტ ეტიენი**

0:1 სარი (6), 0:2 ალოიზიო (16), 1:2 მიონე (45), 2:2 ნდიეფი (74), 3:2 კვინტი (90)

**ნანსი 2:1 ლანსი**

1:0 კასკარინო (45), 1:1 ისმაელი (53პ), 2:1 ვიარტი (90)

**ოსერი 2:1 ლე ავრი**

0:1 დე ნეფი(37), 1:1 ტაინიო (62), 2:1 გივარში (77)

**სტრასბური 2:1 რენი**

0:1 ნონდა (11), 1:1 ბელზო (30), 2:1 ეშუაფნი (57)

**ნანტი 3:0 მონპელიე**

1:0 სიბიერსკი (42), 2:0 მონტერუბიო (61), 3:0 ოლემბე (70)

არცთუ შთამბეჭდავი სტარტის შემდეგ „მონაკო" ყოველ ტურში უმატებს და ბოლო დროს საკმაოდ სოლიდური გუნდის შთაბეჭდილებას ტოვებს. აი, კვირასაც მონაკოელთა მსხვერპლი „ტრუა" გახდა. სამიდან ორი ბურთი სტუმრებს დავიდ ტრეზეგემ გაუტანა და შვიდი გოლით ბომბარდირთა სიასაც ჩაუდგა სათავეში.

გასული სეზონის ლიდერები კი მძიმედ იწყებენ. „ბორდო" და „მარსელი" ამ უქმეებზე შინ თამაშობდნენ, მაგრამ მეტოქეთა გატეხვა ვერცერთმა მოახერხა. მეტიც, „მარსელმა" მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლო ანგარიშის გათანაბრება. დღეისათვის ჩემპიონთა ლიგის მონაწილე ფრანგული გუნდები მათთვის უჩვეულო მეშვიდე-მერვე ადგილებზე დამკვიდრებულან.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 5 | 3 | 1 | 1 | 12:5 | 10 |
| პსჟ | 5 | 3 | 1 | 1 | 7:4 | 10 |
| ლიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 7:5 | 10 |
| ოსერი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:7 | 10 |
| ნანტი | 5 | 3 | 0 | 2 | 7:3 | 9 |
| სტრასბური | 5 | 3 | 0 | 2 | 6:6 | 9 |
| ბორდო | 5 | 2 | 2 | 1 | 10:6 | 8 |
| მარსელი | 5 | 1 | 4 | 0 | 7:4 | 7 |
| ლანსი | 5 | 2 | 1 | 2 | 3:3 | 7 |
| ბასტია | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| ნანსი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:8 | 6 |
| სედანი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:11 | 6 |
| მეცი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:3 | 5 |
| სენტ ეტიენი | 5 | 1 | 2 | 2 | 9:11 | 5 |
| რენი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:8 | 5 |
| ლე ავრი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:7 | 4 |
| მონპელიე | 5 | 1 | 1 | 3 | 6:11 | 4 |
| ტრუა | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

### მეორე დივიზიონი

VI ტური

მე-6 ტური. გენგამი – აიაჩო 1:1; ლავალი – ნიცა 1:1; ნიმი – კრეტეი 2:1; კანი – კაენი 1:0; ვალანსი – ლე მანი 0:0; ლორიანი – ნიორი 2:0; გნიონი – ვასკეალი 1:1; ლილი – ლუანი 1:0; ამიენი – შატორუ 1:0; სოშო – ტულუზი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლილი | 6 | 5 | 1 | 0 | 10:4 | 16 |
| ამიენი | 6 | 4 | 2 | 0 | 14:7 | 14 |
| ტულუზი | 6 | 4 | 1 | 1 | 9:2 | 13 |
| კანი | 6 | 4 | 0 | 2 | 7:5 | 12 |
| ლორიანი | 6 | 3 | 2 | 1 | 6:3 | 11 |
| ლე მანი | 6 | 2 | 4 | 0 | 8:6 | 10 |
| ვალანსი | 6 | 2 | 3 | 1 | 8:6 | 9 |
| კრეტეი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| გენგამი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| ნიმი | 6 | 2 | 2 | 2 | 6:6 | 8 |
| სოშო | 6 | 2 | 1 | 3 | 8:9 | 7 |
| კაენი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:4 | 6 |
| გნიონი | 6 | 1 | 3 | 2 | 5:7 | 6 |
| ლავალი | 6 | 1 | 3 | 2 | 3:5 | 6 |
| შატორუ | 6 | 1 | 2 | 3 | 8:10 | 5 |
| ვასკეალი | 6 | 1 | 2 | 3 | 3:6 | 5 |
| ნიორი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |
| ნიცა | 6 | 0 | 4 | 2 | 4:8 | 4 |
| ლუანი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:8 | 4 |
| აიაჩო | 6 | 0 | 2 | 4 | 6:13 | 2 |

ვთავაზობთ სამსახურს
კომპიუტერზე
კვალიფიციურად მბეჭდავ
ახალგაზრდა ქალს.
დარეკეთ 93 16 08
12-დან 15 საათამდე



ლოკომოტივი — კრილია 2:0 ალექსეი სმერტინმა (№7) სტუმრებს პირველი გოლი გაუტანა

## რუსეთი

XXII ტური

**ჟემჩუჟინა 2:0 ალანია**

1:0 კოვალენკო (8), 2:0 ბონდარუკი (63)

**ლოკომოტივი 2:0 კრილია**

1:0 სმერტინი (33), 2:0 ხარლაჩევი (53)

**როსტსელმაში 0:3 სპარტაკი**

0:1, 0:2 რობსონი (9, 44), 0:3 ტიტოვი (57)

**ნ. ნოვგოროდი 1:0 შინიკი**

1:0 ავაქოვი (3)

**ტორპედო 1:0 ზენიტი**

1:0 ლიტვინოვი (41)

**დინამო 0:1 ჩერნომორეცი**

0:1 გერაშჩენკო (36)

**სატურნი 2:0 ურალანი**

1:0 სოლოვიევი (24), 2:0 გავრილინი (86)

**როტორი 1:1 ცსკა**

1:0 ვერეტენიკოვი (67), 1:1 კულიკი (80)

მომავალ „დემიგოლის" გოლამდე... აი, ამ სიტყვებით დავამთავრე რუსეთის ჩემპიონატის წინა, 21-ე ტურის მიმოხილვა. გული მიგრძნობდა, „ალანიას" ქართველი ფორვარდი გიორგი დემეტრაძე ზედიზედ მერვე შეხვედრაშიც გაიტანდა და ... ისე ყველაფერი აგისრულდეთ, როგორც ჩემი წინასწარმეტყველება ახდა. დემემ სოჭშიც გაიტანა ეფექტური გოლი. სოჭშიც დაუმტკიცა რუსებს, რომ ამ სეზონში მისი გაჩერება შეუძლებელია, მაგრამ რად გინდა. თავის მხრივ, რუსებმაც (მსაჯები) აგრძნობინეს ჩვენებურს, შეუცდომელი მხოლოდ ღმერთიაო. თანამსაჯმა არარსებული ოფსაიდი დააფიქსირა და მთავარი არბიტრი, მოსკოველი ბასკაკოვიც უყოყმანოდ დაეთანხმა მის გადაწყვეტილებას. არადა, ვიდეოჩანაწერში თვალნათლივ ჩანდა, გოლი წესების სრული დაცვით გავიდა. 42-ე წუთზე „ალანია" ამაოდ ელოდა ანგარიშის გათანაბრებას.

სხვა მხრივ, „ჟემჩუჟინა" სტუმრებზე მობილიზებული შეხვდა ამ მატჩს. მისი მთავარი მწვრთნელი ვიქტორ ანტიხოვიჩი თავის შეგირდებს ვარჯიშებზე ასწავლიდა, როგორ ემოქმედათ ნაყოფიერად ხაზზე მოთამაშე დაცვის წინააღმდეგ. გაზაევის „ალანიის" დაცვა ხომ სწორედ ასეთი სქემით თამაშობს. სოჭელებს, ეტყობა, ურიგოდ არ უმეცადინიათ და მე-8 წუთზე გათამაშებული კომბინაციით დემენკომ ხელოვნური თამაშგარე მდგომარეობის შესაქმნელად გამზადებული სტუმართა მცველები გამოიჭირა, მისი რეიდი კი კოვალენკომ დააგვირგვინა. ეს ის კოვალენკოა, ექვსი თვის წინ „ალანიის" რიგებში რომ ირიცხებოდა და გაზაევისგან ათვალწუნებულმა „ჟემჩუჟინაში" ამოყო თავი. შეხვედრის შემდეგ ვლადიკავკაზელთა დამრიგებელმა ცინიკურად განაცხადა — ვულოცავ „ჟემჩუჟინას" და მსაჯს „ჟემჩუჟინის" გამარჯვებასო.

მოსკოვის გუნდებმა — „სპარტაკმა" და „ლოკომოტივმა" მორიგი სამსამი ქულა მიითვალეს. რკინიგზელები კვლავ ინარჩუნებენ ჩემპიონობის შანსს და ამ ტიტულს გათამაშების ერთპიროვნულ ლიდერს შეეცილებიან. სიომინის გუნდს ტრავმირებული ზაზა ჯანაშიას არყოფნამაც ვერ დააკლო რამე.

ვოლგოგრადში ნათამაშები 1:1 ცსკას კრიზისის დაძლევის საწყისად უნდა მივიჩნიოთ. სამაგიეროდ, დედაქალაქური „დინამოს" შინ დამარცხება მიგვანიშნებს, რომ ეს კლუბი არმიელთათვის ნაცნობი სენით დაავადდა.

რუსეთის უმაღლესი დივიზიონის დებიუტანტები „ნიჟნი ნოვგოროდი" და „სატურნი" ჯერჯერობით ასრულებენ დასახულ ამოცანას და ცხრილის ათეულში მკვიდრობენ. ორივე გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით ნიჟნელ ავაქოვსა და რამენსკოეში განათხოვრებით მოთამაშე სპარტაკელ ბუზნიკინს. ავაქოვის ანგარიშზე გუნდის მიერ 25 გატანილი გოლიდან 11 მოდის, ბუზნიკინი კი ისე არ ტოვებს მოედანს, გულშემატკივართა მხურვალე ოვაცია არ დაიმსახუროს.

ბოლო ორი ტურია, ერთი კანონზომიერება დადგინდა. „შინიკი" იგებს, „ჟემჩუჟინა" აგებს ან პირიქით. შესაბამისად, კლუბები ბოლო ორ ადგილზე მონაცვლეობენ. წესით, 23-ე ტურშიც იგივე უნდა მოხდეს — „ჟემჩუჟინა" „ურალანს" სტუმრობს, „შინიკი" კი „სატურნს" მასპინძლობს. ... და დემეს გააქვს? თუ გიორგიმ შაბათს ვლადიკავკაზში ჩასულ მოსკოვის „ლოკომოტივსაც" გაუტანა, მერე ნახეთ თქვენ რუსული... არ მინდა, ის სიტყვა ვიხმარო. ხომ გახსოვთ ომალოს ამბავი...

**ხვიჩა სანიკიძე**

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| დემეტრაძე (ალანია) | | 18 |
| ტიხონოვი (სპარტაკი) | | 16 |
| ავაქოვი (ნ. ნოვგოროდი) | | 11 |
| ტერიოხონი (დინამო) | | 11 |
| ლოსკოვი (ლოკომოტივი) | | 11 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 25 | 18 | 5 | 2 | 57:18 | 59 |
| ლოკომოტივი | 22 | 15 | 4 | 3 | 50:23 | 49 |
| ტორპედო | 23 | 10 | 9 | 4 | 29:25 | 39 |
| ცსკა | 22 | 10 | 8 | 4 | 38:21 | 38 |
| ალანია | 21 | 10 | 4 | 7 | 43:28 | 34 |
| დინამო | 22 | 9 | 5 | 8 | 35:32 | 32 |
| ზენიტი | 22 | 7 | 8 | 7 | 27:26 | 29 |
| ნ. ნოვგოროდი | 22 | 8 | 4 | 10 | 25:34 | 28 |
| როსტსელმაში | 21 | 7 | 6 | 8 | 21:25 | 27 |
| სატურნი | 23 | 6 | 6 | 11 | 22:32 | 24 |
| როტორი | 22 | 6 | 5 | 11 | 28:41 | 23 |
| ჩერნომორეცი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:35 | 23 |
| კრილია | 23 | 6 | 4 | 13 | 30:40 | 22 |
| ურალანი | 22 | 6 | 4 | 12 | 18:30 | 22 |
| ჟემჩუჟინა | 22 | 4 | 8 | 10 | 19:36 | 20 |
| შინიკი | 22 | 4 | 7 | 11 | 14:31 | 19 |

## შოტლანდია

V ტური.

**აბერდინი 0:3 სტ. ჯონსტონი**

0:1 ტომასი (26), 0:2 ვიარი (68), 0:3 ლოუნდესი (75)

**სელტიკი 4:0 ჰართსი**

1:0 ვიდუკა (17), 2:0 ლარსონი (36), 3:0 4:0 ბერკოვიჩი (69, 70)

**დანდი იუნ. 0:0 კილმარნოკი**

**ჰიბერნიანი 0:1 რეინჯერსი**

0:1 იოჰანსონი (69)

**მოზერუელი 0:2 დანდი**

0:1 ანანდი (16), 0:2 ფალკონერი (83)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 5 | 5 | 0 | 0 | 15:3 | 15 |
| სელტიკი | 5 | 4 | 0 | 1 | 15:3 | 12 |
| დანდი იუნ. | 5 | 2 | 2 | 1 | 7:8 | 8 |
| სტ. ჯონსტონი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ჰართსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:10 | 7 |
| დანდი | 5 | 2 | 0 | 3 | 9:8 | 6 |
| ჰიბერნიანი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 6 |
| მოზერუელი | 5 | 1 | 2 | 2 | 6:10 | 5 |
| კილმარნოკი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| აბერდინი | 5 | 0 | 0 | 5 | 0:15 | 0 |



სელტიკი — ჰართსი 4:0. ჰენრიკ ლარსონმა (მარჯვნივ) თავისი გოლი ჰართსსაც შეუგდო

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. V ტური** | | | |
| 31.08 | 003 | ქუინზ პარკი — პორტ ვეილი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. V ტური** | | | |
| 31.08 | 004 | ბორნმუთი — ლუტონი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 005 | უიკომბი — რექსემი | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| 01.09 | 006 | რედინგი — პრესტონი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. V ტური** | | | |
| 31.08 | 007 | ბრაიტონი — ჰალი | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 008 | ჰალიფაქსი — ტორკი | 2,1 | 2,9 | 3,2 |
| | 009 | შრიუსბერი — ჰარტლპული | 2,1 | 3,3 | 2,8 |
| | | **იტალია. თასის I ეტაპი. V ტური** | | | |
| 01.09 | 010 | ფ. ანდრია — ტერნანა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 011 | ლეჩე — ლუკეზე | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 012 | სამპდორია — სავოია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 013 | ჩეზენა — პალერმო | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 014 | ლუმეცანე — ჯენოა | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 015 | ემპოლი — მონცა | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 016 | კრემონეზე — ატალანტა | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | 017 | პისტოიეზე — კიევო | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 018 | ტრევიზო — გუალდო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 019 | რეჯინა — კოზენცა | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 020 | ნაპოლი — სალერნიტანა | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 021 | ფერმანა — კომო | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 022 | ბრეშა — სტაბია | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 023 | რეჯანა — პესკარა | 4,7 | 3,0 | 1,7 |
| | 024 | ალძანო — სპალ | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| | 025 | ვიჩენცა — რავენა | 1,8 | 3,0 | 4,0 |

*იტალიის თასზე ჯგუფიდან შემდეგ ეტაპზე გადის ერთი გუნდი*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **ბელგიის სუპერთასი** | | | |
| 02.09 | 026 | გენკი — ლიერსი | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | | **ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი** | | | |
| 01.09 | 501 | ირლანდია — იუგოსლავია | 2,7 | 2,8 | 2,4 |

### ჩემპიონთა ლიგა

| | I ადგ. | ჯგ. გასვლა | IV ადგ. | თასი |
|---|---|---|---|---|
| ლაციო | 1,2 | 1,02 | 25,0 | 4,0 |
| ლევერკუზენი | 3,0 | 1,4 | 6,0 | 10,0 |
| დინამო | 5,0 | 2,0 | 4,0 | 25,0 |
| მარიბორი | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| ბარსელონა | 1,7 | 1,3 | 15,0 | 2,5 |
| ფიორენტინა | 2,0 | 1,4 | 12,0 | 5,0 |
| არსენალი | 3,0 | 1,5 | 10,0 | 7,0 |
| აიკ | 25,0 | 10,0 | 1,02 | 100,0 |
| დორტმუნდი | 1,7 | 1,2 | 6,0 | 7,0 |
| ფეიენოორდი | 2,0 | 1,5 | 2,5 | 15,0 |
| რუსენბორგი | 4,0 | 2,0 | 1,8 | 25,0 |
| ბოავიშტა | 6,0 | 3,0 | 1,6 | 50,0 |
| მანჩესტერი | 1,15 | 1,01 | 25,0 | 2,5 |
| მარსელი | 3,0 | 1,05 | 5,0 | 10,0 |
| კროაცია | 6,0 | 3,0 | 2,0 | 25,0 |
| შტურმი | 25,0 | 10,0 | 1,2 | 100,0 |
| რეალი | 1,15 | 1,02 | 10,0 | 6,0 |
| პორტუ | 3,0 | 1,3 | 2,5 | 15,0 |
| ოლიმპიაკოსი | 8,0 | 3,0 | 1,5 | 50,0 |
| მოლდე | 10,0 | 4,0 | 1,2 | 100,0 |
| ბაიერნი | 1,8 | 1,3 | 8,0 | 5,0 |
| ვალენსია | 2,5 | 1,6 | 2,2 | 10,0 |
| პსვ | 4,0 | 2,0 | 1,7 | 15,0 |
| რეინჯერსი | 4,0 | 2,0 | 1,5 | 25,0 |
| ბორდო | 1,7 | 1,15 | 6,0 | 15,0 |
| სპარტაკი | 2,0 | 1,35 | 2,2 | 25,0 |
| სპარტა | 5,0 | 2,5 | 1,8 | 50,0 |
| ტილბურგი | 8,0 | 3,5 | 1,4 | 50,0 |
| მილანი | 1,7 | 1,1 | 8,0 | 2,5 |
| ჩელსი | 1,8 | 1,15 | 6,0 | 5,0 |
| ჰერტა | 4,0 | 2,0 | 2,0 | 15,0 |
| გალათასარაი | 10,0 | 4,0 | 1,1 | 50,0 |

### უეფას თასს მოიპოვებს

| | | | |
|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 2,5 | ვერდერი | 10,0 |
| პარმა | 4,0 | ვოლფსბურგი | 15,0 |
| რომა | 5,0 | ანდერლეხტი | 15,0 |
| ლიდსი | 5,0 | ბრიუგე | 15,0 |
| ტოტენჰემი | 5,0 | ლიონი | 15,0 |
| აიაქსი | 5,0 | ნანტი | 15,0 |
| უდინეზე | 7,0 | ლანსი | 15,0 |
| ბოლონია | 7,0 | მონპელიე | 25,0 |
| ნიუკასლი | 7,0 | ბენფიკა | 25,0 |
| ვესტ ჰემი | 10,0 | ლოკომოტივი | 50,0 |
| სელტა | 10,0 | ვიტესი | 50,0 |
| ატლეტიკო | 10,0 | სელტიკი | 50,0 |
| დეპორტივო | 10,0 | სპორტინგი | 50,0 |
| მალიორკა | 10,0 | გიოტებორგი | 100,0 |
| მონაკო | 10,0 | ცრვენა ზვეზდა | 100,0 |
| კაიზერსლაუტერნი | 10,0 | როდა | 100,0 |

*გადამრავლება შეიძლება მხოლოდ ერთი და იგივე სახის კოეფიციენტების (I ადგილი I ადგილზე, გასვლა გასვლაზე, IV ადგილი IV ადგილზე, თასის აღება თასის აღებაზე)*

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



# ხელს როცა გაანძრევ, ღმერთი მაშინ გიშველის! საქართველო შესარჩევ ეტაპზე გავიდა

**ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი. 25-29 აგვისტო. სლოვაკეთი**

„ღმერთის წყალობა თუ გვიშველის, თორემ მეტი არაფერი" — უთხრა „სარბიელს" საქართველოს ჭაბუკ კალათბურთელთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე გამგზავრების წინ.

ღმერთის წყალობა ნურავის მოშლოდეს, მაგრამ თუ თავად ხელი არ გაანძრიე, ვერც იგი გიშველის. ქართველმა ჭაბუკმა კალათბურთელებმა კი ჯერ ხელი გაანძრიეს, მოსაგები — მოიგეს, წასაგები — წააგეს და სწორედ ამიტომ გადმოხედა მათ ღმერთმა: საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის მომდევნო, შესარჩევ ეტაპზე გავიდა.

მასპინძლების, სლოვაკეთის პრინციპულ მატჩში დამარცხების შემდეგ, ქართველებს არანაკლებ მნიშვნელოვანი შეხვედრა ელოდათ ავსტრიელებთან. საქართველოს ეროვნული ნაკრების და სლოვაკეთის „ლევიცეს" კალათბურთელის, *დავით ბერძენიშვილის* ცნობით, ჩვენმა მოთამაშეებმა თავიდანვე ჩაიგდეს ხელში ინიციატივა და გამარჯვებულის ვინაობა საეჭვო აღარ გახადეს. ქართველებმა მატჩი 21 ქულით მოუგიათ.

ამას მოჰყვა შეხვედრა ტურნირის ლიდერთან და გამარჯვებულთან საფრანგეთთან. ყველა ფრანგების იოლ გამარჯვებას ელოდა, მაგრამ ჩვენებურებს კარგად უთამაშიათ და მთელი შეხვედრა ქულა-ქულაზე მიდიოდა. საფრანგეთს ბოლო წუთებზე უმძლავრია და ოთხი ქულით მოუგია.

ტურნირის დასკვნით დღეს რუმინეთი შეგვხვდა. თუკი მომდევნო ეტაპზე გასვლა სურდათ, ქართველებს აუცილებლად უნდა მოეგოთ ეს შეხვედრა. ავსტრიასთან მატჩის მსგავსად, ჩვენებურები თავიდანვე დაეუფლნენ ინიციატივას და 18 ქულითაც მოიგეს. საქართველოს ნაკრებმა გეგმა პირნათლად შეასრულა — სამი მატჩი მოიგო, ორი წააგო, რაც მესამე ადგილზე გასასვლელად, ანუ შესარჩევ ეტაპზე მოსახვედრად საკმარისი აღმოჩნდა.

ტურნირი დაუმარცხებელმა საფრანგეთმა მოიგო, მეორე ადგილზე იუგოსლავია გავიდა. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი მომავალ წელს გაიმართება.

## NBA თავისუფალი აგენტების ბაზარი

26-27-28 აგვისტო

***დალას მავერიქსი:*** შეინარჩუნა ფორვარდი გერი ტრენტი (ერთწლიანი კონტრაქტი); შეინარჩუნა ფორვარდი სედრიკ სებალოსი (ორწლიანი კონტრაქტი)

***იუტა ჯაზი:*** აიყვანა „სიეტლის" ყოფილი ცენტრი ოლდენ პოლინაისი

***ვანკუვერ გრიზლიზი:*** აიყვანა „მინესოტას" ყოფილი ფორვარდი დენის სკოტი; ჯერ შეინარჩუნა, მერე კი „ჰიუსტონში" გაყიდა ფორვარდი მახტარ ნდაიე



სტივ ფრენსისი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიდესი ვაჭრობის მიზეზი გახდა

*პარასკევს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიდესი ვაჭრობა მოეწყო. აქამდე არ ყოფილა, რომ სამ გუნდს თერთმეტი მოთამაშე და დრაფტის ოთხი არჩევანი დაეტრიალებინოს. ვაჭრობას ბოლოდან, შედეგებიდან მოვყვეთ და ჯერ ის ვნახოთ, ვინ რა მიიღო.*

*__ვანკუვერ გრიზლიზი:__ მაიკლ დიკერსონი, ბრენტ პრაისი, ანტუან კარი, ოტელა ჰარინგტონი, 2000, 2001 და 2002 წლების დრაფტის პირველი წრის არჩევანი (ყველაფერი მიიღო „ჰიუსტონისგან"); 2002 წლის დრაფტის მეორე წრის არჩევანი (მიიღო „ორლანდოსგან")*

*__ჰიუსტონ როკიტსი:__ სტივ ფრენსისი, ტონი მასენბურგი (ორივე მიიღო „ვანკუვერისგან"); დონ მაკლინი (მიიღო „ორლანდოსგან")*

*__ორლანდო მეჯიქი:__ ლი მაიბერი, როდრიკ როუდზი, მაიკლ სმიტი, მახტარ ნდაიე (ოთხივე მიიღო „ჰიუსტონისგან". მანამდე, ამ უკანასკნელმა ოთხივე გადმოიყვანა „ვანკუვერიდან")*

# ამხელა ვაჭრობა ჯერ არ ყოფილა

ყველაფერი სტივ ფრენსისმა წამოიწყო. მერილენდის უნივერსიტეტის სტუდენტყოფილმა, 1999 წლის დრაფტში „ვანკუვერ გრიზლიზის" რჩეულმა, არ მოისურვა თავის ამყვან კლუბში თამაში და ამის თაობაზე წუწუნს დრაფტის ჩატარების დღიდანვე მოჰყვა. პარასკევს ფრენსისმა საგანგებო პრესკონფერენციაც დანიშნა, სადაც ოფიციალურად უნდა ეთქვა უარი „ვანკუვერში" თამაშზე.

ფრენსისმა პრესკონფერენცია გააუქმა, რადგან მანამდე შეიტყო, რომ „გრიზლიზში" აღარ ითამაშებდა. „ვანკუვერის" გენერალური მენეჯერის სტიუ ჯექსონის ორკვირიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო — ფრენსისი გაიყიდა.

ჯექსონმა კარგად იცოდა, რომ საქმის დაჭერა იმ მოთამაშესთან, რომელსაც გუნდში თამაში არ უნდა, უსიამოვნების მეტს არაფერს მოიტანდა. ამიტომ ფრენსისის სხვა გუნდში გაცვლის ან გაყიდვის რამდენიმე ვარიანტი მოსინჯა, რომელთაგან ერთმა გაამართლა.

ორიოდ კვირის წინ ჯექსონმა და „ჰიუსტონ როკიტსის" ვიცე-პრეზიდენტმა კეროლ დოუსონმა ათკაციანი გაცვლის პროექტი შეადგინეს. ეს დოუსონი ფხიანი კაცია, სწორედ მან მოიყვანა „ჰიუსტონში" სხვადასხვა დროს კლაიდ დრექსლერი, ჩარლზ ბარკლი და სკოტი პიპენი. ორი კვირის განმავლობაში ჯექსონმა და დოუსონმა ვაჭრობის დეტალები ყველა წვრილმანამდე შეათანხმეს და ხელი ხელს დაჰკრეს. „ჰიუსტონმა" ექვსი მოთამაშე მიიღო „ვანკუვერისგან": უკანახაზელები სტივ ფრენსისი, ლი მაიბერი, როდრიკ როუდზი; ფორვარდები ტონი მასენბურგი, მაიკლ სმიტი, მახტარ ნდაიე. თავის მხრივ, „ჰიუსტონმა" ოთხი კაცი მისცა „ვანკუვერს": უკანახაზელები მაიკლ დიკერსონი, ბრენტ პრაისი; ფორვარდი ანტუან კარი; ცენტრი ოტელა ჰარინგტონი. ამათ გარდა, „ვანკუვერს" მომდევნო სამი წლის დრაფტების პირველი წრის არჩევნები ერგო „ჰიუსტონისგან".

თითქოს ყველაფერი დამთავრდა და კლუბებს ერთმანეთისთვის ხელის ჩამორთმევაღა აკლდათ, როცა სცენაზე შემოიჭრა „ორლანდო მეჯიქი" მოუსვენარი გენერალური მენეჯერით ჯონ გაბრიელით. უჩემოდ როგორ ივაჭრეთო, და, გაბრიელმა მოლაპარაკება გაუბა დოუსონს. ცოტა ხანში „ჰიუსტონმა" ოთხი ყოფილი ვანკუვერელი — ლი მაიბერი, როდრიკ როუდზი, მაიკლ სმიტი და მახტარ ნდაიდე „ორლანდოში" გაგზავნა, სანაცვლოდ კი ერთი კაცი, ფორვარდი დონ მაკლინი მიიღო. ვაჭრობა კი იმით დასრულდა, რომ „ორლანდომ" 2002 წლის დრაფტის მეორე წრის არჩევანი დაუთმო „ვანკუვერს". აქვე დონ მაკლინზეც ვთქვათ. 30 ივნისს, ანუ დრაფტის დღეს „სიეტლ სუპერსონისქმა" მაკლინი „ორლანდოში" გაგზავნა. ახლა კი, პირველი გაცვლიდან ზუსტად ორი თვის თავზე, მაკლინი ისე აღმოჩნდა „ჰიუსტონში", რომ „მეჯიქის" რიგებში წუთიც არ უთამაშია.

ვაჭრობის შემდეგ დოუსონი უკმაყოფილო არ ყოფილა: „ძალიან ძნელია ამ ლიგაში ვინმესთან გარიგება. ეს ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესია. თანაც, თავიდან ერთს ფიქრობ, საბოლოოდ კი მეორე გამოგდის". ამრიგად, „ჰიუსტონმა" წადილი შეისრულა და სტივ ფრენსისი დაისაკუთრა. „როკიტსის" მთავარი მწვრთნელის, რუდი ტომიანოვიჩის აზრით, ფრენსისი ის მოთამაშეა, რომელიც იდეალურად მოერგება გუნდის სათამაშო სტილს და მოთამაშეებთანაც მალე გამონახავს საერთოს. ამბობენ, ტომიანოვიჩი ძირითად ხუთეულში, გამთამაშებლად გაამწესებსო ფრენსისს, სადაც მას მხარს დაუმშვენებენ კუტინო მობლი, სკოტი პიპენი, ჩარლზ ბარკლი და ჰაკიმ ოლაჯუონი.

კმაყოფილი იყო „გრიზლიზიც". სტიუ ჯექსონმა განაცხადა: „ამ გაცვლებით რამდენიმე საქმე გავაკეთეთ — მოვიშორეთ ფრენსისი, მივიღეთ რამდენიმე კარგი მოთამაშე და სამომავლო დრაფტებშიც კარგი არჩევნების გაკეთების საშუალება გაგვიჩნდება". სავარაუდოდ, გამთამაშებელი მაიკლ დიკერსონი შეუამხანაგდება მსროლელ მაიკ ბიბის. ეს კალათბურთელები სტუდენტობისას ერთად თამაშობდნენ არიზონის უნივერსიტეტში.

ახლა „ორლანდოს" გენერალურ მენეჯერს ჯონ გაბრიელსაც მოვუსმინოთ: „ამ ვაჭრობაში ჩართვა ნაღდად ღირდა. ჩვენ რამდენიმე ნიჭიერი კალათბურთელი დავისაკუთრეთ".

ასე დასრულდა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში უდიდესი ვაჭრობა. აქამდე ყველაზე დიდად ორი ვაჭრობა მიიჩნეოდა. 1997 წელს „დალას მავერიქსმა" და „ნიუ ჯერსი ნეთსმა" ერთმანეთში ცხრა კაცი გაცვალეს. ამდენივეკაციანი გარიგება წლეულს მარტშიც მოხდა, ოღონდ იქ სამმა გუნდმა ივაჭრა: „ნიუ ჯერსიმ", „მილუოკი ბაქსმა" და „მინესოტა ტიმბერვულვზმა".

ჩოგბურთი

# ლინდსის ვარჯიშზე ეჩქარებოდა

**ნიუ ჰეივენი. აშშ. PILOT PEN-ის პირველობა. ჰარდი. საპრიზო 520 ათასი $**

მეოთხედფინალი: **ლინდსი დევენპორტი** (1, აშშ) — ამელი მორესმო (საფრანგეთი) 6:1, 6:2; **ვინუს უილიამსი** (2, აშშ) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:0, 6:4; **მონიკა სელეში** (3, აშშ) — ამანდა კუტცერი (5, სამხრეთ აფრიკა) 6:2, 6:1; **რუქსანდრა დრაგომირი** (რუმინეთი) — სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) 5:7, 6:4, 7:5

ნახევარფინალი: **დევენპორტი** — დრაგომირ 4:6, 6:2, 6:0; უილიამსი — სელეში 6:1, 6:3

ფინალი: **უილიამსი** — დევენპორტი 6:2, 7:5

REUTERS ბოსტონიდან

აწ უკვე ისტორიის კუთვნილება „პაილოტ პენის" პირველობა ვინუს უილიამსს ორი მნიშვნელოვანი ფაქტის გამო მოაგონდება ტკბილად. პირველი — ტურნირის მოგების შედეგად იგი მსოფლიოს მესამე ჩოგანი გახდა, ეს საუკეთესო ადგილია კლასიფიკაციაში მის ხუთწლიან პროფკარიერაში; მეორე — ზედიზედ მეორედ დაამარცხა თავისი ყველაზე უხერხული მეტოქე ლინდსი დევენპორტი, რომელთანაც პირად შეხვედრებში ამიერიდან 3:8- ს აგებს.

„როდესაც ჯანით გჯობნიან, ჩქარობ და ბევრ შეცდომას უშვებ, მაგრამ ლინდსის უკვე აღარაფერში ჩამოვრჩები. ახლა უფრო თავდაჯერებული ვარ, ტექნიკურად უკეთ მომზადებული და დაძაბულ მომენტებშიც აღარ ვიბნევი — ეს ხომ უბრალოდ თამაშია, რომელიც დიდ სიამოვნებას მანიჭებს" — აღნიშნა მოგვიანებით გამარჯვებულმა, რომელმაც სეზონში მეხუთე ტიტული მოიგო, საბანკო ანგარიშს კი მორიგი 80 ათასი შემატა.

ვინუსს თავდაჯერებულად ყოფნას, აბა, ვინ დაუშლის, მაგრამ ნიუ ჰეივენის ტურნირის ფინალში დევენპორტი არც საკუთარ თავს ჰგავდა და მით უმეტეს, არც იმ ჩოგბურთელს, რომელსაც ნებისმიერ ფასად გამარჯვება სწყუროდა.

23 წლის კალიფორნიელი მთელი მატჩის მანძილზე ინდიფერენტულად გამოიყურებოდა, უჩვეულოდ ბევრს სცოდავდა და ეს მაინცდამაინც არც აღიზიანებდა.

უჩვეულო გახლდათ ფინალური მატჩის მეორე სეტიც — 1:1-დან მოყოლებული ზედიზედ რვაჯერ მეტოქეები საკუთარი მოწოდების შენარჩუნებას ვერ ახერხებდნენ, არადა, ამ მაჩვენებლით კოლეგებს შორის ორივე საუკეთესოა.



მარატ საფინი



REUTERS ნიუ იორკიდან

მაგნუს ნორმანი

დევენპორტს შესანიშნავი შანსი ჰქონდა, მატჩი მესამე ხელში გაეგრძელებინა, მაგრამ 5:4-სა და 40:15-ზე ორი სეტ-პოინტი გააცუდა, მერე კი ზედმეტი ოფლისღვრა დაეზარა და ბოლო გეიმში სამი ორმაგი შეცდომით მოგება ვინუსს უწყალობა.

„ვიცი, რომ დღევანდელზე გაცილებით უკეთ შემიძლია თამაში. უბრალოდ, მომავალი კვირის აშშ-ის ღია პირველობისთვის მონდომებით უნდა მოვემზადო, იქ სულ სხვა დონე და ატმოსფეროა" — განაცხადა ლინდსიმ, რომელსაც თურმე ვარჯიშზე მიეჩქარებოდა: ნიუ ჰეივენის ფინალის დასრულებიდან სამ საათში ხომ ნიუ იორკში, „ფლაშინგ მედოუზზე" კორტი ჰქონდა შეკვეთილი.

**ნიუ იორკი. აშშ. ჰამლეტის თასი. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **მაგნუს ნორმანი** (შვედეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 3:6, 6:3, 6:1; **ალექს კორეტხა** (2, ესპანეთი) — ტომას ენკვისტი (7, შვედეთი) 7:6 (10:8), 2:6, 7:6 (7:1); **ჯეისონ სტოლტენბერგი** (ავსტრალია) — ტომას იოჰანსონი (6, შვედეთი) — ტრავმა; **დანიელ ვაცეკი** (ჩეხეთი) — ბოგდან ულირახი (ჩეხეთი) 6:2, 6:3

ნახევარფინალი: **კორეტხა** — ვაცეკი 6:4, 6:1; **ნორმანი** — სტოლტენბერგი 7:6 (7:3), 5:7, 6:3

ფინალი: **ნორმანი** — კორეტხა 7:6 (7:4), 4:6, 6:3

რა აქვთ საერთო ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ჩოგბურთელს, მსოფლიოს პირველ ჩოგან პიტ სამპრასსა და შვედ მაგნუს ნორმანს? — სტატისტიკა გვპასუხობს: წლეულს ორივეს ოთხ-ოთხი ტურნირი აქვს მოგებული, რაც საუკეთესო შედეგია ATP ტურის მოთამაშეებს შორის.

„სად მე და სად პიტ სამპრასი? დიახ, მეც ოთხი ტიტული მაქვს, მაგრამ მან უიმბლდონი მოიგო. იმედია, როდესმე მაგნუს ნორმანიც გახდება დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული" — ეიფორიას არ მისცემია მორიგი გამარჯვების შემდეგ 23 წლის სკანდინაველი, რომელმაც სახელი პირველად სწორედ „პისტოლ პიტის" ჯობნით დაიგდო 1997-ის როლან გაროსზე.

არა, ნორმანი სახელ-დიდებაში ამერიკელს მართლაც ვერასოდეს გაეჯიბრება, მაგრამ მაინც ფრიად დასაფასებელი კაცია — მარტო ის რად ღირს, რომ შარშან ამომავალ ვარსკვლავს გულის მძიმე დაავადება დაუდგინეს და ლამის სამუდამოდ აუკრძალეს დიდ სპორტში ასპარეზობა.

მაგრამ მაგნუსი ბედს არ დანებდა, დეკემბერში ხუთსაათიანი ოპერაცია გადაიტანა, ნელ-ნელა ფორმა დაიბრუნა და ივნისიდან მოყოლებული ანგარიშზე შთამბეჭდავი მოგება-წაგებათა ნუსხა — 22:4-თან ერიცხება.

განსაკუთრებით კი შვედი თავის ახალ მწვრთნელს, ფრედრიკ როზენგრენს ემადლიერება: „ფინალის შემდეგ მასთან მივედი და ვუთხარი, რომ ეს ორივეს გამარჯვება იყო. მე საკუთარი ძალების თითქმის არ მჯეროდა, მაგრამ ის ყოველთვის მაქეზებდა და მეუბნებოდა, ისეთი ცუდი მოთამაშე სულაც არ ხარ, როგორც თავად გგონიაო."

გამარჯვებულისთვის განკუთვნილი მწირი 46 ათასი დოლარი კი ნორმანმა ჭეშმარიტად დაიმსახურა: მეოთხედფინალიდან მოყოლებული ყველა მატჩი დაძაბულ სამსეტიან ბრძოლებში მოიგო (ფინალი 2 საათსა და 43 წუთს გრძელდებოდა), თანაც გზად ტურნირის პირველ და მეორე ჩოგნებს, შესაბამისად ევგენი კაფელნიკოვსა და ალექს კორეტხასაც აჯობა.

**ბოსტონი. აშშ. MFS PRO-ს პირველობა. ჰარდი. საპრიზო 350 ათასი $**

მეოთხედფინალი: **გრეგ რუზეცკი** (1, ინგლისი) — იონას ბიორკმანი (8, შვედეთი) 7:5, 6:3; **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) — მარსელო რიოსი (2, ჩილე) 7:5, 6:0; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — სებასტიან გროსჟანი (5, საფრანგეთი) 1:6, 6:4, 6:3; **მარატ საფინი** (6, რუსეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:2

ნახევარფინალი: **რუზეცკი** — კლემანი 6:4, 5:7, 6:2; **საფინი** — შალკენი 5:7, 6:3, 6:1

ფინალი: **საფინი** — რუზეცკი 6:4, 7:6 (13:11)

უფრო ადრე, ვიდრე გვიან, ეს აუცილებლად უნდა მომხდარიყო — მარატ საფინის ჯანისა და ნიჭის პატრონი ჩოგბურთელი უტიტულოდ, დიდხანს ვერ დარჩებოდა.

19 წლის რუსზე უკვე ერთი წელია, ბევრს საუბრობენ, მისგან დიდ გამარჯვებებსა და კლასიფიკაციაში წინსვლას ელიან, მაგრამ გასულ კვირამდე იგი ტურნირის ფინალშიც კი არსად იყო ნამყოფი.

ნავსი ბოსტონში გატყდა.

„ტიტულის მოგება შესანიშნავი გრძნობაა. არ დავმალავ, ძალიან ვნერვიულობდი, დილით, ვარჯიშის დროს ბურთის კორტზე მოხვედრებაც კი მიჭირდა, მაგრამ მატჩი დაიწყო თუ არა, ყველაფერი როგორღაც, თავისით მოგვარდა."

საფინმა მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი რუზეცკი ფინალში სწორედ ამ ელემენტში დაჩაგრა ყველაზე მეტად: 16 ეისი მოაწოდა, ბრეიკ-პოინტამდე მეტოქეს ერთხელაც არ მიატანებინა და ხუთი მატჩ-პოინტის ხელიდან გაშვების შემდეგ მეორე ხელის გრძელი ტაი-ბრეიკი მაინც თავის სასარგებლოდ დაასრულა.

„ქების მეტი რა მეთქმის, მარატი ძალიან ნიჭიერია და საუკეთესოთა ათეულშიც აუცილებლად მოხვდება" — გულღია ინგლისელმა ტკბილი სიტყვა არ დაიშურა.

თუმცა გამარჯვების აღსანიშნავად საფინს დრო ნამდვილად არა აქვს — აშშ-ის ღია პირველობის პირველ წრეში მას უმძიმესი გამოცდა ელის: „მოგება, რა თქმა უნდა, სასიამოვნო იყო, მაგრამ ახლა პიტ სამპრასს უნდა შევხვდე და ეს სასიამოვნო სულაც არ არის."

**ავთანდილ სვანიძე**

ჭადრაკი

# აირია ქვეყანა, ოჯახი ოჯახს აღარ ჰგავს...

## ხალიფმანი — ხალიფა ერთი საათით?

გინდათ, პატარა, რამდენიმესიტყვიანი ანეკდოტი? ფიდე და მისი დევიზი: ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

დღევანდელი ჭადრაკი ოჯახი კი არა, ვაგზალია. ვინ საით მიიწევს, ვის რა უნდა... მალე ისე იქნება, რაღა პროფესიული კრივი და რაღა ჭადრაკი: ის იმ ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი, ეს ამ ვერსიით. იქნებ მესამეც გამოჩნდეს. მოკლედ, ამ ჭკუა-გონებით სავსე ხალხის საუფლო — მსოფლიოს ჭადრაკი ყვითელ სახლს დაემსგავსა. სკანდალები, სკანდალები, სკანდალები...

გახდა პეტერბურგელი ალექსანდრ ხალიფმანი ფიდეს ვერსიით მსოფლიოს მე-14 ჩემპიონი. სად და როგორ, ესეც კაი სალადაო რამეა: მსოფლიოს საყომარბაზო ჭიპში — ლას ვეგასში. დაილია რესპექტაბელური ქალაქები, ამ მწვანე მაუდზე, კამათელზე, რულეტკაზე და ბანქოზე აშენებულ ქალაქში არ გარკვეულიყო მოჭადრაკეთა მსოფლიოს ჩემპიონი?! ახლა ტურნირი? ნოკაუტ-ოლიმპიური სისტემით გამართული, ლამის ქუდზე კაცი რომ გაიწვიეს. ვინმე რუმინელმა ლივიუ-დიტერ ნისიპეანემ, კაციშვილმა მისი არსებობა რომ არ იცოდა და რეიტინგებშიც ასეულს მიღმა ჩაკარგულიყო, სულაც ნახევარფინალს უწია. სწორედ აქ წააგო ხალიფმანთან, რომელმაც ფინალში ბაქოში დაბადებული სომეხი ვლადიმერ აკოფიანი დათქმულ ექვს პარტიაში 3,5:2,5 დაამარცხა. ხალიფმანს, რა თქმა უნდა,



ალექსანდრ ხალიფმანი

მიულოცეს. შეაქეს, ხელიც ბევრჯერ ჩამოართვეს, მაგრამ საქმეს ისეთი პირი გამოუჩნდა, ნათქვამი რომაა, ხალიფა ერთი საათითო.

არის ლოზანაში ასეთი დაწესებულება — სპორტულ საქმეთა საარბიტრაჟო სასამართლო. სწორედ აქ აპირებს სარჩელის შეტანას ანატოლი კარპოვი, რომელიც ფიდეს ვერსიით მსოფლიოს ჭეშმარიტ ჩემპიონად მიიჩნევს თავს და ხალიფმანის გაჩემპიონებას უკანონოდ თვლის. რატომ მე არ დამეკითხეთ, ჩემთან შეუთანხმებლად, ჩემი ნებართვის გარეშე რად ჩაატარეთ ლას ვეგასის საჩემპიონო ტურნირიო, ახლაღა, ტურნირის ჩათავებისას გაცხარდა თავის დროზე სანიმუშო საბჭოთა მსოფლიოს ჩემპიონი, ლეონიდ ბრეჟნევისა და მთელი პოლიტბიუროს საყვარელი მოჭადრაკე, რომელსაც კასპაროვთან დამარცხების მერე კომუნისტებმა მშვიდობის დაცვის კომიტეტიც კი ჩააბარეს. ჰოდა, „მშვიდობის დაცვაში" გამობრძმედილმა ანატოლი ევგენიჩმა კიდევ უფრო აურია ისედაც არეული საჭადრაკო საქმეები.

— ლას ვეგასის ტურნირის დაწყებამდე ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ხელი მოაწერა საგანგებო წერილობით შეთანხმებას, რომლის თანახმადაც მან ივალდებულა, ჩემი წინასწარი თანხმობის გარეშე არ ჩაეტარებინა ლას ვეგასის მსოფლიოს ჩემპიონატი — განაცხადა ბეზანსონში, ფრანგ მოჭადრაკეთა ჩემპიონატზე დამჯილდოვებლად მიწვეულმა კარპოვმა. მისი სასარჩელო პირობები ასეთია: მიყენებული ზარალის ანაზღაურება და საგანგებო მატჩი, რომელშიც ის ლას ვეგასში დასრულებულ მსოფლიოს პირველობაში გამარჯვებულს შეხვდება.

ახლა ესაც გავიხსენოთ: სანამ ჩინელი სიე ჟუნი ქალების მსოფლიოს ჩემპიონი გახდებოდა, ეს კი, მოგეხსენებათ, სულ ახლახან მოხდა, მანამდე უნგრელი ჟუჟა პოლგარი ატყდა, ფიდემ უსამართლოდ დამჩაგრა, სიე ჟუნ — გალიამოვას მატჩი უკანონოა და სამართალი ის იქნება, მაგათში გამარჯვებული მე შემხვდეს მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვისო. ახლა, კარპოვიც რომ პოლგარის ჭკუაზე დადგა და კაცი რომ ვეღარ გაიგებს, მსოფლიოს ჭადრაკში სად თავია და სად ბოლო, რიგით ჭადრაკის მოყვარულებს ერთიღა დარჩენიათ — მხრები აიჩეჩონ და – ვინც რას იტყვის, ყველა მართალი იქნება.

**ზეზვა მიგრიაული**

ხელბურთი

# სტუ-შევარდენმა იქ მოიგო

თბილისის „სტუ-შევარდენმა" მარიამობა გამარჯვებით მიულოცა საკუთარ თავსაც და გულშემატკივარსაც. შაბათს, 28 აგვისტოს თბილისელები კვიპროსში ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში იქაურ „სტროვოლოუს" შეხვდნენ და 27:20 დაამარცხეს. ეს იყო საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი მატჩი, საპასუხო კი თბილისში 4 სექტემბერს გაიმართება.

კრივი

# თარიღი გამოცხადდა

ლენოქს ლუის-ევანდერ ჰოლიფილდის მეორე ბრძოლა 13 ნოემბერს გაიმართება ლას ვეგასის „ტომას ენდ მაკ სენტერში". დღეს დილით ორივე მოკრივემ პრესკონფერენცია უნდა გამართოს და საქვეყნოდ დაადასტუროს თანხმობა ამ თარიღის გამო.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ისევე, როგორც პირველი, ფრედ დასრულებული ბრძოლისას, ამჯერადაც ლუისი და ჰოლიფილდი სამი დიდი ქამრისთვის შეერკინებიან ერთმანეთს.

# კუბელთა ღაღადი ყურად იღეს

მოყვარულ მოკრივეთა საერთაშორისო ასოციაციის მსაჯთა ჟიურიმ გუშინღა განიხილა კუბის პროტესტი 67 კილოგრამამდე წონითი კატეგორიის ფინალური ბრძოლის გამო.

შეგახსენებთ, რომ კუბელი ხუან ერნანდესისა და რუსი ტიმურ გაიდალოვის ბრძოლაში ხუთივე დამთვლელმა მსაჯმა რუსს მიანიჭა გამარჯვება, რამაც კუბელთა პროტესტი გამოიწვია და კუბის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მიატოვა.

მსაჯთა ჟიურიმ ყურადღებით უცქირა ბრძოლის ვიდეოჩანაწერს და შედეგად რუსს ჩემპიონობა ჩამოართვა. თუმცა, ასოციაციის უფროსობას ჯერ არაფერი უთქვამს, შექმნილი ვითარება კი დიახაც რომ საჭიროებს დაწვრილებით განხილვას.

**ვაქირავებ ან ვყიდი**
გარემონტებულ 1-ოთახიან იზოლირებულ ბინას
სარაჯიშვილის მეტროსთან
☎ 60 21 23



REUTERS ლიეჟიდან

**დევიდ კულჰარდი**

(დიდი ბრიტანეთი)
დაიბადა 1971 წლის 27 მარტს ტუინჰოლმში (შოტლანდია)
სიმაღლე 182 სმ, წონა 69 კგ.
უცოლო, ცხოვრობს მონაკოში.
ფორმულა 1-შია 1994 წლიდან: „უილიამსში" დაღუპული აირტონ სენას ადგილი დაიკავა. 11 რბოლაში დააგროვა 14 ქულა და მე-8 ადგილზე გავიდა.
1995 წელს ისევ „უილიამსშია". 1996 წლიდან „მაკლარენ-მერსედესის" პილოტია. 1995, 97, 98 წლების ჩემპიონატების მესამე პრიზიორი. 86 რბოლაში მოიგო 6 დიდი პრიზი (28-ე შედეგი ფორმულის ისტორიაში). 30-ჯერ იდგა პოდიუმზე, დააგროვა 219 ქულა (21-ე შედეგი). 8-ჯერ მოუგია კვალიფიკაცია.

# რონ დენისმა საქმე კაცურად გაარჩია

## უშუმახეროდ „ფერარის" „მაკლარენის" ბოლი აღრჩობს

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

თურმე ტყუილად არ იკლავდა თავს მიხაელ შუმახერი, ბელგიური ეტაპის წინ რომ დაიჟინა, ფეხი უკვე მომირჩა და ექიმები არ ვიცი, სტარტზე უნდა გამოვიდეო. მაგრამ მკურნალები უფრო გაჯიქდნენ, ორი კვირა კიდევ მოიცადეო და, ცხადია, თავისიც გაიტანეს. შუმის ახირება კი უფრო რბოლის მერე გახდა გასაგები და დასაფასებელი. უშუმახეროდ „ფერარი" სუსტი არა, მაგრამ საჩემპიონო გუნდი ნამდვილად ვერაა.

სანეხვეზე გადაგდებულმა ანუ ბედმიცემულმა მიკა სალომ განგების წყალობა („ფერარიში" შუმახერის შეცვლა) საკუთარი ისე-რა შესაძლებლობების კვალობაზე, როგორც მოსალოდნელი იყო, სათანადოდ ვერ გამოიყენა. ოთხ რბოლაში ნაშოვნი სულ რაღაც ექვსი ქულით, აბა, როგორ შეეწევა გუნდს კონსტრუქტორთა თასის მოსაპოვებელ ბრძოლაში. ჰოდა, სწორედ ამიტომაც იყო, შუმახერმა ლამის ვენები რომ გადაიხსნა, არიქა, რაც შეიძლება მალე უნდა ჩავჯდე კოკპიტშიო. ტრასაზე მისი გამოჩენა მართლაც დიდდოზიანი დოპინგი გახდება სისხლისფერი ბედაურების მთელი საჯინიბოსთვის, ჩემპიონატსაც ეშხი და ინტრიგა ერთიორად შეემატება. რაც მთავარია, მაკლარენები ასე ხელ-ფეხ გაშლილად ვეღარ იშლიგინებენ. მაგრამ დევების დაჭიდება („მაკლარენ" — „ფერარის" დუელი), სულ მცირე, ორი კვირით გადაიდო და, სავარაუდოდ, 12 სექტემბერს მონცაში, იტალიელთა „მოედანზე" შედგება.

შაბათს კვალიფიკაცია, ტრადიციულად, მიკა ჰაკინენმა მოიგო — ზედიზედ მეხუთედ, სეზონში კი მეათედ (!). ეს ბრწყინვალე შედეგი მეხუთეა ფორმულის ისტორიაში. რეკორდი კი 14 პოულით ნაიჯელ მენსელის „უილიამსს"ეკუთვნის და 1992 წელსაა დამყარებული. სტარტზე მიკას გვერდს უმშვენებდა თანაგუნდელი დევიდ კულჰარდი, მეორე რიგი კი მოულოდნელად „ჯორდანის" პილოტებმა ჰაინც-ჰარალდ ფრენცენმა და დეიმონ ჰილმა შეავსეს. სალოს მე-9 პოზიცია წინა რბოლის მე-18-თან შედარებით მისთვის, რასაკვირველია, წარმატებაა, ედი ირვინის მეექვსე კი წლეულს მისი ყველაზე სუსტი მაჩვენებელია და, დარწმუნებული ვარ, ამან რბოლის საბოლოო შედეგსაც დაატყო კვალი. თუმცა სასტარტო ალიაქოთში ედის „ფერარიმ" ძალიან იყოჩაღა და დეიმონ ჰილისა და რალფ შუმახერის მანქანებს გაასწრო. კულჰარდი სტარტზე ოდნავ შეყოვნებულ თანაგუნდელს პირველივე მოსახვევში ისე აგრესიულად ეძგერა გასასწრებად, რომ კინაღამ ორივე „მაკლარენი" გამოეთიშა რბოლას. დევიდმა მაინც მიაღწია საწადელს, თუმცა დასაწყისშივე მისი დაწინაურება და ისიც, რომ მერე თავქუდმოგლეჯილი გავარდა წინ, ყველამ ჩვეულ ამბად მიიღო. თავისთავად იგულისხმებოდა, რომ რბოლის ბოლოს შოტლანდიელი მაინც გაუშვებდა წინ მიკას, როგორც ეს ადრეც გაუკეთებია. მაგრამ, რაკი „მაკლარენის" უფროსობა კულჰარდს ბოლო დროს ძალიან აუხირდა, შედეგები გააუმჯობესე, თორემ შემცვლელის მოძებნა არ გაგვიჭირდებაო, ისიც მიკას ჩემპიონობასა და ლიდერის პრიორიტეტს არაფრად აგდებს და საკუთარი ტყავის გადარჩენაზედა ზრუნავს. გუნდის შეფმა რონ დენისმაც კვირას, ეტყობა, კაცური გადაწყვეტილება მიიღო — შინაურ სუბორდინაციას მიაფურთხა და თავისი პილოტები ნებაზე მიუშვა, რომელსაც გინდათ, წინ იყავით, ოღონდ რბოლა მოიგეთო. ასე რომ, პირველობის დათმობა რბოლამდევე გამოირიცხა.

მართლაც, ტრასაზე არ იგრძნობოდა, რომ მიკა გუნდის პირველი პილოტია. შოტლანდიელი ყოველ წრეზე შესამჩნევად ზრდიდა უპირატესობას და დისტანციის მეოთხედის შემდეგ უკვე 7 წამს უგებდა თანაგუნდელს, 15 წამს— ფრენცენს, 21-ს — ირვინს. შუა რბოლისას კი მაკლარენებს შორის სხვაობა 11 წამამდე გაიზარდა.

რთული, აღმართ-დაღმართიანი მონაკვეთების მიუხედავად, რბოლის ტემპი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მაღალი იყო. წინა, უნგრულ ეტაპზე კუს ნაბიჯებით ხოხვის შემდეგ პილოტებმა, როგორც იქნა, გაილაღეს — ფართო, ჩქაროსნულ ტრასაზე თავისუფლადაც დაჯირითობდნენ და გასწრების საშუალებაც თავზესაყრელად ჰქონდათ. ის კი არა, ჟან ალეზი, ეს ჭაღაროსანი მძღოლი, ისე გაკადნიერდა, რომ ერთ-ერთ მოსახვევში ორმაგი გასწრება მოიწადინა და ეფექტურადაც ჩამოიტოვა რუბენს ბარიკელო და ალექსანდრ ვურცი. აბა, „ჰუნგარორინგზე" ასეთ მანევრს ოდესმე ნახავთ?

მრბოლების უმეტესობამ ბოქსებში ორჯერ შესვლის ტაქტიკა ირჩია. მაგრამ არც საწვავის ჩამატების სანახევროდ გასაიდუმლოებულ პროცედურას შეუტანია რადიკალური ცვლილება შეჯიბრებაში. ჰაკინენმა ახალი საბურავებით ორ-სამ წრეზე საუკეთესო დრო აჩვენა და ჩამორჩენა 8 წამამდე შეამცირა, მაგრამ მეტის გაკეთება კვირას მისი „მაკლარენის" ძალებს აღემატებოდა და მიკაც მეორე ადგილს დასჯერდა, თუმც საერთო ჩათვლაში ლიდერობის დასაბრუნებლად ესეც საკმარისი აღმოჩნდა. კულჰარდმა სპაზე ფანტასტიკურად ირბოლა, თავიდან ბოლომდე წამითაც არ დაუკარგავს ლიდერობა და ბელგიაში აქამდე პრიზიორიც რომ არ ყოფილა, პირდაპირ პოდიუმის უმაღლეს საფეხურზე შესკუპდა. წლევანდელ სეზონში შესანიშნავად მოასპარეზე ფრენცენმაც, როგორც დაიწყო რბოლა მესამე პოზიციიდან, ასევე დაასრულა და სათოფეზეც კი არ გაიკარა ირვინი. „ფერარის" პილოტისთვის იმდენად ის კი არაა საწყენი, ამჯერადაც რომ ვერ შედგა ფეხი სპას პოდიუმზე — საგანგაშო პრიზიორებთან კატასტროფული ჩამორჩენაა.

სამაგიეროდ, დენისის ბიჭემა შეფის დავალება ფრიადზე შეასრულეს. ზედიზედ მეორე დუბლით „მაკლარენმა" ერთბაშად „ფერარის" ორი კურდღელი მოკლა: პირად ჩათვლაშიც დაიბრუნა ლიდერობა და კონსტრუქტორთა თასის ცხრილსაც წლეულს პირველად მოექცა სათავეში.

**ირაკლი ნიკოლაძე**



REUTERS ლიეჟიდან

უშუმახეროდ „ფერარიმ" მაგრად დაამუხრუჭა

## რბოლის შედეგები

ბელგიის დიდი პრიზი — 29 აგვისტო, ლიეჟი — დისტანცია — 44 წრე — 306,577 კმ

1. კულჰარდი (მაკლარენი) 1:25.43,057 (214,595 კმ/სთ) 10 ქულა
2. ჰაკინენი (მაკლარენი) ჩამორჩა 10,469 წმ 6 ქულა
3. ფრენცენი (ჯორდანი) 33,433 4 ქულა
4. ირვინი (ფერარი) 44,948 3 ქულა
5. რ. შუმახერი (უილიამსი) 48,067 2 ქულა
6. ჰილი (ჯორდანი) 54,916 1 ქულა
7. სალო (ფერარი) 56,249
8. ძანარდი (უილიამსი) 1.7,022
9. ალეზი (ზაუბერი) 1.13,848
10. ბარიკელო (სტიუარტი) 1.20,742
11. ფიზიკელა (ბენეტონი) 1.32,195
12. ტრული (პროსტი) 1.36,154
13. პანი (პროსტი) 1.41,543
14. ვურცი (ბენეტონი) 1.57,745
15. ვილნევი (BAR) 1 წრით
16. ჟენე (მინარდი) 1 წრით

**საუკეთესო წრე**

ჰაკინენი (1.53,955)

**ლიდერი**

1-44 წრე კულჰარდი

**რბოლას გამოეთიშნენ**

| | |
|---|---|
| დე ლა როსა (ეროუსი) გაიარა 35 წრე | |
| ბადოერი (მინარდი) | 33 |
| შეკიდულობა | |
| ზონტა (BAR) | 33 |
| მექანიკური დაზიანება | |
| ჰერბერტი (სტიუარტი) | 27 |
| ტრასიდან გავარდნა | |
| დინიცი (ზაუბერი) | 19 |
| ტრასიდან გავარდნა | |
| ტაკაჯი (ეროუსი) | 0 |
| სტარტი ვერ აიღო | |

## განლაგება სტარტზე

14. დე ლა როსა 1:54,579 ეროუსი
21. ჟენე 1:54,557 მინარდი
20. ბადოერი 1:54,197 მინარდი
15. ტაკაჯი 1:54,099 ეროუსი
12. დინიცი 1:53,778 ზაუბერი
18. პანი 1:53,148 პროსტი
11. ალეზი 1:52,921 ზაუბერი
10. ვურცი 1:52,847 ბენეტონი
23. ზონტა 1:52,840 BAR
9. ფიზიკელა 1:52,762 ბენეტონი
19. ტრული 1:52,644 პროსტი
22. ვილნევი 1:52,235 BAR
17. ჰერბერტი 1:52,164 სტიუარტი
3. სალო 1:52,124 ფერარი
5. ძანარდი 1:52,014 უილიამსი
16. ბარიკელო 1:51,974 სტიუარტი
4. ირვინი 1:51,895 ფერარი
6. რ. შუმახერი 1:51,414 უილიამსი
7. ჰილი 1:51,372 ჯორდანი
8. ფრენცენი 1:51,332 ჯორდანი
2. კულჰარდი 1:50,484 მაკლარენი
1. ჰაკინენი 1:50,329 მაკლარენი

FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

| | | ავსტრალია 7 მარტი | ბრაზილია 11 აპრილი | სან მარინო 2 მაისი | მონაკო 16 მაისი | ესპანეთი 30 მაისი | კანადა 13 ივნისი | საფრანგეთი 27 ივნისი | დიდი ბრიტანეთი 11 ივლისი | ავსტრია 25 ივლისი | გერმანია 1 აგვისტო | უნგრეთი 15 აგვისტო | ბელგია 29 აგვისტო | იტალია 12 სექტემბერი | ევროპის დიდი პრიზი 26 სექტემბერი | მალაიზია 17 ოქტომბერი | იაპონია 31 ოქტომბერი | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | **ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ მერსედესი | – | 10 | – | 4 | 10 | 10 | 6 | – | 4 | – | 10 | 6 | | | | | 60 |
| 2 | **ირვინი** (ირლანდია) ფერარი | 10 | 2 | – | 6 | 3 | 4 | 1 | 6 | 10 | 10 | 4 | 3 | | | | | 59 |
| 3 | **კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ მერსედესი | – | – | 6 | – | 6 | – | – | 10 | 6 | 2 | 6 | 10 | | | | | 46 |
| 4 | **ფრენცენი** (გერმანია) ჯორდან მუგენ ჰონდა | 6 | 4 | – | 3 | – | – | 10 | 3 | 3 | 4 | 3 | 4 | | | | | 40 |
| 5 | **მ.შუმახერი** (გერმანია) მაკლარენ მერსედესი | – | 6 | 10 | 10 | 4 | – | 2 | – | – | – | – | – | | | | | 32 |
| 6 | **რ.შუმახერი** (გერმანია) უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | | | | | 24 |
| 7 | **ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ სუპერტეკი | 3 | – | 2 | 2 | – | 6 | – | – | – | – | – | – | | | | | 13 |
| 8 | **ბარიკელო** (ბრაზილია) სტიუარტ ფორდი | 2 | – | 4 | – | – | – | 4 | – | – | – | 2 | – | | | | | 12 |
| 9 | **სალო** (ფინეთი) ფერარი | – | – | – | – | – | – | – | – | – | 6 | – | – | | | | | 6 |
| 10 | **ჰილი** (ბრიტანეთი) ჯორდან მუგენ ჰონდა | – | – | 3 | – | – | – | – | 2 | – | – | 1 | 1 | | | | | 7 |
| | *ვურცი (ბენეტონი), დინიცი (ზაუბერი) — 3 ქულა; ჰერბერტი (სტიუარტი), პანი (პროსტი) — 2; დე ლა როსა (ეროუსი), ალეზი (ზაუბერი) და ტრული (პროსტი) — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |
| 1 | მაკლარენ მერსედესი | – | 10 | 6 | 4 | 16 | 10 | 6 | 10 | 10 | 2 | 16 | 16 | | | | | 106 |
| 2 | ფერარი | 10 | 8 | 10 | 16 | 7 | 4 | 3 | 6 | 10 | 16 | 4 | 3 | | | | | 97 |
| 3 | ჯორდან-მუგენ-ჰონდა | 6 | 4 | 3 | 3 | – | – | 10 | 5 | 3 | 4 | 4 | 5 | | | | | 47 |
| 4 | უილიამს სუპერტეკი | 4 | 3 | – | – | 2 | 3 | 3 | 4 | – | 3 | – | 2 | | | | | 24 |
| 5 | ბენეტონი | 3 | – | 2 | 3 | – | 6 | – | – | 2 | – | – | | | | | | 16 |
| | *სტიუარტი — 14; ზაუბერი — 4; პროსტი — 3; ეროუსი — 1* | | | | | | | | | | | | | | | | | |

# ADIOS, REINA!

## სპორტის დედოფალი ესპანეთის მეფემ გააცილა

SEVILLA'99

გეხსომებათ, როგორი ზარ-ზეიმითა და ტაშ-ფანდურით გაიხსნა სევილიის მეშვიდე მსოფლიოს ჩემპიონატი. მერე მთელი ცხრა დღის მანძილზე ისეთი შეჯიბრი გაჩაღდა, უკეთესს ვერ ინატრებდა კაცი. სევილიის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილნი ორი მსოფლიოს რეკორდის მომსწრენიც გახდნენ და „მძლეოსნობის დედოფლად" წოდებული ამერიკელი მარიონ ჯონსის უილბლობისაც. ჩემპიონატმა კვლავაც ამერიკელ ათლეტთა აშკარა უპირატესობა დაადასტურა და აკი მათ გუნდურ ჩათვლაშიც იპირველეს. თუმც ვიდრე სევილიურ ამბებს ზოგადად მიმოვიხილავდეთ, პარასკევს, შაბათსა და კვირას გამართული ასპარეზობებზეც ვთქვათ.

პარასკევს ოთხ დისციპლინაში (კაცთა და ქალთა 200 მეტრი, ქალთა 5000 მ, კაცთა 400მ თარჯრბენი) გაიმართა ფინალური შეჯიბრებები. ამათგან გამორჩეული სპრინტერთა ბრძოლა იყო.

ამერიკელმა მსოფლიოს რეკორდსმენმა მორის გრინმა დისტანცია 19,90 წამში გაირბინა და მეორე სევილიური ოქრო ირგუნა. მანამდე კანზასელმა მძლეოსანმა 100 მეტრზეც იმარჯვა და პირველი კაცი შეიქნა, ვინც მსოფლიოს ჩემპიონატებზე 100 და 200 მეტრზე გამარჯვება შეძლო. გახარებულმა გრინმა პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებთან დაიქადნა, სევილიაში მესამე ოქროსაც მოვიპოვებ 4X100 მეტრზე ესტაფეტაშიო (კვირას მორისმა სიტყვა შეასრულა), მერე ისიც დაამატა, სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზეც ვაპირებ სპრინტერულ დისტანციებზე გამარჯვებას და ეჭვიც არ შეგეპაროთ, ასე იქნებაო.

ქალთა 200 მეტრის ოქროსაც ამერიკელი დაეუფლა, ინგერ მილერი, რომელმაც წლევანდელი სეზონის საუკეთესო დრო — 21,77 წამი აჩვენა და ამით გათამამებულმა თქვა — გაისად ერთი ქალის ბატონობას ბოლო მოეღებაო. ვინ იგულისხმა მილერმა, ალბათ მიხვდით. ცხადია, მარიონ ჯონსი. ისე, ჯონსი რომ ნახევარფინალური გარბენისას არ დაშავებულიყო და ფინალში მილერის გვერდით დამდგარიყო, საკითხავია, ვინ დაიმშვენებდა ოქროთი მკერდს. წლეულს გამართული „ოქროს ლიგისა" და დიდი პრიზის ტურნირების შედეგებს თუ ჩავხედავთ, იოლი მისახვედრია, ვინ ავიდოდა კვარცხლბეკის პირველ საფეხურზე.

ქალთა 5000 მეტრზე ფავორიტად რუმინელი საბო ითვლებოდა და ცისფერთვალება გაბრიელამაც პროგნოზების მოყვარულთ იმედი არ გაუცრუა. მაროკოელი ზაჰრა უაზისი გვარიანი მანძილით ჩამოიტოვა და ფინიშის ხაზი 14.41,82 წუთში გადაკვეთა.

400 მეტრზე თარჯმორბენალ კაცთა შეჯიბრმა ერთგვარი სიურპრიზი შემოგვთავაზა. უფრო სწორად, იტალიელმა ფაბრიციო მორიმ გაგვაოცა, რომელსაც აქამდე თავი არაფრით გამოეჩინა, აი, სევილიაში კი მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული ფრანგ სტეფან დიაგანას აცალა ცხვირწინ და თავის ქვეყანას ერთადერთი ოქრო მოუტანა. თუმცა, ვიდრე ფაბრიციოს კისერზე ოქროს ჩამოჰკიდებდნენ, მანამდე საკმაოდ ანერვიულეს. საქმე ისაა, რომ ფრანგებმა ერთი ამბავი ატეხეს, აქაოდა, ნახევარფინალში ამ იტალიელმა ჩვენი დიაგანას სარბენი ბილიკის ხაზს ფეხი დაადგა და ამიტომაც ოქრო მასზე არამიაო. IAAF-ის ჩინოსნებმა კი გაიკვირვეს — თქვე დალოცვილებო, ნახევარფინალი ახლაღა გაგახსენდათ, როცა შეჯიბრი უკვე დასრულდა და მორიც ჩემპიონად გამოაცხადესო.

შაბათს კიდევ ხუთ ოქროს გამოუჩნდა პატრონი. მაყურებელთა მზერა კი გამორჩეულად 100 მეტრზე თარჯმორბენალ ქალებისკენ იყო მიპყრობილი. საქმე ისაა, რომ აქ მართლაც ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი — ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი, ამერიკელი გეილ დივერსი, მსოფლიოს ჩემპიონი, გაშვედებული რუსი ლუდმილა ენკვისტი, რომელიც ახლახან მუმუმოკვეთილი დაუბრუნდა სარბიელს, ნიგერიელი გლორი ალოზიე, ყაზახი ოლგა შიშიგინა. რბენაც იშვიათად სანახავი გამოდგა, ეს ზემოხსენებული ოთხეული ფეხდაფეხ მისდევდა ერთმანეთს, ფინიშს კი პირველმა გეილ დივერსმა (12,37წმ) უწია და თავის შტუტგარტულ და გეტებორგულ მონაგარს სევილიური ოქროც დაუმატა. მეორე ადგილი ნიგერიელ გლორი ალოზიეს ერგო, ბრინჯაო ლუდმილა ენკვისტმა მოიპოვა. ამ ქალის ასეთი შედეგი, მისი ჯანმრთელობის გათვალისწინებით, ვფიქრობ, ჩემპიონობის ტოლფასია.

REUTERS სურათიდან



მძლეოსანთა მეშვიდე, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატის დახურვის ცერემონიალს ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი (შუაში) დაესწრო

შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრი ჩვენს ყურადღებას იმითაც იმსახურებდა, რომ აქ ქართველი მაკა ობოლაშვილიც მონაწილეობდა, თუმცა მაკამ საკვალიფიკაციო ეტაპიც ვერ გადალახა და, ცხადია, სევილიაში ასპარეზობაც ამით დაასრულა. ჩემპიონის დაფნის გვირგვინი კი გაბერძნებულმა ალბანელმა მირელა მანიანიცელელიმ დაიდგა თავზე. მირელამ საბერძნეთის მოქალაქეობა 1995 წელს მიიღოდა და ოთხი წლის თავზე თავის ახალ სამშობლოს ოქროც აჩუქა. მან შუბი ყველაზე შორს — 67,09 მეტრზე ტყორცნა და ამბიციური რუსი ტატიანა შიკოლენკო (66,37) და წინა მსოფლიოს პირველობის მომგები, ნორვეგიელი ტრინე ჰატესტადი (66,06) შესაბამისად ვერცხლს და ბრინჯაოს დააჯერა.

კუბელმა სიგრძეზე მხტომელმა ივან პედროსომ კი შეძლო სევილიაში ტიტულის დაცვა. მესამე ცდაზე იგი 8,56 მეტრზე გადახტა და მანამდე დაწინაურებულ იაგო ლამელას გაუსწრო. მერე ლამელამ კი სცადა, პედროსოზე შორს გადამხტარიყო, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და საბოლოოდ ვერცხლს დაყაბულდა. მესამე სლოვენიელი გრეგორ ჩანკარი (8,36მ) იყო, რომელმაც თავის ქვეყანას მსოფლიოს ჩემპიონატების პირველი მედალი მოუტანა. ესპანეთი იმ დღეს ოქროს გარეშე მაინც არ დარჩენილა. კაცთა მარათონში აბელ ანტონმა შანსი არ დაუტოვა მეტოქეებს, დისტანცია 2.13,36 საათში დაფარა და ათენურ ოქროს შინაური ბაჯაღლოც მიუმატა. 2.14,03 საათის მერე უწია ფინიშს იტალიელმა ვინჩენცო მოდიკამ, რაც მეორე შედეგი აღმოჩნდა და მას ვერცხლი ხვდა წილად, ბრინჯაო იაპონელმა ნომოიუკი სატომ (2.14,07) დაისაკუთრა.

ჩემპიონატის ბოლო დღეს, კვირას, მედლების ცხრა კომპლექტი დარიგდა. 800 მეტრზე კაცთა ფინალურ გარბენში გადანიელებული კენიელის უილსონ კიპკეტერის გამარჯვება ეჭვს არ იწვევდა. დანიელთა „შავმა მარგალიტმაც" ჩვეულად გაუტია და 1.49,30 წუთით საუკეთესო იყო. მას ფინიშთან ფეხდაფეხ მიჰყვა სამხრეთაფრიკელი ეზიკიელ სეპენგი (1.43,32), ბრინჯაო ალჟირელ დიაბირ საიდ-გერნის (1.44,18) დარჩა.

რუსი სვეტლანა მასტერკოვა სევილიაში ორი ოქროს დაპატრონებას აპირებდა, თუმცა 800 მეტრის ფინიშზე მას მოზამბიკელმა მარია მუტოლამ და ჩეხმა ლუდმილა ფორმანოვამ ჩაურბინეს. ეტყობა, სვეტლანას არაფრით ეჭაშნიკა ბრინჯაო და კვირას 1500 მეტრზე ისე ირბინა, მეტოქეები ახლოსაც არ მიიკარა. მან დისტანცია 3.59,53 წუთში დაფარა. ვერცხლს და ბრინჯაოს შესაბამისად ამერიკელი რეგინა ჯეკობსი (4.00,35) და ეთიოპიელი კუტრე დულეში (4,00,96) დაეპატრონენ. კვირას რუსებმა კიდევ ერთ ოქროს გამოჰკრეს ხელი. 4X400 მეტრზე ესტაფეტაში რუსულმა კვარტეტმა — ტატიანა ჩემუკინამ, სვეტლანა გონჩარენკომ, ოლგა კოტლიაროვამ და ნატალია ნაზაროვამ ამერიკელ და გერმანელ ქალებს აჯობეს. ბოლო ეტაპზე ნაზაროვამ მსოფლიოს ჩემპიონ მაილზ-კლარკს გამოსტაცა ხელიდან გამარჯვება.

ამავე დისციპლინაში კი ამერიკელმა კაცებმა თვისტომი ქალების ჯავრი იყარეს და მსოფლიოს რეკორდსმენის, მაიკლ ჯონსონის თამადობით თავიანთ ქვეყანას მეთერთმეტე ოქრო მოუტანეს.

4X100 მეტრზე ესტაფეტაში კაცებში კვლავ ამერიკელებმა ივარგეს და აქაც კიდევ ერთმა მსოფლიოს რეკორდსმენმა მორის გრინმა ივაჟკაცა. აკი დაიქადნა გრინმა, სევილიაში მესამე ოქროსაც დავეუფლებიო და ასეც მოხდა. ვერცხლი და ბრინჯაო შესაბამისად ბრიტანელ და ნიგერიელ მძლეოსნებს ერგოთ.

ქალებში კი ბაჰამელებმა იქროლეს ისე, რომ ყველა პირდაღებული დატოვეს და ფრანგი და იამაიკელი დიაცები მეორე-მესამე ადგილებს დააჯერეს. მარიონ ჯონსის გარეშე დარჩენილი ამერიკული გუნდი კი სულაც მეოთხე იყო.

მაშ ასე, მძლეოსანთა მეშვიდე, სევილიის მსოფლიოს ჩემპიონატიც ისტორიას ჩაბარდა. ზემოთაც გითხარით, მან ამერიკელთა აშკარა უპირატესობით ჩაიარა. პირველი სამეულიც უცვლელია. ამერიკელებს რუსები და გერმანელები მიჰყვნენ. ბერძენთა მეოთხე ადგილი კი სპეციალისტებისთვის დიდი სიურპრიზი იყო.

წერილის დასაწყისში ჩემპიონატის გახსნის საზეიმო ცერემონიალი შეგახსენეთ. არც დახურვის საღამომ ჩაიარა ჩვეულებრივად — „სპორტის დედოფლის" გასაცილებლად სევილიაში თვით ესპანეთის მეფე ხუან კარლოსი ჩაბრძანდა თავისი ამალით.

**სოსო კოტორეიშვილი**

### ტექნიკური შედეგები

**28 აგვისტო. შაბათი**

100 მ. თარჯრბენი (ქალები)
1. გეილ დივერსი (აშშ) — 12,37 წმ
2. გლორი ალოზიე (ნიგერია) — 12,44
3. ლუდმილა ენკვისტი (შვედეთი) — 12,47

შუბის ტყორცნა (ქალები)
1. მირელა მანიანი-ცეპელი (საბერძნეთი) — 67,09 მ.
2. ტატიანა შიკოლენკო (რუსეთი) — 66,37 მ.
3. ტრინე სოლბერგ-ჰატესტადი (ნორვეგია) — 66,06

სიგრძეზე ხტომა (კაცები)
1. ივან პედროსო (კუბა) — 8,56 მ.
2. იაგო ლამელა (ესპანეთი) — 8,40
3. გრეგორ ჩანკარი (სლოვენია) — 8,36

5 000 მ. (კაცები)
1. სალაჰ ჰისუ (მაროკო) — 12.58,13 წთ
2. ლიმო ბენიამინი (კენია) — 12.58,72
3. მოურიტ მოჰამედი (ბელგია) — 12.58,80

მარათონი (კაცები)
1. აბელ ანტონი (ესპანეთი) — 2.13.36 სთ
2. ვინჩენცო მოდიკა (იტალია) — 2.14,03
3. ნობოიუკი სატო (იაპონია) — 2.14,07

**29 აგვისტო. კვირა**

800 მ. კაცები
1. უილსონ კიპკეტერი (დანია) — 1.43,30 წთ
2. ეზეკიელ სეპენგი (ს. აფრიკა) — 1.43,32
3. დიაბირ საიდ-გუერნი (ალჟირი) — 1.44,18

1 500 მ. ქალები
1. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) — 3.59,53 წთ
2. რეგინა ჯეკობსი (აშშ) — 4.00,35
3. კუტრე დულეშა (ეთიოპია) — 4.00,96

სიმაღლეზე ხტომა (ქალები)
1. ინგა ბაბაკოვა (უკრაინა) — 1,99 მ.
2. ელენა ელესინა (რუსეთი) — 1,99
3. სვეტლანა ლაპინა (რუსეთი) — 1,99

შუბის ტყორცნა (კაცები)
1. აკი პარვიაინენი (ფინეთი) — 89,52 მ.
2. კოსტას კატციუდისი (საბერძნეთი) — 89,18
3. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) — 87,67

მარათონი (ქალები)
1. იონგ სონგ იოკი (ჩრ. კორეა) — 2.26,59 სთ
2. არი იშიჰაში (იაპონია) — 2.27,02
3. ლიდია სლავუტეანუ-სიმონი (რუმინეთი) — 2.27.41

4X100 მ. (ქალები)
1. ბაჰამა (სევატედა ფუნესი, ჩანდრა შტურუპი, პაულინა დავის-ტომპსონი, დები ფერგიუსონი) — 41,92 წმ
2. საფრანგეთი — 42,06
3. იამაიკა — 42,15

4X100 მ. (კაცები)
1. აშშ (ჯონ დრამონდი, ტიმ მონტგომერი, ბრაიან ლუისი, მორის გრინი) — 37,59 წმ
3. დიდი ბრიტანეთი — 37,73
3. ნიგერია — 37,91

4X400 მ. (ქალები)
1. რუსეთი (ტატიანა ჩებუკინა, სვეტლანა გონჩარენკო, ოლგა კოტლიაროვა, ნატალია ნაზაროვა) — 3.21,98 წთ
2. აშშ — 3.22, 09
3. გერმანია — 3.22,43

4X400 მ. (კაცები)
1. აშშ (ჯერომ დევისი, ანტონიო პეტიგრიუ, ანჯელო ტეილორი, მაიკლ ჯონსონი) — 2.56,45 წთ
2. პოლონეთი — 2.58,91
3. იამაიკა — 2.59,34

### ქვეყანათა მონაგარი

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 11 | 3 | 3 | 17 |
| 2 | რუსეთი | 6 | 3 | 4 | 13 |
| 3 | გერმანია | 4 | 4 | 4 | 12 |
| 4 | საბერძნეთი | 2 | 2 | 2 | 6 |
| 5 | მაროკო | 2 | 2 | 1 | 5 |
| 6 | კუბა | 2 | 2 | 0 | 4 |
| 7 | ესპანეთი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 8 | ეთიოპია | 2 | 0 | 3 | 5 |
| 9 | რუმინეთი | 2 | 0 | 2 | 4 |
| 10 | ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 3 |
| 11 | ბრიტანეთი | 1 | 4 | 2 | 7 |
| 12 | კენია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 13 | იტალია | 1 | 3 | 0 | 4 |
| 14 | საფრანგეთი | 1 | 2 | 0 | 3 |
| 15 | ავსტრალია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 16 | უკრაინა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 17 | ჩინეთი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 18 | ბაჰამა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 19 | დანია | 1 | 0 | 0 | 1 |
| 20 | ჩრ. კორეა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 21 | ფინეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 22 | ბრაზილია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 23 | კანადა | 0 | 2 | 0 | 2 |
| 24 | იამაიკა | 0 | 1 | 5 | 6 |
| 25 | ნიგერია | 0 | 1 | 2 | 3 |
| 26 | იაპონია | 0 | 1 | 1 | 2 |
| 27 | ბულგარეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 28 | ეკვადორი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 29 | უნგრეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 30 | მოზამბიკი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 31 | პოლონეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 32 | ს. აფრიკა | 0 | 1 | 0 | 1 |
| 33 | მექსიკა | 0 | 0 | 2 | 2 |
| 34 | ალჟირი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 35 | სამოა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 36 | ბელგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 37 | ისრაელი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 38 | ნორვეგია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 39 | სლოვენია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 40 | შვედეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 41 | შვეიცარია | 0 | 0 | 1 | 1 |
| 42 | სირია | 0 | 0 | 1 | 1 |

REUTERS სურათიდან




100 მეტრზე თარჯმორბენალ ქალებში გეილ დივერსს (შუაში) ვერავინ აჯობა




ივან პედროსო




# გრინი და ხირალდილა

ამერიკელმა მორის გრინმა 100-ის მერე 200 მეტრზე გარბენიც მოიგო სევილიაში და ოქროც დაიმსახურა. ჯერ კიდევ აქოშინებულს მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის თილისმა ხირალდილა მიეახლა და გულში ჩაიკრა.

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e2-e4 c7-c5 2. მg1-f3 d7-d6 3. კf1-b5+ კc8-d7 4. კb5:d7+ ლd8:d7 5. c2-c4 მb8-c6 6. მb1-c3 მg8-f6 7. 0-0 g7-g6 8. d2-d4 c5:d4 9. მf3-d4 კg7 10. მd4-e2 ლd7-e6 11. მc3-d5 ლe6:e4 12. მd5-c7+ მფe8-d7 13. მc7:a8 ლe4:c4 14. მa8-b6+ a7:b6 15. მb1-c3 ეh8-a8 16. a2-a4 მf6-e4 17. მc3:e4 ლc4:e4 18. ლd1-b3 f7-f5 19. კc1-g5 ლe4-b4 20. ლb6-f7 კg7-e5 21. h2-h3 ეa8:a4 22. ეa1:a4 ლb4:a4 23. ლf7:h7 კe5:b2 24. ლh7:g6 ლa4-e4 25. ლg6-f7 კb2-d4 26. ლf7-b3 f5-f4 27. ლb3-f7 კd4-e5 28. h3-h4 b6-b5 29. h4-h5 ლc4 30. ლf5+ ლc4-e6 31. ლe6+ მფ:e6 32. g2-g3 f:g3 33. f:g3 b4 34. კf4 კd4+ 35. g3-g4



# შრჩხულები ნოტინგემში



ჩინური ურჩხულა ნავები, რომელთა შეჯიბრიც აგრე პოპულარული იყო ოდინდელ ჰონკონგში, ახლა ქვეყნის დასალიერიდან ნოტინგემში გადაუტანიათ. საკვირველია პირდაპირ, იქ, სადაც ადრე ცხენს წყალს ასმევდა ოლიმპიური ჩემპიონი მშვილდოსნობაში რობინ ჰუდი, ახლა ურჩხულა ნავების მსოფლიო ჩემპიონატი უნდა გაიმართოს. თანაც, ეს პირველადაა, რომ ამგვარი შეჯიბრი აზიის საზღვარს გამოსცდა.




# კვლავ მცირე ლიგა

გრძელდება მცირე ლიგის ბეისბოლისტთა მსოფლიო სერია. იაპონური გუნდი „ოსაკა" უკვე გავიდა ფინალში. ფოტოზე აღბეჭდილი ბიჭუნები კი ალაბამას „ფინიქს სიტის" მოთამაშენი არიან, რომლებსაც ამ უქმეებზე დაუმარცხებიათ ნიუჯერსელი თანატოლები და მსოფლიო სერიის ფინალში ოსაკელებს შეერკინებიან.



# პალესტინა, პალესტინა

გაიმარჯვა პალესტინამ! ოღონდ არა პოლიტიკურ ამბავში, რადგან პოლიტიკურ ამბავში გამარჯვება ვერაფრით მოხერხდება საფეხბურთო მინდორზე. გაიმარჯვა ფეხბურთში! პალესტინის ნაკრები პანარაბული თამაშების ჩემპიონი შეიქნა, რაჟან ფინალში დაამარცხა სირიის ნაკრები. ამიტომ, რამალაჰში ზეიმია. იორდანეს დასავლეთი სანაპიროს არაბები ხარობენ.

# ქარბორბალა ფლორიდაში

ქარბორბალა დენისი მისდგომია ფლორიდის ნაპირებს. სწორედ იქ სადაც პატრიკის განთქმული საჰაერო ბაზაა, სერფის ტრფიალთა განთქმული პლაჟი მდებარეობს. მაგრამ ტალღებთან მოჭიდავენი წყალში ვერ შედიან, რადგან ტროპიკულმა ქარიშხალმა დანდობა არ იცის. ეს ეული, სერფით შეჭურვილი კაციც იმიტომ ჩანს აგრე მოწყენილი. თუმცა, ქარბორბალა ორმოცდარვა საათში ჩადგება და ტალღებზე ლივლივის მოყვარულთა საწუხარსაც ბოლო მოეღება.



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.opentext.org.ge/sarbieli